2

# „ივერიის ბიბლიოთეკა“

2

დაუპატიჟებელი —
მოჯრის მეტეორლიწკისა.

სხვათა შორის —
ია. ეკალაძისა.

ხალხის წარმომადგენლობა და
საარჩევნო უფლება —
ვორგასლიძისა.

ბ რ ო შ ი ა
№ 2

1905
ტფილისი

2 203

# „ივერიის ბიბლიოთეკა“

35175

დაუპატიჟებელი —

მორის მეტერლინკისა.

სხვათა შორის —

ია. ეკალაძისა.

ხალხის წარმომადგენლობა და

საარჩევნო უფლება —

გორგასლიძისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

პრემია
№ 2

ტფილისი
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го декабря 1904 года.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


გვერდი

**დაუპატიჟებელი**—დრამა ერთ მოქმედებად, მორის მეტერლინკისა, თარგმანი მ. ადამაშვილისა . . . 3

**სხვათა ზორის**—მოთხრობა ი. ეკალაძისა . . . 27

**ხალხის წარმომადგენლობა და საარჩევნო უფლება** (ხალხის წარმომადგენლობა. არჩევნების შემზადება. საარჩევნო ოლქები. საარჩევნო უფლება. საყოველთაო საარჩევნო უფლება. თანასწორი საარჩევნო უფლება. პირდაპირი საარჩევნო უფლება. ფარული საარჩევნო უფლება. აქტივური და პასივური საარჩევნო უფლება. არჩევნების წარმოება)—გორგასლიძისა . . 113

# დაუპატიჟებელი.

დრამა ერთ მოქმედებად, მორის მეტერლინკისა.

თარგმანი მ. ადამაშვილისა.

**მომქმედნი პირნი:**

პაპა (ბრმა).
მამა.
ბიძა.
სამი ქალი-შვილი.
სათნოების-დაჲ.
მოახლე.

მოქმედება ჩვენ დროს სწარმოებს. ჩამობნელებული ოთახი ძველ ციხე დარბაზში. ერთი კარები მარჯვნივ, ერთი მარცხნივ; კუთხეშიაც პატარა ფარული ოთახია. სცენის სიღრმეში ფანჯრები სხვა-და-სხვა ფერისა და უფრო კი მწვანე შუშებით. იქვე შუშებიანი კარები, რომელიც ტერასაზე გადის. კუთხეში დიდი, ფლამანდიური საათი. ლამფა ანთია.

---

**სამი ქალიშვ.** აქეთ, აქეთ, პაპა, აქეთ, ლამფასთან დაბძანდით.

**პაპა.** აქ, მგონი, საკმაო სინათლე არ არის.

**მამა.** ტერასაზე გავიდეთ, თუ აქ დავრჩეთ?

**ბიძა.** მე მგონია, აქ დარჩენა სჯობია. მთელი ერთი კვირაა, წვიმს და ლამეებიც ცივი და ნესტიანია.

**უფროსი ქალიშვ.** ვარსკვლავები მაინცა სჩანს.

**ბიძა.** ვარსკვლავები არაფერსაც არ ამტკიცებენ.

**პაპა.** აქ დარჩენა სჯობია. მარტო ღმერთმა იცის, რაც მოხდება.

**მამა.** საშიში არაფერია. ხიფათმა განვლო და ისიც გადარჩა.

**პაპა.** მე კი მგონია, რომ საქმე ცუდათ არის.

**მამა.** ეგრე რადა გგონიათ?

**პაპა.** გავიგონე, როგორც ლაპარაკობდა.

**მამა.** კარგი, მაგრამ ექიმებმა ხომ გვითხრეს—დამშვიდებული ბძანდებოდეთო.

**ბიძა.** თითქო არ იცოდე, რომ შენ სიმამრს ჩვენი წვალება სწორედ მაშინ მოუნდება ხოლმე, როცა ეს წვალება საჭირო არ არი.

**პაპა.** თქვენ თვალხილულნი ხართ, მე კი ბრმა ვარ.

**ბიძა.** მაშასადამე, თქვენც თვალხილულთ უნდა დაენდოთ. დღეს სადილ შემდეგ ძალიან კარგად გამოიყურებოდა, ძილიც მაგარი იცის. ტყუილად რად უნდა მოვიწამლოთ ის პირველი და კარგი საღამო, რომელსაც ბედი გვიგზავნის... მე მგონია, რომ ნება გვაქვს, ამ საღამოს დავისვენოთ და უშიშრადაც ვიხუმროთ.

**მამა.** ეგეც მართალია: ამ საშინელ მშობიარობის შემდეგ ვგრძნობ, რომ შინა ვარ, ჩემს მახლობლებთან...

**ბიძა.** რაკი სახლში ავადმყოფობა გაჩნდა, ისე მგო-

ნია, თითქო ოჯახში უცხო ვიღაც შემოგვეკედლაო.

**მამა.** ჰო და, სწორედ ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივზე მეტად ვგრძნობ, რომ, ოჯახის გარდა, სხვა არავის იმედი არ უნდა მქონდეს.

**ბიძა.** მართალი ხარ.

**პაპა.** დღეს ჩემი საწყალი ქალი რატომ არ მაჩვენეთ?

**ბიძა.** ხომ იცით, რომ ეგ ექიმმა აგიკრძალათ.

**პაპა.** არ ვიცი, არ ვიცი, რა ვქნა...

**ბიძა.** ტყუილად შფოთავთ.

**პაპა.** (მარცხენა კარებზე უჩვენებს) ის ჩვენს ლაპარაკს ხომ არ გაიგებს?

**მამა.** ხმა-მაღლა ხომ არ ვლაპარაკობთ? მაგრამ არა, კარები კარგად არის მიხურული და, ამას გარდა, სათნოების დაც იქ არის და, თუ მართლა ვხმაურობთ, გვეტყვის.

**პაპა.** (მარჯვენა კარებზე უჩვენებს) არც ის გაიგებს ჩვენს ლაპარაკს?

**მამა.** არა-მეთქი, არა.

**პაპა.** სძინავს?

**მამა.** მგონი, სძინავს.

**პაპა.** კარგი იქნება, რომ შეეხედოთ.

**ბიძა.** მე ბავშვი უფრო მაშინებს, ვიდრე შენი ცოლი. რამდენიმე კვირაა, რაც დაიბადა და თითქმის სულ არ ინძრევა და არც ხმას იღებს, თითქო სანთლისგან არის გაკეთებულიო.

**პაპა.** ძალიან მეშინიან, ვაი თუ ან ყრუ, ან მუნ-

ჯი გამოვიდეს. აი, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ნათესავების ჩხუბსა და უკმაყოფილებას (ძალდატანებული და უხერხული დუმილი).

**მამა.** მე იმ ბავშვზე გაჯავრებული ვარ, რადგან მან თავის დედას ბევრი ტანჯვა და წვალება მიაყენა-

**ბიძა.** ჰო, მაგრამ კეთილ-გონიერება მაინც უნდა იქონიოთ. საწყალი ბავშვი არაფერში დამნაშავე არ არი. ოთახში მარტოა.

**მამა.** ექიმმა დედასთან ყოფნა აუკრძალა.

**ბიძა.** გამზრდელი ხომ იმასთან არი?

**მამა.** არა. გამზრდელი ცოტა ხნით დასასვენებლად წავიდა. ამ უკანასკნელ დღეებში ისე იქცეოდა, რომ დასვენება ეკუთვნის. ურსულა, წადი და ნახე, მოსვენებით სძინავს თუ არა?

**უფროსი ქალიშვ.** კარგი, მამა (სამივე ქალები დგებიან, ერთმანეთს ხელს აძლევენ და მარჯვნივ გადიან).

**მამა.** დაჲ რომელ საათზე მოვა?

**ბიძა.** მგონი, ცხრაზე.

**მამა.** ეხლა ცხრაზე მეტია. დღეს რომ მოსულიყო, კარგი იქნებოდა. ჩემ ცოლს მისი ნახვა ძალიან უნდა.

**ბიძა.** უეჭველად მოვა. ის ამ სახლში დღეს პირველად მოდის?

**მამა.** პირველად. ამ სახლში არას დროს არა ყოფილა.

**ბიძა.** თავის მონასტრის მოშორება ძალიან...

**მამა.** ეძნელება.

**ბიძა.** მარტო მოვა?

**ბიძა.** ალბად, მონაზონი მოაცილებს. იქიდან მარ-
ტო გამოსვლა არ შეუძლიან.

**მამა.** კარგი, მაგრამ ეგ რომ უფროსია?

**ბიძა.** წესი ყველასთვის ერთია.

**პაპა.** თქვენ ეხლა აღარ გეშინიანთ?

**ბიძა.** რად უნდა გვეშინოდეს? მაგაზედ ლაპარაკი
საჭირო არ არის. საშიში აღარაფერია.

**პაპა.** თქვენი დაჲ თქვენზე უფროსია?

**ბიძა.** დიაღ. ჩვენში ყველაზე უფროსი ის არი.

**პაპა.** არ ვიცი, რა მემართება, ვერ ვმშვიდდები.
თქვენი დაჲ აქ მაინც იყოს!

**ბიძა.** დაგვპირდა. მაშასადამე, უეჭველად მოვა.

**პაპა.** ეს ღამე მალე მაინც გათენდებოდეს! (სამივე
ქალიშვილი შეშფოთდის).

**მამა.** რას შვრება, სძინავს?

**უფროსი ქალი.** სძინავს, მამა. ძალიან მაგრად სძინავს.

**ბიძა.** სანამ ის მოვიდოდეს, რა გავაკეთოთ?

**პაპა.** სანამ ვინ მოვიდოდეს?

**ბიძა.** დაჲ.

**მამა.** ურსულა, გაიხედე, ხომ არავინ მოდის?

**უფროსი ქალი** (ფანჯარაში იყურება) არავინა სჩანს.

**მამა.** ქუჩაზე? ქუჩას ხედავ?

**ქალიშვილი.** ვხედავ, მამა. მთვარე ანათებს და თითო
კუნძსაც კი ვხედავ.

**პაპა.** მაშ არავის არ ხედავ?

**ქალიშვილი.** არავის, პაპა.

**ბიძა.** როგორი დარია?

**ქალიშვილი.** მშვენიერი. გესმით, ბულბულები გალობენ.

**ბიძა.** ჰო, ჰო...

**ქალიშვილი.** ქუჩაში პატარა ქარი ამოვარდა.

**პაპა.** შენ ამბობ, ქუჩაში ქარი ამოვარდაო?

**ქალიშვილი.** დიაღ. მცენარეები ოდნავ ირხევიან.

**ბიძა.** ძალიან მიკვირს, რომ დაჲ აქამდის არ მოდის.

**პაპა.** ბულბულების ხმაც აღარ მესმის.

**ქალიშვილი.** პაპა! მგონი ბაღში ვილაც შემოვიდა.

**პაპა.** ვინ შემოვიდა?

**ქალიშვილი.** არ ვიცი, არვინ არა ჩანს.

**ბიძა.** მაშასადამე, არავინაც არ შემოსულა.

**ქალიშვილი.** ბაღში უეჭველად უნდა იყვეს ვინმე, რადგან ბულბულები უცებ ჩაჩუმდნენ.

**პაპა.** მერე რატომ ფეხის ხმა არ მესმის?

**ქალიშვილი.** უეჭველია, აუზთან ვილამაც გაიარა, რადგან გედები როგორღაც აჩოჩქოლდნენ.

**მეორე ქალიშვ.** აუზში თევზები მიიმალ-მოიმალნენ.

**მამა.** შენ არავის ხედავ?

**ქალიშვილი.** არავის.

**მამა.** აუზი მთვარის შუქით არის განათებული?

**ქალიშვილი.** დიაღ, განათებულია. მე ვხედავ, რომ გედებს რილასიც ეშინიანთ.

**ბიძა.** ნამდვილად, დაჲ შეაშფოთებდა. უეჭველად, ეს პატარა კარებიდან შემოვიდოდა.

**მამა.** კარგი, მაგრამ საკვირველია, ძაღლებმა რატომ არ დაიყეფეს?

**ქალიშვილი.** ჯაჭვით დაბმული ძაღლი თავის ქოხში შევარდა... გედები მეორე ნაპირისაკენ მიცურავენ...

**ბიძა.** რასაკვირველია, დისა შეეშინდებოდათ. აი,

ვნახავ... (უძახის) დაია! დაია! შენა ხარ?.. არავინ არ არი...

**ქალიშვილი.** მე დარწმუნებული ვარ, რომ ბაღში ვიღაც შემოვიდა, აი, ნახავთ, თუ არა.

**ბიძა.** დაჯ რომ იყოს, უეჭველია, პასუხს მომცემდა.

**პაპა.** ურსულა, ბულბულები გალობას აღარ იწყებენ?

**ქალიშვილი.** მთელ სოფელში არც ერთი ბულბულის ხმა აღარ ისმის.

**პაპა.** არავითარი ხმაურობა არ ისმის.

**მამა.** სამარისებური სიჩუმეა.

**პაპა.** უეჭველია, ბულბულები იმიტომ გაჩუმდნენ, რომ უცხო ვინმე დაინახეს და შეეშინდათ. ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი რომ დაენახათ, არ გაჩუმდებოდნენ.

**ბიძა.** რას ჩააცივდით, რა ვქნა, ამ ბულბულებს?

**პაპა.** ურსულა, ეს რა ამბავია, თითქო ყველა ფანჯრები ღია არისო?

**ქალიშვილი.** არა, პაპა, მარტო შუშიანი კარებია გაღებული.

**მამა.** ოთახში, მგონი, სიცივე შემოდის.

**ქალიშვილი.** ბაღში, პაპა ჩემო, პატარა ქარია... ვარდებს ფოთლები სცვივა...

**მამა.** უკვე გვიან არი. მიხურე კარები.

**ქალიშვილი.** ეხლავე, მამა... კარების მიხურვა არ შემიძლიან.

**სხვა ქალიშვ.** ვერ მივხურეთ.

**პაპა.** რა ამბავია, რა მოხდა?

**ბიძა.** რა ვქნა, თქვენ როგორის ხმით ლაპარაკობთ?

საშინელი არაფერი არა მომხდარა-რა. მე გი-
შველი.

**მამა.** ხვალ დურგალი გააკეთებს.

**პაპა.** განა ხვალ დურგალი უნდა მოვიდეს?

**ქალიშვილი.** უნდა მოვიდეს. მოვა და ხვალ სარდაფ-
ში იმუშავებს

**პაპა.** იმის ხმაურობა სახლშიაც ამოვა.

**ქალიშვილი.** მე ვეტყვი, რომ ჩუმად იმუშაოს. (უცებ
ცულის ლესვის ხმა მოისმის).

**პაპა.** (შეკრთება) ო!

**ბიძა.** რა ამბავია იქ?

**ქალიშვილი.** ნამდვილად არ ვიცი, მგონი-კი, მებაღე
უნდა იყოს. ჩრდილში დგას და კარგათ არა
სჩანს.

**მამა.** მებაღეა, ცელვას აპირობს.

**ბიძა.** განა ღამ-ღამობითაც ცელავს ხოლმე?

**მამა.** ხვალ კვირა არი, არა? ჰო... სახლის გარშე-
მო დიდი ბალახი ამოვიდა.

**პაპა.** ოჰ, ეს მებაღე თავის ცელს მეტის-მეტად
აჟღარუნებს.

**ქალიშვილი.** სახლის გარშემო ცელავს.

**პაპა.** ურსულა, მებაღეს ხედავ თუ არა?

**ქალიშვილი.** არა, პაპა, ვერა ვხედავ. სიბნელეში მუ-
შაობს.

**პაპა.** ნეტავ, ჩემი ქალი კი არ გააღვიძოს და!

**ბიძა.** მისი ხმაურობა ძლივს ისმის.

**პაპა.** მე კი ისე მესმის, თითქო ამ ოთახში ცე-
ლავსო.

**ბიძა.** ნუ გეშინიან, ავადმყოფი ვერ გაიგებს.

**მამა.** ამ საღამოს ლამფა, მგონი, საკმაოდ კარგად ვერ ანათებს.

**ბიძა.** ზეთი უნდა მივუმატოთ.

**მამა.** დღეს ზეთი ჩემ თვალწინ ჩაასხეს. მას შემდეგ, რაც ფანჯრები მიხურეს, ლამფა ცუდათ იწვის.

**ბიძა.** მგონი, შუშა გაწმენდილი არ არის.

**მამა.** ეხლა უფრო უკეთ გაანათებს.

**ქალიშვილი.** პაპას დაეძინა. სამი ღამეა, რაც არ დაუძინია.

**მამა.** მეტის-მეტად შფოთავს.

**ქალიშვილი.** პაპა ყოველთვის გადამეტებულად შფოთავს. ზოგჯერ ვერაფერს ვერ შევასმენ ხოლმე.

**მამა.** ეგ მაგ ხნის კაცს ეპატიება.

**ბიძა.** ჩვენ რომ მაგის ხნისა მოვიყრებით, ვინ იცის, რა დაგვემართება.

**მამა.** ეხლა თითქმის ოთხმოცი წლისაა.

**ბიძა.** მაგ ხნის კაცს ნება აქვს ცოტა უგუნურიც იყოს.

**მამა.** მაგას ისეთი ხასიათი აქვს, როგორც საზოგადოთ ბრმებს.

**ბიძა.** ბრმები მეტის-მეტ ბევრსა ფიქრობენ.

**მამა.** თავისუფალი დრო ვერაფერში ვერ მოუხმარიათ.

**ბიძა.** სხვა საქმე რომ არა აქვთ, მეტს რას იზამენ?

**მამა.** არავითარი გასართობიც არა აქვთ.

**ბიძა.** ამ გვარი მდგომარეობა საშინელი რამ უნდა იყოს.

**მამა.** მაგგვარ მდგომარეობას, როგორც ეტყობა, თანდათან ეჩვევიან.

**ბიძა.** ვერ გამიგია, როგორ შეიძლება კაცი მაგგვარ მდგომარეობას შეეჩვიოს?

**მამა.** ძალიან საწყლები და საბრალონი არიან.

**ბიძა.** კაცმა არც ის იცის, თუ სად იმყოფება; არც ის იცის, თუ საიდგან არის და საითკენ მიდის; კერც ღამესა და დღეს არჩევს ერთმანეთისგან, ვერც ზაფხულსა და ზამთარს... საუკუნო წყვდიადი... სიბნელე... არა, სიკვდილი სჯობია. მაგის მორჩენა სრულიად შეუძლებელია?

**მამა.** მგონი, შეუძლებელია.

**ბიძა.** ეგ სულ მთლად ბრმა არ უნდა იყოს.

**მამა.** ძლიერს სინათლეს გრძნობს, იგებს.

**ბიძა.** ჩვენ ჩვენს საწყალ თვალებს უნდა მოვუაროთ.

**მამა.** ზოგჯერ აუტანელი წამები დაუდგება ხოლმე.

**ბიძა.** ზოგჯერ მაგასთან ლაპარაკი და ყოფნა შეუძლებელია.

**მამა.** ყველაფერს, რასაცა ფიქრობს, უეჭველად იტყვის ხოლმე.

**ბიძა.** წინათ განა ეგეთი არ იყო?

**მამა.** სულაც არა. ოდესღაც ისეთივე ადამიანი იყო, როგორც ჩვენ, და არა-ჩვეულებრივ საგნებზედაც არ ლაპარაკობდა. ურსულა ყოველ მის კითხვას პასუხს აძლევს და ამით, რასაკვირველია, გაანებივრა და წააქეზა.

**ბიძა.** არა, ისევ ისა სჯობია, რომ პასუხი არ გა-

ვცეთ ხოლმე. ამით ჩვენ მხოლოდ სარგებლობას მოვუტანთ (სასთი ათჯერ დაჭკრავს).

**პაპა.** (იდვიძებს) მე პირისახე შუშიან კარებისკენა მაქვს?

**ქალიშვილი.** კარგათ გეძინათ, პაპა?

**პაპა.** პირისახე შუშიან კარებისკენა მაქვს?

**ქალიშვილი.** დიაღ.

**პაპა.** შუშიან კარებთან არავინ არა სდგას?

**ქალიშვილი.** არავინ არ არის. მე არავისაც არა ვხედავ.

**პაპა.** მე მეგონა, თითქო მანდ ვიღაც იცდისო... არავინ არ მოსულა?

**ქალიშვილი.** არავინ.

**პაპა.** (ბიძასა და მამას) არც თქვენი დაჲ მოსულა?

**ბიძა.** ძალიან დაგვიანდა: ეხლა აღარ მოვა. იმის საქციელი საქები არ არი.

**მამა.** იმის საქციელი ძალიან მაშფოთებს (ხმაურობს ისმის, თითქო კარებისკენ ვიღაც მოდისო).

**ბიძა.** აი, მოვიდა! გესმით?

**მამა.** მესმის. ქვეითა კარებში ვიღაც შემოვიდა.

**ბიძა.** მგონი, დაჲ უნდა იყოს. ის არის! იმის ფეხის ხმა არი.

**პაპა.** ვიღაც მოდის ნელის ნაბიჯით.

**მამა.** ჩუმად შემოვიდა.

**ბიძა.** იცის, რომ სახლში ავადმყოფი წევს.

**პაპა.** ეხლა აღარაფერი მესმის.

**ბიძა.** ეხლავე ამოვა. უეჭველია, ეტყვიან, რომ ჩვენ აქა ვართ.

**მამა.** მისი მოსვლა ძალიან გამეხარდა.

**ბიძა.** მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დღეს ღამით მოვიდოდა.

**პაპა.** ძალიან იგვიანებს.

**ბიძა.** უეჭველია, ის არი, სხვა ვინ უნდა იყოს?

**მამა.** სხვა არავის ველით.

**პაპა.** სარდაფიდან არავითარი ხმაურობა არ გესმის?

**მამა.** აი, ეხლავე დავუძახებ მოახლეს. რაშია საქმე —ის გვეტყვის (ზარის ჯანაფს ჩამოჭერავს).

**პაპა.** ეხლა ხმაურობა კიბიდან მესმის.

**მამა.** ეგ მოახლის ფეხის ხმა არი.

**პაპა.** მგონი, მარტო მოახლე არ უნდა იყოს.

**მამა.** ნელის ნაბიჯით მოდის.

**პაპა.** მე თქვენი დის ფეხის ხმა მესმის.

**მამა.** მე-კი მხოლოდ მოახლის ფეხის ხმა მესმის.

**პაპა.** ეგ თქვენი დაჲ არი, თქვენი დაჲ არი! (ფარულ კარებს აბრახუნებენ).

**ბიძა.** ფარულ კარებს აბრახუნებს.

**მამა.** ამ კარებს მე თვითონ გავაღებ, თორემ ძალიან ჭრიალებს. ამ კარებიდან მხოლოდ მაშინ შემოდიან ხოლმე, როცა ოთახში საიდუმლოთ უნდათ შემოსვლა (ფარულ კარებს ნახევრად გამოაღებს. კარებს უკან მოახლე დგას). სადა ხარ?

**მოახლე.** აქ გახლავართ, ბატონო.

**პაპა.** თქვენი დაჲ კარებთან არი?

**ბიძა.** მე მხოლოდ მოახლეს ვხედავ.

**მამა.** მოახლის გარდა არავინ აქ არის. (მოახლეს) სახლში ვინ შემოვიდა?

**მოახლე.** სასლში?

**მამა.** ჰო, ეხლა სახლში ვიღაც შემოვიდა.

**მოახლე.** არავინ არ მოსულა, ბატონო.

**პაპა.** რომელი ქშინავთ?

**ბიძა.** მოახლეა, დაიღალა.

**პაპა.** მერე რათ ტირის?

**ბიძა.** არა ტირის, რა აქვს სატირელი?

**მამა.** (მოახლეს) მაშ სახლში არავინ არ შემოსულა?

**მოახლე.** არავინ, ბატონო, არავინაც არ შემოსულა.

**მამა.** ჩვენ კარგათ გავიგეთ, რომ ვიღამაც კარები გააღო.

**მოახლე.** კარები მე მივხურე.

**მამა.** განა ღია იყო?

**მოახლე.** ღია გახლდათ.

**მამა.** მერე ამ დროს ღია რათ იყო?

**მოახლე.** რა მოგახსენოთ? კარები მე გადავრაზე.

**მამა.** კარგი, მაგრამ ვინ გააღო?

**მოახლე.** არ ვიცი, ბატონო. ალბათ ვიღაც გასულა და მე არ დამინახავს.

**მამა.** უნდა თვალყური გეჭიროს. კარებს ნუ აწყდები! ხომ იცი, რომ ჭრიალებს.

**მოახლე.** არა, ბატონო, მე კარებს არ ვაწყდები.

**მამა.** როგორ არ აწყდები? ისე აწვები, თითქო ოთახში შემოსვლა გინდაო.

**მოახლე.** ბატონო, მე კარებიდან სამ ნაბიჯის მანძილზე ვდგევარ.

**მამა.** ჩუმად ილაპარაკე.

**პაპა.** რა ვქნა, მგონი ლამფა ჩააქრეთ, არა?

**უფროსი ქალიშვ.** არა, პაპა, არ ჩაგვიქრია.

**პაპა.** ისე მეჩვენება, თითქოს უცებ დაბნელდაო.

**მამა.** (მოახლეს) წადი, მაგრამ, როცა კიბეზე ჩადიხარ ხოლმე, ნუ აკაკუნებ.

**მოახლე.** მე არც დამიკაკუნებია.

**მამა.** მე გეუბნები, აკაკუნებდი-მეთქი. ნელა უნდა იარო, თორემ ქალბატონს გაალვიძებ. თუ მოვიდა ვინმე, უთხარი შინ არ არიან-თქო.

**ბიძა.** ჰო, უთხარი, შინ არ არიან-თქო.

**პაპა.** (შეკრთება) ეგ არ უნდა გეთქვათ.

**მამა.** თუ ექიმი ან ჩემი დაჲ იყოს, მაგას ნუ ეტყვი.

**ბიძა.** რომელ საათზე მოვა ექიმი?

**მამა.** შუალამეზე ადრე არ მოვა (კარებს ჭეტავს, საათი თერთმეტსა რეკავს)

**პაპა.** ოთახში შემოვიდა?

**მამა.** ვინ შემოვიდა?

**პაპა.** მოახლე.

**მამა.** არა, ქვეით ჩავიდა.

**პაპა.** ისე მეგონა, თითქო ის მაგიდას მოუჯდაო.

**ბიძა** ვინა, მოახლე?

**პაპა.** ჰო.

**ბიძა.** ეგ-ღა გვაკლია!

**პაპა.** მაშ ოთახში არავინ შემოსულა?

**მამა.** არავინ შემოსულა, არავინ!

**პაპა.** მაშ ამ სახლში არც თქვენი დაჲ მოსულა?

**ბიძა.** ჩემი დაჲ ჯერ არ მოსულა.

**პაპა.** თქვენ ჩემი მოტყუება გინდათ.

**ბიძა.** თქვენი მოტყუება?

**პაპა.** ურსულა, თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარი.

**უფროსი ქალიშვ.** პაპა, პაპა! რა დაგემართათ?

**პაპა.** რაღაც მოხდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქალი უფრო ცუდათ გახდა.

**ბიძა.** რა ვქნა, თქვენ გძინავთ, თუ ფხიზელი ხართ?

**პაპა.** თქვენ რაღასაც მიმალავთ! მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაღაც ამბავია.

**ბიძა.** მაშ, როგორც გეტყობათ, თქვენ ჩვენზე კარგათ ხედავთ.

**პაპა.** ურსულა, მართალი მითხარი!

**ქალიშვილი.** აკი მართალს გეუბნებიან!

**პაპა.** შენ შენის ხმით არ ლაპარაკობ.

**მამა.** თავის ხმით იმიტომ არ ლაპარაკობს, რომ შეაშინეთ.

**პაპა.** თქვენც გამოგეცვალათ ხმა.

**მამა.** რა ვქნა, თქვენ, მგონი, ჭკუაზედ იშლებით! (მამა და ბიძა ერთმანეთს ანიშნებენ,—ბაბა ჭკუაზედ შესტდაო).

**პაპა.** მე კარგათ მესმის, რომ თქვენ რიღასიც გეშინიანთ.

**მამა.** რა ვქნა, რისა უნდა გვეშინოდეს?

**პაპა.** რათ გინდათ ჩემი მოტყუება?

**ბიძა.** მერე თქვენ მოტყუებას ვინ აპიროობს?

**პაპა.** ლამფა რათ ჩააქრეთ?

**ბიძა.** არ ჩაგვიქრია, ლამფა ეხლაც ისე ანათებს, როგორც წეღან ანათებდა.

**ქალიშვილი.** მგონი, ლამფა ეხლა ნაკლებათ ანათებს.

**მამა.** მე კი ეხლაც ისე ვხედავ, როგორც წეღან ვხედავდი.

**პაპა.** თვალებზე წისქვილის ქვები მადევს. შვილებო, მითხარით, რა ამბავი ხდება აქა? თქვენ, თვალხილულნო, მითხარით, თუ ღმერთი

გწამთ, მითხარით! მე აქ მარტო ვარ განუ-
ჭვრეტ სიბნელეში! არ ვიცი, გვერდით ვინ
მომიჯდება ხოლმე; არ ვიცი, ორ ნაბიჯის
მანძილზე რა ხდება ხოლმე?! აი, ეხლა ამ
წუთს რას ჩურჩულობდით?

**მამა.** ჩურჩული არავის ფიქრადაც არ მოსვლია.

**პაპა.** თქვენ კარებთან ჩურჩულობდით.

**მამა.** რაცა ვთქვი, ყველაფერი გაიგეთ.

**პაპა.** თქვენ ოთახში ვილაც შემოიყვანეთ!

**მამა.** რა ვქნა, აკი გეუბნებით, ოთახში არავინ შე
მოსულა მეთქი!

**პაპა.** იქნება, ან თქვენი დაჲ, ან მღვდელი შემოვიდა?
ჩემ მოტყუებას ტყუილად ცდილობთ... ურ-
სულა, ვინ შემოვიდა ამ ოთახში?

**ქალიშვილი.** არავინაც არ შემოსულა.

**პაპა.** ნუ მატყუებთ-მეთქი. რაც ვიცი—ვიცი! ეხლა
აქ, ამ ოთახში რამდენნი ხართ?

**ქალიშვილი.** აქ ექვსნი ვართ, პაპა!

**პაპა.** ყველანი მაგიდასთან სხედხართ?

**ქალიშვილი.** ყველანი.

**პაპა.** პოლ, თქვენ აქა ხართ?

**მამა.** აქა ვარ.

**პაპა.** ოლივიე, თქვენც აქა ხართ?

**ბიძა.** დიაღ, დიაღ, აქა ვარ; ჩემ ალაგზე ვზივარ.
თქვენ, იმედი მაქვს, ხუმრობთ?

**პაპა.** ჟენევიევა, შენც აქა ხარ?

**ერთი ქალიშვ.** აქა ვარ, პაპა.

**პაპა.** შენ, გერტრუდა?

**მეორე ქალიშვ.** დიაღ, პაპა, აქა ვარ.

**პაპა.** შენ, ურსულა, შენც აქა ხარ?

**უფროსი ქალიშვ.** დიაღ, პაპა, აქა ვარ, — თქვენ გვერ-
დითა ვარ.

**პაპა.** იქ ვიღა ზის?

**ქალიშვილი.** სადა? იქ არავინ არი.

**პაპა.** აქა, აქ! აი, აქა, ჩვენ შორის.

**ქალიშვილი.** აქ არავინ არი.

**მამა.** გეღბნები, აქ არავინ არის-მეთქი!

**პაპა.** მაშ თქვენ ვერაფერსაც ვერ ხედავთ.

**ბიძა.** ეხლა კი მესმის, რომ ხუმრობთ.

**პაპა.** გარწმუნებთ, რომ ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

**ბიძა.** მაშ თვალ-ხილულებს უნდა ერწმუნოთ.

**პაპა.** (გაუბედავათ) მე მაინც მგონია, რომ აქ ვიღაც
არი... როგორც ვატყობ, მე ამ ქვეყნისა
აღარ უნდა ვიყო.

**ბიძა.** აბა, ერთი გვითხარით, რათ უნდა მოგატყუოთ?

**მამა.** ისე რომ იყოს, როგორც თქვენა გგონიათ,
უეჭველია, სიმართლეს გეტყოდით.

**ბიძა.** რა აზრითა და რისთვის უნდა მოვატყუოთ
ერთმანეთი?

**მამა.** სულ ერთია, ხომ დიდ ხანს ვერაფერს ვერ
გაიგებდით.

**პაპა.** (ადგომა უნდა) ნეტა, შეეიძლო და როგორმე
განვსჭვრიტო ეს სიბნელე!

**მამა.** სად მიხვალთ?

**პაპა.** აგე, იქ...

**მამა.** ეგრე ნუ შფოთავთ...

**ბიძა.** დღეს საკვირველ გუნებაზე ხართ...

**პაპა.** მე მგონია, რომ, პირიქით, თქვენა ხართ საკვირველ გუნებაზე.

**მამა.** რას დაეძებთ?

**პაპა.** არ ვიცი, რა მემართება...

**უფროსი ქალი.** პაპა, პაპა! მითხარით, რა გნებავთ?

**პაპა.** ჩემო პატარებო! მოიტანთ, მომეცით თქვენი პატარა ხელები.

**სამი ქალი.** აი, ინებეთ, პაპა.

**პაპა.** ჩემო პიტარებო, ეგრე რად კანკალებთ?

**უფროსი ქალი.** არა, პაპა, არა ვკანკალობთ.

**პაპა.** უეჭველია, სამივენი საშინლად გაფითრებული იქნებით.

**უფროსი ქალი.** შუაღამემ მოატანა და, უეჭველია, დაიღლებოდით.

**მამა.** წადით, დაიძინეთ. პაპაც კარგს იზამს, რომ ცოტა მოისვენოს.

**პაპა.** მე დღეს ვერ დავიძინებ.

**ბიძა.** მაშ ექიმს მოვუცადოთ.

**პაპა.** სინამდვილის გასაგებათ მომამზადეთ.

**ბიძა.** არავითარი მომზადება არ არი საჭირო.

**პაპა.** მაშ არ ვიცი, რა საჭიროა სიმართლის დამალვა.

**ბიძა.** გარწმუნებთ, რომ არაფერიც არ მომხდარა!

**პაპა.** ჩემი საწყალი ქალის ნახვა მინდა.

**მამა.** ხომ იცი, რომ ეგ შეუძლებელია. უმიზეზოდ მისი გაღვიძება საჭირო არ არი.

**ბიძა.** ხვალ ნახავთ.

**პაპა.** იმის ოთახში სიშინელი სიჩუმეა.

**ბიძა.** იმის ოთახში რომ საშინელი ხმაურობა იყოს, მაშინ შეგიძლიანთ აშფოთდეთ.

**პაპა.** დიდი ხანია, რაც ჩემი ქალი აღარ მინახავს! გუშინ საღამოს იმის ხელს ხელი მოვუსვი, მაგრამ თვითონ იმას კი ვერ ვხედავდი! არ ვიცი, რა დაემართა!... არ ვიცი, როგორ არი, იმის პირისახეს ვერა ვხედავ... ამ უკანასკნელ კვირებში, მგონი, ძალიან გამოიცვლებოდა. ლოყაზე ხელი მოვუსვი და მარტო ძვლები-ღა იყო... ჩემსა და იმის შუა მხოლოდ სიბნელეა. თქვენც ყველანი სიბნელე ხართ... არა, მე ესე ცხოვრება აღარ შემიძლიან. ეს ცხოვრება არ არი... ყველანი აქა ხართ, ყველანი უყურებთ ჩემს უსიცოცხლო თვალებს და არც ერთ თქვენგანს არ ვებრალები! არ ვიცი, რა მემართება... არას დროს არ ამბობთ იმას, რის თქმაც არის საჭირო... როცა მაგაზე დავიწყებ ხოლმე ფიქრსა—საშინელებაა! რას გაჩუმებულხართ?..

**ბიძა.** რა უნდა გითხრათ, როცა ჩვენი არაფერი გჯერათ?..

**პაპა.** თქვენ გეშინიანთ, ვაი თუ ლაპარაკში გამოვტყდეთო!..

**მამა.** კმარა, გეყოფათ! ცოტა კეთილ-გონიერებაც უნდა იქონიოთ!

**პაპა.** დიდი ხანია, რაღასაც მიმალავთ!... სახლში რაღაც მოხდა. მაგრამ ეხლა კი ყველაფერი მესმის თანდათან... გეყოთ, რამდენიც მატყუეთ! თქვენ გგონიათ, ვითომ მე არას დროს არ გავიგებ? მერე იცით, რომ ზოგჯერ მე უფრო კარგად ვხედავ, ვიდრე თქვენ, თვალ-

ხილულნი!.. მე მშვენივრად მესმის, რომ, რამდენიმე დღეა, რაც თქვენ რაღასაც ჩურჩულობთ, თითქო ამ სახლში ჩამოხრჩობილი ეკიდოსო! სათქმელადაც კი მეზარება ის, რაც დღეს საღამოს გავიფიქრე... მაგრამ მე სიმართლეს მაინც გავიგებ!.. მე იქამდის მოვითმენ, სანამ თქვენ თვითონვე მეტყვით, თუმცა კი ეხლა უთქვენოდაც ვიცი. აი, ეხლა ვგრძნობ, რომ ყველანი გაფითრდით, ყველას სიკვდილის ფერი დაგედოთ...

**სამი ქალი.** პაპა, პაპა! რა დაგემართა, პაპა!

**პაპა.** ჩემო პატარებო, მე თქვენზე არ ვამბობ. მე თქვენზე არ ვამბობ... მე კარგად ვიცი, თქვენთან ესენი რომ არ იდგნენ, მართალს შეტყოდით! მაგრამ სულ ერთია, მე დარწმუნებული ვარ, რომ ესენი თქვენც გატყუებენ. აი, ნახავთ!.. ჰო, მაშ სამივენი ტირით?

**მამა.** ნუ თუ, მართლა ჩემს ცოლს მაგისთანა ხიფათი მოელის?

**პაპა.** ეხლა ტყუილად-ღა მატყუებთ, გვიან-ღა არის. ეხლა მე თქვენზე უკეთ ვიცი სიმართლე.

**ბიძა.** კარგი, მაგრამ ჩვენ ბრმები არა ვართ.

**მამა.** კარგი, მაშ წამობძანდით ჩემი ქალის ოთახში და ყველაფერს გავიგებთ. გნებავთ?

**პაპა.** (უცებ, გაუბედავად) არა, არა, მერე, მერე...

**ბიძა.** აი, ეხლა თქვენვე ხედავთ, რომ კეთილ-გონიერება გაკლიათ.

**პაპა.** ვერავინ და ვერას დროს ვერ გაიგებს იმას, რის თქმაც კაცს არ შეუძლიან. ეს რა ხმებია?..

**უფროსი ქალი.** ლამფა ინძრევა და იმის ხმაა.

**პაპა.** მგონი, ლამფა ძალიან შფოთავს... ძალიან...

**ქალიშვილი.** ცივმა ქარმა დაუბერა და იმიტომ.

**პაპა.** ცივი ქარი არსად არი, ფანჯრები მიხურულია.

**ქალიშვილი.** საცაა, ლამფაც ჩაქრება.

**მამა.** ზეთი აკლია.

**ქალიშვილი.** სულ ჩაქრა.

**მამა.** ამისთანა სიბნელეში ხომ ვერ დავრჩებით.

**ბიძა.** რატომ ვერ დავრჩებით? მე შევეჩვიე კიდეც.

**მამა.** ჩემი ცოლის ოთახშიაც ბნელა.

**ბიძა.** მოიცა, ექიში მოვა, მაშინ გავანათებთ.

**მამა.** აქ საკმაო სინათლეა. სინათლე ეზოდან შემოდის.

**პაპა.** განა ეზოში სინათლე არი?

**მამა.** უფრო მეტი, ვიდრე ამ ოთახში.

**ბიძა.** მე სიბნელეში ლაპარაკი მიყვარს.

**მამა.** მეც მიყვარს (ᲘᲩᲣᲛᲔ).

**პაპა.** მგონი, საათი ძალიან აკაკუნებს.

**უფროსი ქალიშვილი.** ეგრე იმიტომ გეჩვენებათ, რომ ჩვენ გაჩუმებულნი ვართ.

**პაპა.** მერე და რათა ხართ გაჩუმებულნი?

**ბიძა.** მაშ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? დღეს საღამოს თქვენ როგორღაც უცნაური ხართ.

**პაპა.** ოთახში ძალიან ბნელა?

**ბიძა.** ჰო, აქაურობა ძალიან არ არის განათებული.

**პაპა.** როგორღაც ცუდათა ვარ. ურსულა, ერთი ფანჯარა გამოაღე.

**მამა.** მართლა, შვილო, ერთი ფანჯარა გამოაღე-
მეც როგორღაც სული მეხუთება (ქალიშვილი ფანჯარას აღებს.)

**ბიძა.** ჰაერი საშინლად შეიხუთა.

**პაპა.** ფანჯარა გამოაღეთ თუ არა?

**ქალიშვილი.** გამოვაღე, პაპა, ღია არი.

**პაპა.** არ ითქმის, რომ ფანჯარა ღია არი, არავითარი ხმაურობა არ ისმის.

**ქალიშვილი.** მართალია, არავითარი ხმაურობა არ ისმის.

**მამა.** საკვირველი სიჩუმეა.

**ქალიშვილი.** ანგელოზი რომ გაფრინდეს, იმის ფრთების ფრიალსაც კი გავიგებდი.

**ბიძა.** აი, სწორედ ამისთვის არ მიყვარს სოფელი.

**პაპა.** ცოტაოდენი ხმაურობა მაინც ისმოდეს... ურსულა, რომელი საათია?

**ქალიშვილი** საცაა, შუაღამე გახდება.

**ბიძა.** (ჩქარის სიბიჯით დადის ოთახში.)

**პაპა.** ვინ არის, რომ დადის? რომელი ხართ?

**ბიძა.** მე ვარ, მე, ნუ გეშინიანთ, ცოტა სიარული მინდა და დავდივარ (სიჩუმე). მაგრამ მეტი გზა არ არი, უნდა დავჯდე. არ ვიცი, რად დავდივარ. (სიჩუმე).

**პაპა.** სადმე სხვაგან ყოფნა მინდა.

**ქალიშვილი.** სად გინდათ ყოფნა, პაპა?

**პაპა.** არ ვიცი, სადა... სხვა ოთახში... სულ ერთია... საცა უნდა ვიყო—სულ ერთია...

**მამა.** მაინც სად გინდათ, სად წავიდეთ?

**ბიძა.** ეხლა სეირნობის დრო აღარ არი (სიჩუმე. ეზელანი გაუსძრეულად უსხედან მაგიდას).

**პაპა.** ურსულა, ეს რა მესმის?

**ქალიშვილი.** არაფერი, პაპა. მგონი, ფოთლები ცვივა. დიდ აივანზე ფოთლები ცვივა და კიდეც იმის ხმაურობაა.

**პაპა.** ურსულა, წადი და ფანჯარა მიხურე.

**ქალიშვილი.** ეხლავე (ფანჯარას ხურავს და თავის ადგილს ჯდება).

**პაპა.** მცივა (სიჩუმე, დები ერთმანეთს ჭკოცნიან). ეს რა ხმაურობა მესმის?

**მამა.** სამმა დამ ერთმანეთს აკოცეს.

**ბიძა.** ესენიც დღეს როგორლაც გაფითრებულნი არიან (სიჩუმე).

**პაპა.** კიდევ რაღაც ხმაურობა მომესმა!

**ქალიშვილი.** არაფერია!... გულხელი დავიკრიფე და იმის ხმაურობას გაიგებდით (სიჩუმე).

**პაპა.** ეხლა?

**ქალიშვილი.** არ ვიცი, მგონი, ცოტათი ჩემი დები კანკალებენ.

**პაპა.** ჩემო პატარებო! მეც რიღასაც მეშინიან (ფანჯარიდან მთვარის შუქი შემოდის და ოთახს უცნაურად ანათებს. საათი შუადამეს დაჭკრავს. უკანასკნელად რომ ჩამოჭკრავს, გარკვევით ისმის ისეთი ხმაურობა, თითქო ვიღაც თავის ადგილიდან საჩქაროთ წამოდგა.)

**პაპა.** (შიშისაგან კანკალებს) ეს ვინ წამოდგა?

**ბიძა.** არავინაც არ წამომდგარა.

**მამა.** მე არ წამომდგარვარ.

**სამი ქალიშვილი.** არც მე ამდგარვარ... არც მე... არც მე..

**პაპა.** აქედან ვილაც ადგა.

**ბიძა.** სინათლე! (მარჯვენა ოთახიდან უცებ შეშინებული ბავშვის ტირილი მოისმის. ტირილი მოქმედების გათავებამდე ისმის და მასში თანდათან მეტი შიში გამოიხატება).

**მამა.** გესმით? ბავშვი!

**ბიძა.** თავის დღეში ხმა არ ამოუღია!

**მამა.** წამოდით, ვნახოთ!...

**ბიძა.** სინათლე! სინათლე! (ამავ წუთს მარცხენა ოთახიდან ჩქარი ნაბიჯის ხმა მოისმის. შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ყველანი შეშინებულნი და თავზარ-დაცემულნი ეურს უგდებენ. მერე უცებ მარცხენა კარები ნელა გამოიღება, იქიდან ოთახში ნათელი შემოაშუქებს და დირეზედაც შავად ჩაცმული სათნოების დაჯ გამოჩნდება, რომელიც თავსა ღუნავს და ბირჯვარს იწერს; ამით ოთახში მეოთთ ლედაკაცის სიკვდილს ატეობინებს... ოთახში მეოთნი მიხვდებიან... ჯერ თავზარ-დაცემულნი ეოემანობენ, მაგრამ ცოტახნის შემდეგ გარდაცვალებულის ოთახისკენ მიდიან. ბიძა სამ ქალი-შვილს ოთახში ზრდილობიანად შეუშვებს და თვითონაც უკან მიჰყვება. მარტოდ დარჩენილი ბრმა ზეზე წამოდგება და ხელებს მაგიდის გარშემო ათვათურებს.)

**პაპა.** საღა ხართ? საღა ხართ? მარტოდ-მარტო დამტოვეს!

# სხვათა შორის

მოთხრობა.

(ალექსი კაკალაშვილის ნაამბობი).

I.

..., ქალაქ დანიავებულის სასაფლაოზეო, —დაიწყო, სხვათა შორის, ალექსიმ, —ხელ-მარცხნივ, პაწია გორაკის ძირში, ორ მდიდრულ მატურით მორთულ საფლავთა შუა ობლათ გამოიყურება მესამე საფლავი. ამ სამარეს ლურჯათ შეღებილი უბრალო ქვა ადევს და ზედ მრუდე ასოებით აწერია: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს მონა ღვთისა კირილე იაკინთეს ძე ფიჩხაშვილი. გარდავიცვალე 189... წ. ნოემბრის თექვსმეტსა დღესა, შობიდგან ოცდა თვრამეტის წლისა. წამკითხველნო, შენდობა მიბრძანეთ“.

არ ვიცი, რათ, —მაგრამ, როდესაც-კი მომიხდებოდა ხოლმე ამ სასაფლაოზე ყოფნა, ყოველთვის ვნახულობდი ფიჩხაშვილის სამარეს, დიდხანს დავსცქეროდი უწვრთნელის ხელით ქვაზე ამოჭრილ ასოებს და, ათასგვარის ფიქრებით გარემოცული, ჩემდა უნებურათ ვბუტბუტებდი ხოლმე: „ღმერთმან შეგინდოს შეცოდებანი“-მეთქი.

მე არც მღვდელი ვარ, არც დიაკონი, მაგრამ სასაფლაო იმათზე ნაკლებ არ მიზიდავს. ცხოვრების სიავითა და წვრილმანობით გაბოროტებული, ხშირათ წამოვავლებ ხოლმე ქუდს ხელს და დაბარებულივით სასა-

ფლაოზე მივეშურები. მიყვარს ეს მკვდართა ქალაქი! იგია ერთად-ერთი ადგილი, რომელიც ყოველთვის მამშვიდებს და მაგონებს ჩვენს არარაობას, ჩვენს წუთისოფელს: ერთერთ საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი ხშირ-ბინდამდის გავყურებ ხოლმე სასაფლაოს და ჩემი აზვირთებული გულის-თქმა ნელ-ნელა წყნარდება, ლმობიერდება და თითქო ვურიგდები კიდეც ჩემ ბედს.

მართალია, ადამიანთა უსწორ-მასწორო ცხოვრებას სასაფლაოს გარეგნობისათვისაც დაუმჩნევია თავისი კვალი, აქაც სიმდიდრე და სიღარიბე სუფევს: ძვირფასის ძეგლ-მატურების გვერდით ნაღვლიანათ გამოიყურება უბრალო საფლავის ქვები ღარიბთა მიცვალებულებისა; აქაც შეამჩნევთ ერთისაგან მეორის დაჩაგვრას, ნახავთ, რომ დიდებულ მოაჯირს, ყვავილებითა და სულოთი მორთულ ერთის სამარეს სრულიად დაუჩრდილავს უპატრონო სამარე მეორისა. მაგრამ თვით დედა-აზრი სასაფლაოსი,—ის გარემოება,—რომ მდიდარი და ღარიბი, წარჩინებული და მდაბიო, მილიონერი და გლახაკი, ყველა ერთ ბედს სწევიან და ამ ერთ ცოდა ადგილაზე მტვრათა ქცეულან,—გავიწყებთ ზედამრჩოთა გაუტანლობას და გულ-დამშვიდებით გაფიქრებინებთ, რომ, დღეს თუ არა, ხვალე მაინც, შენც გვერდით მოუწვები ამ მიცვალებულებს და დანაცრებულ სასაფლაოს გააპოხიერებ.

— მაშ რა არის ადამიანი, რა არის ცხოვრება? ეკითხები შენ თავს და დიადი საიდუმლოებით თავზარ დაცემულს სუნთქვა გეხუთება, ურჩი გონება გიჩლუნგდება, გული გეკუმშება, ძარღვებში სისხლი გეყინება და სახეზე ნაღვლიან ღიმილ-გადაკრული შენდა უნებურათ ჰფიქრობ: არარაობა, არარაობა!..

— მაშ რაღა გაბოროქრებს, ადამიანო! რათა ხარ გულზვიადი, ცრუ, მატყუარა, ბატონი, მონა, მდიდარი, ღარიბი? კვლავ ეკითხები შენ თავს, პირში ნერწყვ-გამშრალი: და სამარეებს უფრო და უფრო აცქერდები. საფლავნი კი სდუმან, სდუმან უდიერათ, ურჩობენ პასუხის მოცემას, და შენც სდუმხარ და თვალებ-დაღებული ზედ-მეტად შესაბრალისი ხარ, ვიდრე ისინი, რომელნიც მშვიდათ განისვენებენ უზარმაზარ ლოდების ქვეშ, ცივს მიწაში!.. სადღაა მაშინ შენი ამპარტავნება, შენი „მე“? იგი მარტო ბაქიაობათ, მარტო თავის მოტყუებათ-ღა გეჩვენება!!..

— შენ ბალახი ხარ, მოვა ვირი და მოგძოვსო! — გამახსენდა ციბიკური ახსნა ჩემის არსებობისა, ერთის ჩემის მეგობრისაგან განმარტებული, და მწარეთ გამეცინა.

ახლაც სასაფლაოზე ვიყავ, ფიჩხაშვილის სამარესთან, მაღალ ბალახებში წამოწოლილი, და ჩვეულებრივათ ვფიქრობდი...

— დიდი ხანია, აქა ხართ? — შემეკითხა მაშო, რომელიც ჩემდა შეუმჩნევლათ თავზე წამომდგომოდა.

ადამიანის დანახვამ ჩემი ადამიანობა, ჩემი „მე“ კვლავ გამახსენა და თვალის დახამხამებაზე ხორცი შევისხი, აზრები მოვიკრიბე, გულმა სიამოვნებით ცემა დამიწყო და ჩემკენ გამოწვდილი მაშოს ფუნთუშა ხელი მაგრა ჩამოვართვი...

მართლა, ჯერ შენ ხომ არ იცი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი ყოფნა, ჩემი სულიერი და ხორციელი მდგომარეობა ძალზე შეიცვალა.

ახლათ სწავლა დამთავრებული დიდის რიხიტ ჩავები ცხოვრების ფერხულში, მაგრამ ის, რაც მესწავლა და

წამეკითხა, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ნელ-ნელა დავგორდი ოცნების მთიდან.

პირველ ხანებში, ცოტა არ იყოს, ვუმკლავდებოდი მიწიერ გულის-თქმათ, მაგრამ უბრალო მომაკვდავმა ბრძოლას ველარ გავუძელ და მეც იმ გზას დავადექ, რა გზასაც უმრავლესობა ადგია... გავჩინოვნიკდი, ყოვლად-კეთილ-საიმედო ჯამაგირს კარგს ვიღებ, შნოიან ახალ-გაზდას გასათხოვარი თუ გათხოვილი ქალები თავს მევ-ლებიან და, განგებ დაბრმავებულ-დაყრუებული, მეც ისე ვატყუებ ქვეყანას, როგორც მე მომატყუა ცხოვრებამ. მართალია, ათასში ერთხელ სინიდისი მქეჯნის ხოლმე, მაგონებს-რა ჭაბუკურ წმინდა იდეალებს, ვგრძნობ ხოლ-მე, რომ ყველაფერი ჩემი სიმხდალის ბრალია, მაგრამ ამ დროს ან ღობე-ყორეს ვედები, ან არა და სასაფ-ლაოზე გავრბივარ ჩემის არარაობის გასათვალისწი-ნებლათ. ერთის მხრივ, დიდი უბედურება კია ასეთი ყოფნა!..

ჩემის გაჩინოვნიკების დროს მაშოსაც დიდი უბე-დურება მოსვლოდა: საყვარელი ქმარი მოჰკვდომოდა და მის სამარის სანახავათ ხშირათ უხდებოდა სასაფლაოზე სიარული. მძიმე შავებით მოსილი მიუჯდებოდა ხოლმე ფიჩხაშვილის სამარის მარჯვნივ მდგომარე მატურს და ქვაზე თავის-წყვეტებით დიდხანსა სტიროდა...

პირველათ ყურადღებას არ ვაქცევდი მაშოს, მაგ-რამ, ერთი-ორჯელ მისი ნამტირალევი თვალები რომ შეხვდნენ ჩემსას, რაღაც სითბომ დამიარა სხეულში და მას შემდეგ გულ-გრილათ ველარ ვუმზერდი მაშოს ტან-ჯვას. ალბათ, ქვრივიც ხედავდა ჩემს მისდამი თანაგრძნო-ბას და, მადლობის ნიშნათ, ნაღვლიანათ მათვალიერებდა ხოლმე.

ერთხელ, ტირილით დაოსებული მაშო დიდხანს იყო მატურის კვარცხლბეკზე დამხობილი. შემოღამდა. ხალხის ფეხის-ხმა მიწყდა. სასაფლაოს დარაჯებიც კი აღარსადა სჩანდნენ. საშინელმა სევდამ და სიჩუმემ მოიცვა მთელი სასაფლაო. მე გულმა კვნესა დამიწყო,— შემებრალა მგლოვიარე ქალი და, როგორც იყო, გავბედე მასთან მისვლა.

— აბრძანდით, ქალბატონო! მეტის მწუხარებით რას მოუმატებთ-მეთქი.—ზრდილობიანათ ვუთხარი მაშოს და ხმა ამიკანკალდა... იმჟამად გულწრფელათ თანავუგრძნობდი მაშოს უბედურობას.

მაშო შეკრთა, მწარეთ დაიგმინა და ქვითინით წარმოსთქვა:

— ოხ, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ, რა უბედურიო?!.

— რას იზამთ, ბატონო, სიკვდილი ყველას თავს არის-მეთქი, გულმტკივნეულათ ვანუგეშე იგი და ვურჩიე შინ წასულიყო.

მაშო ხმა-ამოუღებლივ წამოდგა, ერთხელ კიდევ დააშტერდა მატურზე მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ ანგელოზს, „ვაი-მეო!“ წაილუღლუღა და გამოტრიალდა. მგონი, მხოლოდ მაშინ შენიშნა მაშომ, რომ დახშირბინდებულიყო. ერთხანს შესდგა, ცრემლით სავსე თვალები შიშით შემოავლო მიდამოს და სახის ისეთი შემაძრწუნებელი გამომეტყველება მიიღო, რომ მე უნებურათ ავედევნე და სასაფლაოს ალაყაფის კარებამდის მივაცილე. აქ მაშო ჩაჯდა ეტლში, მადლობის ნიშნათ თავი მორცხვათ დამიკრა, შავი ძაძა სახეზე გადმოიფარა

და გასწია. მეც გავუდექ ჩემ გზას. ამ დროს ვფიქრობდი კაცთა ურთიერთობაზე, სიყვარულის უკვდაობაზე და ბედნიერათა ვგრძნობდი ჩემ თავს, რომ დაობლებულ-შეყვარებულს სასაფლაოს-მიერ ღამით აღძრული შიში მაინც არ ვაგრძნობინე.

II.

მე და მაშო უკვე გავეცანით ერთმანეთს და არ ვიცი, განგებ თუ შემთხვევით, სასაფლაოზე სიარულს უფრო მოვუხშირეთ. მაშო ჩვეულობრივ თავ-ჩაღუნული სტიროდა ხოლმე ქმრის მატურთან, მე კი ფეხ-აკრეფით დავხეტიალობდი ახლო-მახლო საფლავთა შორის და, ცალი თვალით რომ წარწერებსა ვკითხულობდი, მეორეთი—გეშათ გავცქეროდი ხოლმე მაშოს. რათ მემართებოდა ასე, გადაჭრით ვერ გეტყვი, მაგრამ ჩემი მისდამი მისწრაფება, მარტო მაშოს მგლოვიარობის ბრალი აღარ უნდა ყოფილიყო!..

არც მაშო დარჩენილა უცვლელათ. თუ-კი თვალს შემასწროდა, როდესაც მე მას ვუყურებდი, ისე გაიღიმებდა ხოლმე, გეგონებოდა მოღრუბლულმა ცამ გამოიდარაო. მისი ამგვარი ღიმილი გამბედაობას მიმატებდა და თამამად გამოველაპარაკებოდი ხოლმე.

— ნუ სწუხდებით, ყმაწვილო, მე ველარაფერი მანუგეშებსო,—მალი-მალ მეტყოდა ხოლმე მაშო, როდესაც მთელის ჩემის ძალ-ღონით ვცდილობდი გამომეფხიზლებინა იგი, მენუგეშებინა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა ჩვენ ურთიერთობას რაღაც სიახლოვე ემჩნეოდა. ერთმანეთის შეხვედრა, ერთმანერთან საუბარი მოთხოვნილებათ გარდაგვექცა. და ბოლოს დავძმობილდით კიდეც.

დაძმობილება კი ჩემი აჩქარების ბრალი იყო!

„ერთხელ ისე გამიტაცა მაშოსთან ლაპარაკმა, ისეთი აღტაცება მაგრძნობინა მისმა ნაწვიმარმა ჟუჟუნა თვალებმა, რომ უნებურათ მკლავი მკლავში გავუყარე და გატაცებით შევაშტერდი სახეში... მაშო ალვის ხესავით შეირხა, წყნარის მოძრაობით მოიშორა ჩემი ხელი და ცოტა წამოწითლებულმა, მგონი, საყვედურის თვალით შემომხედა. მისი ეს მოძრაობა, მართალია, წუთიერი იყო, მაგრამ მე ლახვარივით მომხვდა გულში და მაფიქრებინა, რომ უდიერათ, შეუსაბამოთ მოვიქეცი. რითი უნდა გამესწორებინა ჩემი საქციელი, აღარ ვიცოდი! თავდახრილი ერთხანს უსიტყვოთ ვიდექი მაშოს წინ და ჯოხით მიწასა ვჩიჩქნიდი.

— რაღას გაჩუმდით, ყმაწვილო? დაარღვია სიჩუმე ისევ მაშომ.

— არაფერს!.. მგონი, თქვენ შეურაცხყოფათ მიიღეთ ჩემგან ხელის შეხება... ღმერთს გეფიცებით, დასავით გიყურებთ-მეთქი! — წამოვისულელე და ყურებამდე გაწითლებულმა თავი უფრო ძირს დავიხარე.

— თქვენისთანა ძმის ყოლა დის სიამაყეაო! — ღიმილით მითხრა მაშომ და ისეთი თვალით შემომხედა, რომ წუმწუმასავით ავენთე. ამ წუთას მომწყურდა მისი გადაკოცნა და, მისი სამუდამოთ დაკარგვის შიშიც რომ არ აღმძვროდა, მარწყვივით გადავყლაპავდი მაშოს გიშერა თვალებს.

— მაშ, შენ დაჯ და მე ძმა-მეთქი! — არ ვიცი, რისთვის წამოვროშე და მაშოს ხელი გავუწოდე.

— ძალიან სასიამოვნოაო! — ღიმილითვე მიპასუხა მაშომ, ხელი მაგრა ჩამომართვა და განმშორდა... შინ მიეშურებოდა.

მე კი დიდხანს ვიდექ ერთ ადგილს და, ნაგრძნობ-ნალაპარაკევით თავს-ბრუ დასხმული, ვბუტბუტებდი:

რაკდენ სისულელეს ჩმახავს-მეთქი ტვინ-ამღვრეული ადამიანი!

III.

გავიდა რამდენიმე დღე: სამსახურისა გამო სასა-ფლაოზე წასასვლელათ ველარ ვიცლიდი, მაშოს ველარა ვხედავდი, მაგრამ მასზე ფიქრი კი თავიდან არა მშორ-დებოდა.

ახლა ის იქ იქნება... ახლა ის ტირის... საწყალი ქალი, საწყალი-მეთქი! ვბუტბუტებდი ხოლმე და თან ბაჩქარებით „Дѣло"-ებს ვათვალიერებდი.

უცბათ, „საქმეების" ფურცელსა და ფურცელ შუა გამომეცხადებოდა ხოლმე ჩემის დობილის სურათი და რამდენიმე ხანი შეშმიშივითა ვხდებოდი, რაღაც ტკბილსა და თან მწარე გულის ტკივილსა ვგრძნობდი. მებრალებოდა თუ მიყვარდა ‹‹ა›› მაშო?—არ ვიცი, ღმერთმანი! ეს კია, რომ ჩემ ფიქრსა და ოცნებას შეუბრალებლათ ჰბორკავდა მა-შოს მშვენიერი სახე, ჯეირანივით მოღერებული ყელ-ყური, ზღვასავით მღელავი მისი გედისებური მაღალი და ფართო გულ-მკერდი, ლერწამის კონასავით შეკრული ტანი, ცრემლით დანამული მისი შავი ჯიღა თვალები და... მთელ სხეულში ნეტარების ჟრუანტელი მივლიდა!

იმ დღეს, რა დღიდანაც ჩემი ამბავი იწყება, დი-დი უსიამოვნება შემხვდა ჩვენის უფროსისაგან: რაღაც უმნიშვნელო მიწერ-მოწერა მომთხოვეს. ბევრი ვეძებე, მაგრამ ხელათ ვერ ვიპოვნე. ჩემი უფროსი გაცოფებული ღრიალებდა და ყველას ლანძღავდა. წვრილმან მოხე-ლეებს კინაღამ თავი მაგიდაზე არ უცეცქვა, ხოლო მე,

როგორც სტოლის უფროსს, საჯაროთ საყვედური გამომიცხადა და მითხრა, რომ, თუ ამ ცოტა ხანში დასახელებულ ქაღალდებს არ იპოვნი, უფროსობას წაგართმევო. რაღა მეთქმოდა? ვირთაგვასავით შევძვერ სტოლის უჯრებში, ასი და ორასი „Дѣло"-ები გადავშინჯე, სამი ლიტრა მტვერი ჩავყლაპე, ოთხი ლიტრა სისხლი დავღვარე და, როგორც იყო, ვიპოვნე ის ბედ-უკულმართი ქაღალდები. გულ-მოსულმა ბღვერით გადავხედე ჩემ ხელ-ქვეითებს და ოფლში გაწურულმა, უფროსის კაბინეტისაკენ გავწიე.

მათი კეთილშობილება მოქურუშებული მისჯდომოდა ძვირფასს მაგიდას და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა.

— აი, ბატონო, ის „პერეპისკა"-მეთქი! — წავიბურტყუნე და დამცირებულის ღრეჯა-ღამილით ქაღალდები გავუწოდე.

უმფროსმა ალმაცერათ გადახედა ქაღალდებს, უკანვე გადმომიყარა და მითხრა.

— საჭირო არა ყოფილაო!

ამის გაგონებაზე სისხლი თავში ამვარდა. ერთით, მზათ ვიყავ თავზე გადამეფხრიწნა მისთვის ეს ქაღალდები, მაგრამ თავი შევიკავე და მთლად აცახცახებული უკან გამოვბრუნდი... ადგილის დაკარგვამ შემაშინა! კანცელარიაში რომ შევედი, ჩემი გადამწერლები საფანტნაკრავ ჩიტებივით ქაქანებდნენ და სახეზე შემოხედვას ველარ მიბედავდნენ. ნაღვლიანათ გადავხედე მათ, და გული მომიკვდა, რომ ყველა ასე მშიშარა და დაბრიყვებული ყოფილიყვნენ.

ლუკმა-პურის მონა და სხვის ხელის შემაყურებელი ადამიანი, ზიზღისა თუ არა, სიბრალულის ღირსი მაინც არის!..

სამსახურში დიდ-ხანს გული ველარ მოვიბრუნე და, რადგანაც მეცადინეობის გათავებამდე კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი, თავის ტკივილი მოვიგონე და შინისკენ გამოვწიე.

ამგვარ ყოფნაში კარგია მეგობარი, დამამშვიდებელი, და ნასადილევს სასაფლაოსკენ გავწიე. მაგრამ, მაშო რომ იქ არ დამიხვდა, მძოვრთა შორის ყოფილის ადამიანებისა, მეც, ცოცხალმა მძოვრმა, მწარე ფიქრებს მივეცი თავი...

აი, ამ დროს მოსულიყო ჩემთან მაშო.

— დიდი ხანია, აქა ხართო?—კიდევ გაიმეორა მაშომ და ფიჩხაშვილის საფლავის ქვაზე ჩამოჯდა. მეც გვერდით მოვუჯექ.

— კარგა ხანია-მეთქი,—ვუპასუხე მოკლეთ და დავუმატე.

— თქვენ ახლა მოხვედით? თუ ხათრი გაქვთ, ბევრს ნუ იტირებთ, დღეს ველარ ვუყურებ თქვენ ცრემლებს, უიმისოდაც გულ-ამღვრეული ვარ-მეთქი.—ეს სიტყვები ჩემდა უნებურათ წამომცდა და, რომ მაშო არ გაჯავრებულიყო, მოწიწებით შევხედე.

— მე, უკეთურმა, ტირილით რომ ველარა ვუშველე-რაო!—ნაღვლიანათ სთქვა მაშომ და ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ ალერსიანათ გადმომხედა და გაუბედავათ მკითხა:

— რათა ხართ გაჯავრებულიო?

ისეთის უცნაურის, არა-ჩვეულებრივის კილოთი იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, ისეთი სიტკბო და თანა-

გრძნობა იხატებოდა მაშოს ხმაში, რომ მე გულმა აჩქარებით ცემა დამიწყო.

— ნუ-თუ?.. დავეკითხე ჩემ თავს, მაგრამ წამს ნაფიქრი თავიდან მოვიშორე და აღელვებულის ხმით ვუამბე ჩემი იმდღევანდელი გაბოროტება. გულისწყრომით მოვიხსენიე ადამიანთა ურთიერთობა, გაუტანლობა და ძალ-მომრეობა, გავიკიცხე ლაჩართა უმსგავსობა და ის გარემოება, რომ კაცი, ადამიანი, მონაა ჩვეულებათა და არ ძალუძს დასთრგუნოს, გაექცეს მის შემავიწროებელ ცხოვრების პირობებს...

— რას იზამთ? ცხოვრება ასეთიაო! ნაღვლიანათ იმეორებდა მაშო ერთსა და იმავე წინადადებას და თან გატაცებით ყურს მიგდებდა. ხოლო, როცა ლაპარაკი გავათავე და გამწარებით ხელი ჩავიქნიე, მაშომ ალერსიანათ მხარზე ხელი დამკრა და ახლა იმან დამიწყო ნუგეშინის-ცემა.

— ნუ თუ?—კიდევ გამირბინა თავში უცნაურმა აზრმა და სიამოვნებით თვალები მივლულე. იმ დროს ჩემი თავი გმირათ წარმოვიდგინე და მაშოს სიახლოვით გამხნევებულს გული სასიცოცხლოთ მიცემდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვიგრძენ ჩემში რაღაც ახალი ძალა და აღფრთოვანებული ენას ველარ ვიბრუნებდი. მაშოც თრთოდა, ლაპარაკს ვერ ახერხებდა..,

— მე მინდა ეს მატური შევაკეთებინო და თქვენ რას იტყვითო?—როდის, როდის დაარღვია მაშომ სიჩუმე და თავისს ქმრის ძეგლზე მიმითითა.

— მე რა მეთქმის, თუ კი თქვენა გნებავთ-მეთქი.

— მაშ კარგი, რახან თქვენც საჭიროთ ხედავთო... აღარ დაათავა სიტყვა მაშომ.

სწორე გითხრა, გავკვირდი, რომ ჩემ თანხმობაზე ყოფილა დამოკიდებული მაშოს გარდაწყვეტილება, და, რომ ველარა მოვახერხე-რა, ღიმილით ვუთხარი:

— გმადლობთ-მეთქი—ყურადღებისათვის!

— თქვენ ძალიან დიდი ამაგი დამდეთ—დაიწყო მაშომ.—თქვენ რომ ჩემ უბედურებაში თანაგრძნობა არ გამოგეჩინათ, ვინ იცის, რა დამემართებოდა... თქვენ ჩემი უპირველესი მეგობარი ხართ და განა თქვენი აზრი არ უნდა მეინტერესებოდეს?—დააბოლოვა მაშომ და ახლა უფრო ალერსიანათ შემომხედა.

მე გული ბუტიდან გადმოვიფრინდა, თვალთ დამიბნელდა და მესამეთ კიდევ გამირბინა თავში იმ აზრმა, რომელსაც თურმე დიდი ხანია გულით ვატარებდი:

— ნუ-თუ მაშომაც შემიყვარა?.. ნუ თუ ველირსები ამის ჟუჟუნა თვალების დაკონებასა-მეთქი?.. გავიფიქრე და სულ მთლად ავირიე. არ ვიცოდი, როგორ გამემჟღავნებინა მაშოსათვის ჩემი გულის-თქმა. შიში მისი დაკარგვისა და ნეტარება მისი სიახლოვისა, გამოურკვეველი აწმყო და იმედი მომავალისა—ჭირის ოფლში მაგდებდა, ენას მიბამდა.

მაშოც კი არ იყო თავისს გუნებაზე. ხან ფითრდებოდა, ხან მაისის ვარდივით ლაჟლაჟდებოდა. ეტყობოდა, რაღაც ბრძოლა იყო მის გულშიც.

არის ხოლმე ქალ-ვაჟის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ვერც ერთი ენას ველარ იბრუნებს და ლაპარაკის საგანს ველარ პოულობენ. ჩვენც ასე მოგვივიდა. პირზე კლიტე დაგვედო და დამუნჯებულნი დიდ ხანს ჩუმათ ვისხედით.

ბინდდებოდა, სასაფლაოს წყვდიადი ეფინებოდა.

— საწყალი ფიჩხაშვილი! — როდის, როდის დაარღვია სიჩუმე მაშომ და ბროლის თითით ქვაზე ამოჭრილ ერთ-ერთ ასოს გასუფთავება დაუწყო.

— განა თქვენ იცნობდით ამ ვაჟსა-მეთქი? — სიხარულით ჩამოვართვი სიტყვა მაშოს. გამეხარდა, იმიტომ რომ ხშირათ ადამიანის ხმა ისევე ჰფანტავს მხეცურ ფიქრებს, როგორც განთიადი — ღამის წყვდიადს.

— როგორ არა! ჩვენ სარდაფში დალია სული. საწყალმა ჩემმა ანდროომ უპატრონა უკანასკნელ დღეს... შართლა, იცი რა უნდა გთხოვოთ? — გადააბრუნა სიტყვა მაშომ, — თუ შეიძლებოდეს, მოდით ჩვენთან და ანდროს წიგნები გადაშინჯეთ. მე იმ წიგნებისა არა მესმის-რა და ტყუილათ ყცდებიან, გავყიდი მაინც... იქნება, ამ წიგნებში ფიჩხაშვილის დღიურიც იპოვოთ, სადაც დაწვრილებითაა თურმე აწერილი მისი თავ-გადასავალი... — ამ სიტყვებით მაშომ თავის სადარბაზო ბარათი გამოიწოდა და ჯერ მე დასტურიც არ მიმეცა, რომ სახეზე ცხვირსახოც აფარებული უკვე ანდროს მატურთან იდგა.

ისე განმაცვიფრა, ისეთ ფიქრთა ბურანში გამხვია მაშოს დღევანდელმა მოპყრობამ და ჩვენმა უხერხულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ლაპარაკმა, თვით ჩემი მისწრაფება მაშოსადმი ისეთი ძლიერი და გამოურკვეველი იყო, რომ ვერ გეტყვი, ბევრი იტირა თუ არა მაშომ, ან იტირაკი? მხოლოდ ის მახსოვს, რომ მთვარემ ორივეს ისევ ფიჩხაშვილის საფლავის ქვაზე მჯდომარეთ მოგვასწრო.

საარაკო ფასკუნჯივით დაილალა ბადრმა მთვარემ შავი ღრუბლები და ქვეყანა საიდუმლოებით აავსო. საფლაოზე დარგულმა ხეებმა, თითქო გაიღვიძესო,

რხევა და ბუტბუტი დაიწყეს. ღამის ნიავი გრძნეულსავით დაძვრებოდა ბალახებსა და ბუჩქებში და მისი ყრუ სისინი ძრწოლით ავსებდა იქაურობას. ძეგლ-მატურთა ჩრდილები ვეშაპივით გაწოლილიყვნენ საფლავებზე და ისე გამოიყურებოდენ, გეგონებოდათ, თვით მიცვალებულნი წამომჯდარან და საყვედურით შესცქერიან მთვარესაო. ირგვლივ მყუდროება გამეფებულიყო, მყუდროება უცნაური, თავ-ზარ დამცემი. რაღაც ყრუ გმინვა და შიში დაფარფატებდა მიდამოში, გეგონებოდათ, მიცვალებულები ოხრავენო. მთვარე კი მიცურავდა ფეხ-აკრებით და შავ-ღრუბლებს სადღაც მიერეკებოდა.

მე და მაშო ვისხედით გაუნძრევლათ. შეგვკრა, შეგვბოჭა ბუნების სიდიადემ, მისმა უხილავმა ძალებმა, რაღაც საიდუმლო და თან ნეტარმა გულის-თქმამ და ადგომას ვერ ვახერხებდით. ისიც კი ვერ გავიგეთ, რომ ერთმანეთს ძალზე მივკროდით და მხარი მხარს გადაგვება.

პირველმა მე ვიგრძენ მაშოს სიახლოვე. მისმა ცხელმა სუნთქვამ ლოყა ამიწვა და უნებურათ სახეში ჩავაცქერდი... ქალის სიახლოვემ, ჩემ გულში დაგუბებულმა ძალამ სიცოცხლისამ ფუჩეჩივით ააპრიალა მთელი ჩემი არსება. ბუმბულივით ამიტაცა გულიდან წამონაბერმა ვნებათა-ღელვის ქარიშხალმა... გატაცებით მოვხვიე ხელი მაშოს და თავდავიწყებით დავეკონე იმის მაყვალა თვალებს... მაშოც ჩადნა ამ კოცნაში და თავისს გახურებულის ტუჩებით ჩემს ტუჩებს ეძებდა... მთელი იქ მყოფი მიცვალებულები წივილ-კივილითაც რომ წამოშლილიყვნენ, გონზე მაინც ვერ მოგვიყვანდნენ, მაინც ვერ დაგვათმობინებდნენ ამ ნეტარ კოცნასა!...

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით ამ თავდავიწ-

ყებაში, ხოლო, როცა გამოვფხიზლდით, შეშლილებივით წამოვცვინდით და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თავქვე დავეშვით. მე შემრცხვა, შემეშინდა ანდრიას ძეგლისა. ალბათ ასევე მოუვიდა მაშოსაც, მოვრბოდით გამალებულნი, უკან მიხედვას ველარა ვბედავდით. ასე მეგონა, მკვდრები ხარხარებენ, ხოლო ანდრია კი ნაღვლიანათ მოგვსძახის-მეთქი:

— აი, თქვე მხეცებო, მხეცებო!

გული მხოლოდ მაშინ დავიმშვიდე, როდესაც გადახურულ ეტლში ერთხელ კიდევ დავეკონე მაშოს მარჯანა ტუჩებს და აღგზნებულის ხმით ჩავჩურჩულე:

— მკვდრებს სამარე, ცოცხლებს კი დღეგრძელობა და სიამოვნება-მეთქი'... მაშოც რაღასაც ლუღლუღებდა.

IV

მთელი ორი-სამი თვე მე და მაშომ თავდავიწყებაში გავატარეთ. გარეშე ერთმანეთის ალერსისა ჩვენთვის აღარა სუფევდა-რა. აღარც სასაფლაო, აღარც ანდროს ხსენება, აღარც ფიჩხაშვილის თავგადასავალი, არც მზე და არც მთვარე, აღარაფერი აღარ გვეყურადღებებოდა. „ძმობილმა უთხრა დობილსა, მოდი შემოწექ ლოგინსაო!“— გრძნეულსავით გადიხარხარებდა ხოლმე მაშო და უზრუნველი ბავშვებივით ერთი ოთახიდან მეორეში დავრბოდით, დავკისკისებდით.

ხალხმა, მეზობლებმა დანიშნულებათ მიგვიღეს და, თუმცა ბევრი მანდილოსანთაგანი ბალიახტომში იღებდა (სწყევლიდა) მაშოს ქმრის მალე დავიწყებისათვის, მაგრამ მაინც ბედნიერებათა გვთვლიდნენ. ჩვენ კი გვეჯავრებოდა ის ხილხი, რადგანაც მათი ცნობის-მოყვარეობა, ცოტა არ იყოს, გვავიწროვებდა. იმჟამათ, ჩვენ გარდა,

ყველა რომ ამოჟლეტილიყო, არას ვინაღვლებდით!..

ახლა რომ ვუკვირდები ჩემს მაშინდელ ყოფნას, სირცხვილის ალმური მწვავს და ჩემ თავს ვუდარებ იმ ოთხფეხს, რომელიც ყარაულობს ხოლმე თავის ძუს! ადამიანი?!. ყოველ-პირუტყვზე უარესია, თუ კი იგი აჰყვა თავის მხეცურ გულის-თქმას!!.—ხორციელათ გატაცებულნი, მე და მაშოც, ვერიდებოდით ნათელ აზრს და აწმყოთი დარეტიანებულებს ერთხელაც არ გვიფიქრნია მომავალზე. მაგრამ დროთა სვლამ თავისი გაიტანა, საზოგადოებრივმა-გრძნობამ ანგარიში მოგვთხოვა და, როდესაც დაგვიდუღდა ამღელვარებული სისხლი, როდესაც თვალიდან ჩამოგვეხსნა პირველ გატაცების რიდე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენით, რომ ჩვენ შუა საშინელი უფსკრული ,ყოფილა, უფსკრული, ერთი მეორის სხვადასხვაობითა და სხვა-გვაროობისაგან გამოწვეული. მაგრამ ორჭოფი კაცის საქმე, ხომ იცი, საალალბედოა. იმდენი ვაჟკაცობა ვერ გამოგიჩინე, რომ ერთის დაკვრით ამოგევსო ეს უფსკრული: სამუდამოთ განვშორდებოდი მაშოს, იმის მაცდურ სიყვარულს! მართალია, იყო ხოლმე ისეთი წუთები ჩემ მაშინდელ ცხოვრებაში, როდესაც მზათ ვიყავ მაშო მიმეტოვებინა, მაგრამ ამავე დროს რაღაც სულელური ეჭვი შემიპყრობდა ხოლმე, რაღაც ბრიყვული თავმოყვარება მიმონავებდა... მაშო კი, დიდი ხანია, გამოფხიზლებულიყო და ნელ-ნელა შენ-ჩემობა, ანგარიშობანა დამიწყო.—ახლა, ჯვარი როდის უნდა დავიწეროთო?— ხუმრობის გარეშე მითხრა ერთ დღეს მაშომ და მწარეთ ამოიოხრა, ხითქო ამითი უნდა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ ახლა კი დროა შევუდგეთ ერთ-ფეროვან, მოწყენილ ცხოვრებას, რომელსაც მეო-

ჯახეობა ჰქვიანო.—მართალი გითხრა, მე, დიდი ხანია, მოველოდი ამ წინადადებას, მაგრამ მის გაგონებაზე გული მაინც გადმომიქანდა და ერთის თვალის დახამხამებაზე ჩემი თავისუფალი „მე“, ჩემი გამოფხიზლებული არსება, საწინააღმდეგოთ მოემზადა. ჰო თუ არა—გრიგალივით დატრიალდა ჩემის გულის სილრმეში და ისეთი თავზარი დამცა უკუღმართ მომავლის მოლოდინმა, რომ კინალამ ხარივით არ დავიბღავლე: არა, მე ჯვარის დამწერი არა ვარ-მეთქი!.. მართლადაც, განა მე საოჯახოკაცი ვარ? ერთი რაღაც მხდალი და უხასიათო ადამიანი, განა შევძლებდი რიგიან მეოჯახეობას, მერე იმისთანა მეუღლესთან, როგორიც იყო მაშო? „ჯვარი დავიწეროთო?“—უდიერათ შითხრა მაშომ და მე კი ამ დროს საშინელი სურათი წარმომიდგა: ერთის მხრივ, ვნებათა-ღელვათ გარდაქცეული ცოლი, რომელიც მუდამ გართობაზე, კაბებზე, ცეკვა-თამაშზე და არშიყობაზე ჰფიქრობს, ხოლო, მეორე მხრივ, ქედ- მოხრილი და ჩაფიქრებული ქმარი, რომელიც სულ იმის ზრუნვაშია, რომ გროშიგროშზე გადააბას ცოლ-შვილის გამოსაკვებათ. მუდამ წელში მოღუნული, უუკიდურესის სასოწარკვეთილებით შესცქნავის უფროსებს, სამსმხურიდან არ დამითხოვონო... ხელ-მოკლე ყოველსავე საზოგადო საქმეს ივიწყებს, უბრთხის... შვილებს მოწიწებასა და მორჩილების ქვეშა ზრდის, ყოველსავე თავისუფალ მისწრაფებას უხშობს ნორჩ არსებათ, თითონაც ემალება სინათლეს და, მთელი დღე პირუტყვივით მომუშავე, ყოველ-გვარ დამცირებას იტანს, რომ ლუკმა-პური, გაძალლებული სიცოცხლე შეინარჩუნოს. არა, არა! მე არ მინდა მუდამ მონა, ქვეწარმავალი ვიყო-მეთქი!— გადავწყვიტე გუნებაში და შევე-

ცადე მაშოსთვის სიტყვა ბანზე ამეგდო, რადგანაც მაშოს კანონიერათ გადამკიდე მისი ყურ-მოჭრილი მონა და ყარაული უნდა შეექმნილიყავ.

— სანამ შვილები მოგვეცემოდეს, ვიცხოვროთ ჯვარ-დაუწერლათ, თავისუფლათ, ვინაიდან მარტო თავისუფალი დამოკიდებულება აფაქიზებს-მეთქი ადამიანს! — როდის როდის ვუთხარი მაშოს და თავი დავხარე.

— მერე ხალხი, საზოგადოება? ხომ თითით საჩვენებელი გავხდებითო! — დაიწუწუნა მაშომ და მადლობა ღმერთს, რომ იმჟამათ მეტი არა სთქვა-რა.

— ხალხი, საზოგადოება? — გავიმეორე მე დაცინვის კილოთი და დავუმატე: მართალია, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხი ჯერ ისეა დაქვეითებული, რომ თვალთმაქცობა ურჩევნია პირდაპირობას, მაგრამ ჩემის რწმენით კი თავისუფალი პიროვნება უფრო სასარგებლოა ამავე საზოგადოებისათვის და, მოდი, ამ შემთხვევაში ყურს ნუ დავუგდებთ უვიცთა მითქმა-მოთქმასა-მეთქი.

მაშო გამებუტა. ოჯახურ მონობასა და ცრუმორწმუნოებაში აღზრდილი ვერ შერიგებოდა საყვარელ კაცთან თავისუფალ ცხოვრებას და ყოველგვარ ხრიკებსა ხმაროობდა, რომ ჩვენის ურთიერთობისათვის კანონიერი არშია შემოეკვლო. — შენი პირადი სილარიბე ნუ გაშინებს, ჩემო კარგო, მე ხომ მდიდარი ვარ! აი, ეს მოწყობილი ბინა, ეს სახლი და კარი, დავიწეროთ ჯვარი და ბედნიერათ ვიცხოვროთო! — აღარ ისვენებდა მაშო და ჩემს სილარიბეს, რომელსაც მე, სხვათა შორის, მოვებღაუჭე, თავისს სიმდიდრეს უნაცვლებდა. შეიძლება ბევრმა სულელიც დამიძახოს, რომ არ ვისარგებლე მზა-მზარეულის ქონებით, მაგრამ მაშოს წინადადებამ კი მე ძალიან ამაღელვა.

უნდა გამოვტყდე, რომ ამჟამათ, როდესაც ყველაფერი უკვე გადამხდა, განვიცადე, ჩემი დანიშნულება ცხოვრებაში უფრო ნათლათა მაქვს წარმოგენილი, ზედ-მეტათ მეზიზღება ჩემი მაშინდელი ყოფნა და გულის-თქმანი და, ამდენი რომა მცოდნოდა, იმ თავითვე იქნება სულის სიმშვიდეც არ დამეკარგნა. მაგრამ არც მაშინ ვყოფილვარ იმდენათ გათახსირებული, რომ თავი გამეყიდნა და, საზოგადო გარემოებათაგან დამონავებული, კერძო ადამიანის მონათაც შევქმნილიყავ. მაშოს სახლკარი ოდესმე ეკუთვნოდა ანდროს, იმ კაცს, რომელსაც ისე ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ სულ იმის სახელობაზე დაუმდკიცებია თავისი მონაგარი. ეს თითოეული სტოლი, თითოეული სკამი, ოთახის თითოეული კუთხეც კი შოწმე ყოფილა მაშოს ქმრის სულის კვეთებისა, იმის ზრუნვისა, ოცნებისა მომავალზე. მე წარმოვიდგინე ჩემი თავი ანდროს ყოფნაში და სისხლი ამემღვრა, დამამცირებლათა, და გამათახსირებლათ ვიგრძენ ჩემი აწმყო... არა, არა! მე არ შემიძლია დავეპატრონო იმას, რაც მარად-ჟამს, შენის ყოფილის ქმრის აჩრდილს გამახსენებს-მეთქი, არასოდეს!—დავუყვირე მაშოს და სულ მთლად ავკანკალდი. უნამუსობისა და უპატიოსნობის ჭირის ოფლმა დამასხა. მაშოს ხმა აღარ გაუცია, უარესათ გაიცხვირა, ბუზღუნსა და ტირილს მოუმატა. იმისი აზრით, მე ვიყავ დამნაშავე, რომ იგი გზიდან გადავარდა, ქმრის ხსენებაზე ხელი აიღო.

— ნუ თუ?-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემ თავს, ჩემს სინიდისს, მაგრამ სინიდისი ხმას არა მცემდა და ვგრძნობდი კიდეც, რომ ჩვენ დაახლოვებაში მეც იმდენად ვი-

ყავ დამნაშავე, რამდენათაც თვით მაშო. უკეთ რომ ვსთქვა, არც ერთი არ ვიყავით პირდაპირი დამნაშავე... ხორცს ხორცი მოეწონა და ამ მოწონებამ, ამ გატაცებამ ერთხანს დაჩრდილა, დააჩლუნგა ჩვენი გონება ხოლო, როდესაც გამოვფხიზლდი, ჩემმა შემცოდე გულის თქმამ მაშოსთან თავისუფალი, —პატიოსნური ურთიერთობა მირჩია.

— ნუ სტირი, გეთაყვა, ჯვარის-წერა ადამიანს არ გამოსცვლის... შენ შენი თავის ბატონი იყავ. მე ჩემის თავისა და ჩვენი შემაერთებელი კი სიყვარული და ერთგულება იყოს. ასე უფრო დამოუკიდებელნი ვიქმნებით და, თუ ვინიცობაა, შემდეგში ვერ შევთანხმდით, ორივეს გზა ხსნილი გვექნება: იქნება ხასიათები ვერ შევუწყეთ ერთმანეთს, იქნება კიდევ მოგეწონოს ვინმე და მაშინ საჯლა მოვნახოთ ისეთი მოწმები, რომელთაც უეჭველათ მრუშობის სარეცელზე უნდა გვნახონ მეთქი' — ხუმრობის კილოთი დავაბოლოვე ჩემი გრძელი სიტყვა და თან სასაცილოთ ვიღიჭებოდი, მინდოდა მაშო გამეცინებინა. მაშო კი ისე სტიროდა... ოხ, ეს ქალის ცრემლები!!. რაც უნდა არ მოგწონდეს ქალი, თუ მთლად გამხეცებული არა ხარ, მისი ცრემლები მაინც გალბობენ და შენდა უნებურათ საალერსო სიტყვებს გამოგტყუებენ. მაშო კი ჯერ ისევ მომწონდა, მიყვარდა, როგორც დაუმჭკნარი ია თაიგული. მისი მხსნელი მისივე თვალ-წარმტაცი გარეგნობა იყო!

— ჰო, კარგი, ნუ სტირი!.. როცა იქნება, ჯვარსაც დავიწერთ, შვილებს ხომ უკანონოთ, ბოგანოთ არ დავტოვებთ-მეთქი! — დავემორჩილე მაშოს.

— თვალიმც გამოხეთქიათ შენს შვილებს.... მე

შვილები არ მეყოლება, არა!.. ზომები მაქვს მიღებული მე შვილები კი არა... მე მინდა კანონიერათ ვიცხოვრო შენთან .. მინდა კვლავ საზოგადოებაში გავერიო. . ახლა კი სადღა გამოვჩნდები შენი ხასაო!.. სლოკინებდა მაშო.

ამ უკანასკნელმა მისმა საიდუმლომ თავზარი დამცა! დედა-კაცს ძალათ დაუკარგავს თავისი თვისება, მაშ რაღა დაუტოვა ქმარს, საზოგადოებას, მომავალს? მოტყუება, ორგულობა, ფლიდობა?... ფუი!!. გავაფურთხე ბრაზმორეულმა და ოთახში აღელვებით ბოლთის ცემა დავიწყე. სხვა უჩემო, მაგარი ხასიათისა და მტკიცე აზრებ ს კაცი, ერთ წუთსაც აღარ მოიცდიდა მაშოსთან და ცხრამთას იქით გადიკარგებოდა, მაგრამ ჩვენში ბევრზე ბევრია უნიადაგო, ისე ალალ-ბედზე, მცხოვრებელი, და ერთი იმათგანი, ჩემდა საუბედუროთ, მეც ვიყავ!..

დაღამდა. ქალაქის სანთლებმა მორცხვათ შესცინეს ცაში მოციმციმე ვარსკლავებს. მაშომაც გოგოს აანთებინა სალამური ლაჟვარი და იდაყვებით მაგიდაზე დაეყრდნო, ალმაცერათ დაანდო თავი ხელებზე და, ჩემკენ სახე შემობრუნებული, თვალებათ გარდაიქცა. შავი ხუჭუჭი თმები შუბლზე საყვარლათ გადმოეჯარა და ფართო მკერდი, რომელიც სიცხისა გამო ნახევრათ მოეტიტვლებინა, ზღვასავით უღელავდა. სკამზე უკმეხათ მჯდომარე მაშო სწორეთ განხორციელებული გრძნობათაღელვა გეგონებოდა... დალახვროს ღმერთმან მაცდური! თითოეული მისი შეხედვა თანდათან მამშვიდებდა, მისდამი გულის-წყრომას მიქარვებდა და, ბოლოს, მისმა სიმშვენიერემ თავი კიდეც წამართვა. ფეხ-აკრეფით მივედი და გამოველაპარაკე.

— იქით დამეკარგე!—გამიჯავრდა მაშო და ისე, არც თუ ძლიერის წყროომით და არც თუ ალერსის გამოსახატავათ, გულში ხელი მკრა. ხელის ამ გვარის კვრითა და ბუზღუნით არა ერთხელ და ორჯელ დაუტყუვნია ჩემთვის ალერსის ფიცი, მაგრამ ამჟამათ თავი შევიკავე, ხელახლათ გაღვიძებული მხეცი უმალ ჩავკალ ჩემს გულში და ისევ ბოლთის-ცემა დავიწყე. მაშო ალბათ არ მოელოდა ჩემს ამგვარ საქციელს და, ცოტა არ იყოს, განცვიფრდა.

—საზიზღარი მამაკაცებიო! ბუტბუტებდა ჩემს გასაგონათ მაშო და თ-ნ გულ-მკერდს იღელავდა. მე პირს ვარიდებდი, მაგრამ...

— როდემდისო?—თითქოს მეკითხებოდნენ მაცდურის თვალები!..

## V.

ჩვენ ურთიერთობას ნაძალადევობა დაეტყო. მართალია, მაშო სახლიდან არ მითხოვდა და არც მე ვშორდებოდი, მაგრამ სამსახურსა, ჩემ ამხანაგებთან ლხინსა და ქეიფს უფრო ბევრ დროს ვანდომებდი ხოლმე და მაშოსთან მარტო საღამოობით დავიარებოდი. მაშოც აჰყვა თავისს ტოლ ქალებს და, მათის დახმარებით, კანონიერ საქმროის ძებნას შეუდგა. მაშოს, უეჭველად, ცოლის სახელი უნდოდა და, რაკი მე ჯერ-ჯერობით ვერ დამითანხმა, თვალი განზე დაიჭირა.

მართალი გითხრა, მაშოს ასეთი ქცევა საშინლად მაბრაზებდა და, ერთ გარემოებას სამუდამოთ რომ არ გამოვეფხიზლებინე, იქნება ბოლოს მაშოს დავეძლიე და «ცოლის ქმარი» გავმხდარიყავ.

შარშან, დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს, წამოვიკუ-

ხე პალტო და აჩქარებით მაშოსკენ გავწიე. მაშო შინ არ დამიხვდა. გოგომ ზალაში მიმიღო და მითხრა: „ქალბატონი მალე მოვალ“. მე ლოდინი დავუწყე. უაზროთ დავხეტიალე ოდი ხალის ერთის კუთხიდან მეორემდის, თუმცა კი გული მეთანაღრებოდა, რომ მაშო ამ დრომდის კარში იყო. ჩემ გულის კვნესას გარედან ქარი ქვითინით ბანს აძლევდა და ეს უფრო მაწუხებდა: ოთახში ყიალით გაპოლენჩებული გავჩერდი წიგნებით დატვირთულ საწიგნესთან და დიდის მზრუნველობით დალაგებულ წიგნებს თვალიერება დავუწყე.

— საწყალი ანდრო, წიგნები კი ჰყვარებია-მეთქი—წავიდუდუნე და ერთი მათგანი ხელში ავიღე...

მეშვიდე თუ მერვე თვე იყო, რაც მე მაშოსთან ვცხოვრობდი და დღეს პირველად ვახსენე ანდრო. დღესვე გამახსენდა მაშოსთან პირველი შეხვედრა, სასაფლაო, ფიჩხაშვილის სამარე და მწარეთ გამეცინა. რა არის ადამიანი? რა არის მისი წვრილმანობითა და გაიძვერაობით სავსე ცხოვრება-მეთქი?—გავიფიქრე და ცივმა ოფლმა დამასხა... პირველად მაშომ ამ წიგნების გადასარჩევად მომიწვია და ჩვენ კი წიგნებიცა და მისი პატრონიც დავიწყებას მივეცით' ჯერ დავმეგობრდით და მერე ანგარიშობა დავიწყეთ, ჯერ თავისუფლად გვიყვარდა ერთმანეთი და მერე ურთიერთს დამონება მოვუნდომეთ! რად მოხდა ყველა ეს? ნუ თუ არ შეიძლება დავუბრუნდეთ პირვანდელ თავ-დავიწყებას, ნუ თუ არ შეიძლება სამუდამოდ გვიყვარდეს ერთმანეთი-მეთქი?—დავეკითხე ჩემ თავს და ამ კითხვათა პასუხის მიცემამ გამაბრუა, თავს რეტი დამასხა... იმჟამად მაშო რომ გვერდითა მყოლოდა, შეიძლება ფეხებში ჩავვარდნოდი, შენდობა და მოტევება მე-

თხოვნა, შეიძლება გამეტაცნა იგი და მასთან ერთად გავქცეულიყავ შორს, გარდავხვეწილიყავ ისეთ მხარეში, სადაც სულ სხვაგვარად ფიქრობს და იღვწის საზოგადოება, სადაც პიროვნება, მისი სხვასთან ურთიერთობა და გულის-თქმანი უფრო თავისუფალი, უფრო ფაქიზია. მაგრამ მაშო იქ არ იყო...

— ვინ იცის, ახლა ვისთან არის მეთქი?! —წამოვიძახე გულ-მოკლულმა. საშინელმა ეჭვებმა შემიპყრეს... წარმოვიდგინე, რომ მაშო სხვას ეალერსება, სხვას, ეფიცება სიყვარულს და სიამოვნებით თავბრუ-დასხმული ეს სხვაც ეხვევა და კოცნის ჩემ მაშოს, ჩემ ყოფილ ნანდაურს, საყვარელს... გულზე ცეცხლი მომეკიდა და, რომ ველარა გავაწყვე-რა, გაშმაგებით წამოვუსვი ხელი საწიგნეს და წიგნები სულ ძირს ჩამოვყარე...

ბრახა-ბრუხზე გოგო ზალაში შემოვიდა. გამოვფხიზლდი... გოგოს ვუბრძანე წიგნების ალაგებაში მომშველებოდა და, გოგოსაგან რომ ჩემი მღელვარება დამეფარა, შორს გატყორცნილ წიგნებისაკენ გავწიე. იმ წიგნიდან, რომელიც პირველად ხელში ავიღე, ერთი რვეული გამოვარდა. თავზე ეწერა „ფიჩხაშვილის თავ-გადასავალი“. —ჰმ... ვნახოთ, რა კაცი ბრძანდებოდა ეს ფიჩხაშვილიც-მეთქი, —წავიდუდუნე და რვეული უბეში ჩავიდე. წიგნები ისევ თავიანთ ადგილას დავალაგე... კარგა ხანიც გავიდა. დაჰკრა საათმა 11, 12, 1, მაგრამ მაშო არსადა სჩანდა... გაჯავრებულმა დავავლე ქუდს ხელი და შინისკენ გავქანდი. გზადაგზა ვლანძღავდი მაშოს, ვლანძღავდი ჩემ თავს და ვწყევლიდი იმ წუთს, როდესაც მაშოს შევხვდი! საშინელი აღრენილი ვიყავი!.. ცრემლი და ბოღმა მარჩობდა. ერთ ადგილას, გაკაშკაშებულ ბუფეტის

მორთულობამ ისე მაცდურად შემომცინა, რომ კინაღამ არ ჩავუხვიე და არ დავითვერ ხარივით, რომ გულის დარდი ღვინოში ჩამეკლა. მაგრამ ისეთი კოცონი მენთო გულში, რომ ღვინოც ველარ მიშველიდა!.. მაშინ არ ვიცოდი, რათ მომდიოდა გული ასე, მაგრამ ახლა, რომ ვუკვირდები, ვგრძნობ, რომ თურმე ჩემი თვითმოყვარება, ჩემი შებღალული ხვადობა მამოქმედებდა. ცხოველებმაც ხომ ასე იციან ხოლმე!..

შინ გამთბარი და განათებული ოთახი დამხვდა. მაშინვე გავიხადე ტანთ, ჩავწექ ლოგინში და შავის ფიქრების თავიდან ასაცილებლად, ფიჩხაშვილის რვეულის კითხვას შევუდექი. ბედნიერი იყოს ის წუთი!.. ცოტა არ იყოს, გამომაფხიზლა... ჩემი ცუდი და ავი გამითვალისწინა, შემაძულა!..

VI

„189... წლის ოქტომბერი. ამ ცოტას ხანში შემისრულდა ოც-და-თვრამეტი წელიწადი,—ასე იწყებოდა ფიჩხაშვილის თავგადასავალი—ოცდა-თვრამეტი წელიწადი!.. სიზმარივით გაიარა ამ დრომ ჩემ თვალთა წინ და მერე რა მომცა? დაძაბუნებული სხეული, გარყვნილი გულის-თქმა, წამხდარი ხასიათი!.. ვინ იცის, კიდევ დავესწრობი თუ არა ახალწელიწადს! შეიძლება, რომ დავე სწრო, რადგანაც ძვალ-ტყავათ ქცეული სხეული ადამიანისა ხშირათ რამდენიმე წელიწადი ატარებს ხოლმე განაწვალებულ სულს, ქვეყნისა და თავისდა საბალალოთ. მე კი აღარ მინდა სიცოცხლე ამ ყოფნაში!.. ნეტავ, ახლავე მოვიდოდეს სულთამხუთავი და შემისვამდეს თავისს გამხმარ მხრებზე!..

„მაგრამ... არა! ცოტა კიდე დამაცალე, შავო სიკვდილო, დამაცალე, ვიდრე ჩემის ცხოვრების აღწერას დავასრულებდე. იგი დამამშვიდებს მე, ხოლო სხვას კი ჭირის ოფლს დაასხავს და დააფიქრებს. ოხ, რა კარგი უნდა იყოს აზრიანი, დაკვირვებული სიცოცხლე!.. მაშ, დავიწყოთ.

„მაგრამ საიდან დავიწყო? ვსთქვა, ვინ იყო ჩემი დედ-მამა, როდის დავიბადე, სად ვისწავლე, რა ვნახე და რა განვიცადე? მაგრამ ჩემი დედ-მამა ჯერ რა სახსენებელია იმ ერთან, რომელსაც შთამომავლობით ვეკუთვნი...

„მე შვილი ვარ იმ ერისა, იმ უქნარა საზოგადოებისა, სადაც ჩემისთანა უბედურის ადამიანის სიკვდილი კი არა, თვით ცნობილის მოღვაწის ცოცხლათ დაკარგვაც კი არავითარ საზოგადოებრივ აღშფოთებას არ იწვევს... მე შვილი ვარ იმ ერისა, რომელიც ჟამთა ვითარებისაგან ისე დაძაბუნებულა, რომ მტერს და მოყვარეს ველარ არჩევს და რომლის მეთაურებიც შინ ერთმანეთს მამულიშვილობას აყვედრიან, გარეთ კი ქედწახრილნი, უვიცნი და მშიშარნი არიან... მე შვილი ვარ იმ ერისა, რომლის რჩეულნიც ჯვარს გაცმენ, თუ ქათინაური არ უთხარი, და რომელიც არა ზრუნავს თავისიანების კეთილ-დღეობისა, თითოეულის თავის წევრის დახმარებისა, გამოფხიზლებისათვის... მე შვილი ვარ,—მაგრამ... კმარა! ჩემისთანა შვილი თვალსაჩინო მაგალითია, სარკეა, ჩემიანებთა დაქვეითებისა, გათახსირებისა!.. მაშ, ისევ კერძოთ ჩემ თავზე ვილაპარაკებ.

„მე დავბადებულვარ სასულიერო კაცის ოჯახში. მამა არ მახსოვს, დედას კი მოვესწარ და კარგათაც შევისწავლე მისი თვისება-გულისთქმანი. საკოდავი ერთი რა-

ღაც უწვრთნელი და უცნაური ადამიანი იყო. გეგონებოდათ ბუნებას აფთრათ სდომებია და შეცდომით ადამიანათ-კი გაუჩენიაო. მუდამ მოწუწუნე, მუდამ ბედის მომდურავი, სულ თავისს თავს სტიროდა და, პატარა გამოცდილება რომა ჰქონოდა, ქვეყანას ამოაგდებდა. თავმომწონე, ამაყი, გულზვიადი თვით დამცირებული უვიცობითა და გონების სიბნელით—თავის სწორათ აჩავისა სთვლიდა. მუქთა ტაბლა-ხორაგს დაჩვეული, საყვედურით ავსებდა ქვეყანას. უკიდურესმა სიღარიბემ, რომელიც თავზე დაატყდა ქმრის (მამიჩემის) სიკვდილის შემდეგ და რომელმაც ყველაფერი აკადრებინა, უარესათ გამოათაყვანა საბრალო ადამიანი, გული შურით აუვსო.

„არავითარი საზოგადობრივი აზრი არა ჰქონოდარა, სწამდა მარტო ერთი მცნება: კაცი იმიტომ არის გაჩენილი, რომ კარგი სვას, კარგი სჭამოს, სხვას გაუბატონდეს, გაჩინოვნიკდეს, გამედიდურდეს, გაივსოს ქონებითა და დოვლათით, რომ ქვეყანა მას შენატროდეს და ქვეყანა კი მისი ყურმოჭრილი ყმა იყოსო.

„იმდენათ უვიცი იყო საბრალო დედა-ჩემი, რომ ჩვენის ხეობის იქით ქვეყანა არ ეგონა. არ იცოდა, იყო თუ არა ქვეყნად ჩვენებურ ბოქაულზე უფრო გავლენიანი კაცი, მართლა არსებობდა თუ არა სახელმწიფო, დიდრონი სამრეწველო და საფაბრიკო ქალაქები, გადავარდა თუ არა ბატონყმობა, არსებობდა თუ არა მანქანები, ელექტრონი, რკინის გზები და ათასი სხვა საკვირველებანი ბუნებისა და მეცნიერებისა. იქნება გაეგონა რამ, მაგრამ ყველა ეს ზღაპრათ მიაჩნდა. თვით სარწმუნოება, რომლის წარმომადგენელიც იყო მისი ქმარი, დედა ჩემს თავისებურად ესმოდა: სწამდა სალო-

ცავები, ხატები, ეკლესიები, მღვდლები, ბერები საკვირ-
ველთ-მოქმედნი. მაგრამ ეს რწმენა რაღაც ფანტასტი-
ური და ძალზე ცრუმორწმუნეობრივი იყო. მაგალითათ,
მამა-ღმერთისა უფრო ეშინოდა ხოლმე და, როდესაც
ჩვენის სოფლის ეკლესიაში დახატულ სამების წინ სან-
თელს ანთებდა, სანთელს მამა ღმერთის წინ დარგამდა
ხოლმე, ხოლო ძე-ღმერთს კი ეეედრებოდა—მამა ღმერთს
შემახვეწეო.

სიყვარულით კი ძლიერ ვუყვარდი საბრალოს და
ვუყვარდი ისე მხეცურათ, როგორც ძროხას უყვარს
თავისი ხბო! მუდამ მანებივრებდა, მიალოლიავებდა, მარ-
ჩევდა დანარჩენ ბავშვებში, მაგრამ მარტო სიყვარული
ხომ არა კმარა ბავშვის აღზრდისათვის?! მომავალი თაობა
მატარებელია უკეთესის მერმისისა, მაგრამ დედა ჩემს თა-
ვისი აწმყო რომ არ ესმოდა, მომავლისათვის რას მომამ-
ზადებდა! „იყავ, შვილო, მორჩილი ღვთისა და უფრო-
სისაო“. აი, ამ ორ სიტყვაში გამიხატებოდა დედიჩემის
სწავლა. სოფელი, ბუნება, მისი მოვლენანი, ტოლ-ამ-
ხანაგი, ხალხი, ერი, კაცობრიობა და ყველა ის, რაც კი
იზიდავს ბავშვის ყურადღებას, ჩემთვის გაუგებარნი რჩე-
ბოდენ და მეც ცრუმორწმუნეობითა და ცრუ აზრებით
მევსებოდა ნორჩი გული.

წელანვე ვსთქვი: მამაჩემი არ მახსოვს. მეთქი-
სულ ხუთი წლისა ვყოფილვარ, როდესაც იგი მომკვდა-
რა. ვინ იცის რა გულისა, ხასიათისა და თვისებათა კაცი
იყო! მართალია,“ დედა-ჩემი ყოველთვის აქებდა ხოლმე,
მაგრამ დედაჩემის დაფასება რა ანგარიშში ჩასაგდებია,
როდესაც იმას ამ ქვეყნისა და ადამიანისა არა გაეგებო-
და-რა. გარეშეთ ხომ სულ არა დაეჯერებათ-რა! ერთნი

ამბობდნენ, რომ მამაჩემი დიდი ნიჭიერი, მაგრამ ლოთი და ქალების მოყვარული ყოფილა, მეორენი კი ანგელოზს უდარებდენ. ერთის სიტყვით, მე არ ვიცი რა სულიერი და ზნეობრივი განძი გადმომცა პირადათ ჩემმა წინაპარმა.

თუ ჩემის მოქმედებისა და გულისთქმა-ხასიათის მიხედვით დავაფასე ჩემი წინაპრები და ლომბროზოს თეორიით ვიხელმძღვანელე *), ბევრ სანაქებოს ვერას ვიტყვი, რადგანაც ჩემისთანა სუსტი ნების ადამიანი იშვიათად მოიძებნება.

მეორეს მხრივ, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ერთი მგლისკენაცა ვსთქვა. მე ისეთი მოხერხებული, ნიჭიერი, მჭევრმეტყველი და წინაგრძნობის კაცი ვიყავ, რომ რიგიანი აღზრდა უთუოდ გამომაჩენდა. მაშასადამე? მაშასადამე, ვაი თუ უდანაშაულონი იყვნენ ჩემი წინაპარნი და მე წავეხდინე ჩემ თანამედროვე ცხოვრებას, ხალხს და საზოგადოებას. ერთით ესეც საკვირველი არ არის, ვინაიდან საქვეყნოთ სულელებათ აღიარებულთა გარდა, ჩემს სიცოცხლეში ერთი გულწრფელი ადამიანი არ შემხვედრია. ყველა ერთი მეორეს, ან თავისს თავს ატყუებს! უკაცრავად ვარ ჩემ მკითხველებთან, მაგრამ ეს ასეა და ყველა ჩემსავით ერთ დღეს რომ მოჭკვიანდეს, ყველამ რომ აღიაროს თავისი ცოდვები და სხვაც ისე შეიყვაროს, როგორც თავისი ჯერ-ჯეროობით გათახსირებული და მოტყუებული თავი უყვარს, ქვეყნათ ცხოვრება

---

*) ლომბროზო იტალიელი გამოჩენილი ექიმი და მეცნიერია, რომელიც წინაპართა შთამომავლობაზე გაკლენას იკვლევს.

სამოთხეთ გარდაიქცეოდა. დიახ, მართალს მოგახსენებთ!..“

— სრული ჭეშმარიტება-მეთქი! გულწრფელათ წამოვიძახე და ფეხზე წამოვიჭერ. ოთახის დაყრუებულმა კედლებმა, თითქოს ბანი მომცესო, ზანზარი დაიწყეს... აღელვებული დიდხანს დავყიალობდი საცვლების ამარა და არ ვიცოდი განმეგრძო კიდევ კათხვა, დამეწყო აწ გარდაცვალებულის ვიჩხაშვილის სულში და გულში ხელის ფათური, თუ დამეხია ეს მისის სისხლით დაწერილი რვეული და დავიწყებისათვის მიმეცა მისი ცხოვრებაც ისე, როგორც თვით იგი დავიწყებოდა ქვეყანას.

რაღაც უცნაური, თითქოს ჩემი შემმაურაცხმყოფელი წინაგრძნობა გულს მიღრღნიდა, ჰო-არაობის საბურთავოთ გავეხადნე... მაგრამ ბოლოს ისევ ცნობის-მოყვარეობამ დამძლია, მივვარდი საბანს, ბეჭებზე წამოვისხი, ფეხები ფლოსტებში ჩავყავ და ახლა მაგიდას მოვუჯექი, რომ უფრო გულ-დასმით გადამეკითხნა ამ უცნაურის კაცის უცნაური ამბავი.

— „ჰო, იმას ვამბობდიო—ჩავიკითხე ქვევით—ბევრია მეთქი წამხდარი დაცემული ადამიანი, რომელიც ბოროტათა ხმაროობს ნიჭს, სიცოცხლის კეთილმყოფელობას და თავისს მოძმეს კისერს ატეხინებს. პირველი ამათგანი გახლავარ მე,—ნატერფალი ყოველივე სიავისა—ქვემორე ამისა ხელისა მომწერი კირილე იაკინთეს ძე ფიჩხაშვილი. მერე რამ დამცა ასე? თვით ცხოვრებამ, უვიცობამ, თვით ხალხმა! მაშ მე რა შუაში ვარ? რისთვის, შემომკვნესი შურით სავსე ჩემო გულო, რატომ არ მასვენებ ჩემო ამღვრეულო სინიდისო? იმიტომ რომ მებრძოლი უნდა ვყოფილიყავ უსამართლობისა და მე კი დავემონე წუთიერ მაცდურებათ, განა? ოხ, უბედურო, ჩემო თავო!...

„ჩემი თავი კი იმ დღიდან მახსოვს, როდესაც 7—8 წლისა გადავხტი ჩვენი მეზობლის ბაღში, დავიპარე კიტრები და მერე მთელი ბოსტანი ძირიანათ გადავაბრუნე. ეს მოხდა ზაფხულის ერთ საღამოს. . კალოობა იყო და გლეხები მინდვრათ იყვნენ გასულნი.

მეორე დილით საწყალი გლეხი თავ-დავიწყებით ილანძღებოდა და შვილ-მკვდარივით იხლანკებოდა თავისს განადგურებულ ნაამაგარს რომ დაჰყურებდა. მე კი ვიდექ ჩვენის სახლის ბანზე და გლეხის უწმაწურ ლანძღვაზე გულიანათ ვხარხაროობდი!

არ ვიცი, ჩემში არსებულ სიცოცხლის ზედმეტ ძალთა ბრალი იყო, თუ შთამომავლობითი ვერაგობისა, ეს კია, რომ იმ დღიდან ჩემი ხელი და ფეხი აღარ დამდგარა. მთელი დღეები დავხეტიალობდი ჭალებში, ვენახებში, მინდვრათ. ვიჭერდი ჩიტებს, ვხოცდი მათ, ვუნგრევდი ბუდეებს, ვიპარავდი ხილს, ბოსტნეულობას და, მგონი, მთელი სოფელი გამენადგურებინა, რომ მეორე შემოდგომაზე, მოულოდნელათ ერთ, სამაზრო ქალაქში არ წავეყვანეთ და იქ ერთ-ერთ სასწავლებელში არ მივებარებინეთ.

როგორც ტყის ნადირი, როგორც ხაფანგში გამომწყვდეული თაგვი, ისე დავფრთხი, აუარებელი მოწაფეები რომ დავინახე. მეუცხოვა, შევდრკი, შევშინდი. პირველ ხანებში საშინლათ ვერიდებოდი ამხანაგებს და არც გული მიდგებოდა სასწავლებელში. ხშირათ დამიწყია ხოლმე ღრიალი დაჭრილ მხეცივით და თვალები სულ ტყისკენ მეჭირა... სოფელი მენატრებოდა. .

ოხ, სოფელო, სოფელო, დიდებულო ეტრატო, დიადის ბუნებისაო!! ქალაქის ბინძურ ცხოვრებით გა-

ბინძურებული ადრე მოვაკლდი შენ მზერას და ამ მყრალ სარდაფში ისე ვკვდები, რომ უკანასკნელათაც კი ველარ ვიხილავ შენ მთა-გორით დასერილ გულ-მკერდს, ვერ შევისუნთქავ შენ უკვდავება სუფთა ჰაერს, ყურს ვერ დავუგდებ შენ ანკარათა ჩქეფა-ხვივილს, ვერ დავსტკბები ამომავალის მზის ცქერით, ძლევა-მოსილის გვირგვინოსანისათვის რომ გადმოდგება ხოლმე მთის ქედზე და უხვის ხელით აბნევს, სხივთა კონას ყრუ, ჯანღით დაბურულ ხევ-ხუვებში. ტყე-ველათ გაღვიძებულ ფრთოსანთა ჟივილ-ჭიკჭიკი ველარ დამიტკბობს ყურთა სმენას და მთის გიჟი სიო შავი ფიქრებით გახურებულ შუბლს ველარ გამიგრილებს... ვკვდები ძაღლივით და მხოლოთ ახლა ვგრძნობ, რა დიადი საუნჯე წამართვეს შენის მოშორებით, როგორ დამღუპეს, რომ არ შემასწავლეს შენის დიადის ბუნების დიდი კანონები! ან კი ვის უნდა შეესწავლებინა, ვისა ჰქონდა ჩემი ჯავრი!! ჩვენი ხალხი ხომ ისე, ალალ-ბედზე, სცხოვრობს და სხვის გაკეთებულ ჭოჭინათი დატაატაობს!...

პირველ წელიწადს სასწავლებლიდან რამდენჯერმე გავიქეცი სოფლათ (დედა მაშინ ჯერ ისევ ცოცხალი მყავდა), მაგრამ ორჯელ გზიდან დამაბრუნა ჩემმა სახლის პატრონმა, ხოლო მესამეთ თვით დედაჩემმა გამომიგდო წინ და ცემა-ტყეპით ისევ ქალაქში ჩამომიყვანა. მეტი გზა არ იყო უნდა დავმორჩილებოდი ჩემ ბედს.

ნელ-ნელა ამხანაგებსაც შევეჩვიე, რომლებიც მე ბევრით არა ჯობდნენ. მომეტებული ნაწილი სოფლელები იყვნენ და მალეც დაუმეგობრდით ერთმანეთს. მხოლოდ ქალაქელი ბავშვები განირჩეოდნენ ჩვენგან: უფრო თავაზიანები, ლამაზათ თმა-დავარცხნილები და სუფთად გა-

წყობილნი, გვრიტებივით დაგოგმანებდენ სოფლელ ოტრო-
ველათა შორის და ისედაც გვიფრთხოდენ, როგორც
მგლებს. მე შურით მევსებოდა გული მხიარულებს, დედ-
მამის გვერდით მყოფთ რომ ვხედავდი და როცა კი მო-
ვიხელებდი ხოლმე რომელიმე მათგანს, ცემითა ვკლავდი...
მაშინ აბა რა გამეგებოდა, მაგრამ ახლა კი მრწამს, რომ
ჩემი ვერაგობა იმ ბოლმისა და დარდის ბრალი იყო,
რომელმაც ჩემ გულში სოფლის, თავისიანების მოშო-
რების შემდეგ დაიბუდა. ჩვენი დედ-მამა არ დასდევს
ბავშვის თვისებათ, არა ცდილობს გაიგოს მისი ნორჩი
სულის კვეთება, მისი უმანკო გულის ტკივილები, იგი
უაზროთ აჰყოლია სხვის ფეხის ხმას და თუ შვილი ლო-
გინათ არ ჩავარდა, ჯან-საღი და ბედნიერი ჰგონიათ!
ვაი, ამ გვარის დედ-მამის შვილს და აკი მეც, უვიცი
დედ-მამის შვილი, იმ თავითვა ვაებაში ჩავვარდი?!.

„ჩემგან ნაცემ ბავშვებს ჭირივით ვეჯავრებოდი და
პირდაპირ რომ ვერას მიბედავდენ, უფროსებთან ჩუმ-
ჩუმათ მაბეზღებდენ. უფროსებიც პირველათ გამიჯავრდენ.
მერე გამასილაქეს და შემდეგში კლასში მამწყდევდენ
ხოლმე და „ბაზაბეზა“ მაყენებდნენ (ასე ვეძახდით უსა-
დილოთ დატოვებას). ამ გვარ მოპყრობასაც შევეჩვიე,
შევეჩვიე თვით სასწავლებელს, მისს გამგე-პატრონებსაც....

ღმერთო ჩემო, რა იყო ეს სასწავლებელი!?.. ახ-
ლაც რომ მაგონდება, სიმწარით თმები ყალყზე მიდგე-
ბა. ეს სასწავლებელი კი არა, ერთი რაღაც გარყვნილე-
ბისა, უწეს-რიგობისა, დაბრიყვებისა და გადაგვარების აგუ-
რხანა იყო? ორას-სამასი სხვადასხვა წლოვანებისა და
წოდების ყმაწვილი, სხვადასხვა ოჯახისა და ცოდნის პა-
ტრონები, ღორ-ხბოსავით ვიყავით ერთმანეთში არეული

და გულ-შემატკივარი არავინა გვყავდა, რომ იმ თავითვე რიგიან გზაზე დავეყენებინეთ. ფლიდობა, ორპირობა, თვალთმაქცობა, შიში, მუქარა და ჩვენთვის გაუგებარი და გამოუსადეგარის საგნების სწავლება, აი, ეს იყო მთელი შინაარსი იმ უკულმართი სასწავლებლისა!..

„წლითი-წლობამდის ვიკრიბებოდით ხოლმე დილა ადრიან სასწავლებელის ეზოში. რვა-ცხრა საათზე ირეკებოდა ზარი—ნიშანი გაკვეთილების დაწყებისა, — ვილაც უზნოე და უნიადაგო ხალხი ხბორებივით შეგვლალავდენ ხოლმე კლასში, და მთელი საათობით გვაჭყვირებდენ: „ბა, ბუ, ბაა, ბუო!“ გარეთ კი ცხრა-თვალა მზე საოცნებოთ ანათებდა ქვეყანას, ამაყ მთებს, გრუზა, სიცოცხლეთ სავსე ხეებს, ბალებს, ვენახებს, მინდვრებს, ყანებს! რამდენი საიდუმლოება, რამდენი ცოდნა, რამდენი სიტკბო და სიამე მოგვენიჭებოდა იმ თავითვე ბუნებრივათ რომ აღვეზარდეთ, იმ თავითვე დედა-ენაზე რომ ესწავლებინათ ბუნებისა და ადამიანთა ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ხომ მომავლისათვის არ გვამზადებდენ?

მახსოვს (და ან კი რა დამავიწყებდა!) ერთი დღე ჩემის სწავლისა... კლასში სულგანაბულნი ვისხედით. ჩვენი მასწავლებელი ძერასავით დაგვტრიალებდა თავს და მოზვერივით იბღვირებოდა. ერთი მოწაფეთაგანი წიგნში გასაკვეთს ხმა მაღლა კითხულობდა და დანარჩენი ყურს უგდებდენ. შოსაწყენი, გაუგებარი რაღაცა იყო. მე გულის-ყური ველარ მივადევნე და ფიქრით სულ სხვაგან წავედი...

გული სიაღოვნებით მიცემდა: წარმოვიდგინე ჩვენი სოფელი. წარმოვიდგინე დედაჩემაც, ვითომ ისა ზის კაკალ ქვეშ და წინდებს ქიქსოვს. მე კი დავრბივარ ვე-

ნახში, ვგორაობ ბალახებში... თავისუფალი ვარ, თავისუფალი, როგორც შვილის ნუკრი და ბედნიერი, როგორც ღაბუა ჩიტი...

ამ დროს საშინლათ დავიკივლე! მასწავლებელს გაბუცებული რომ დაუნახივარ, მოსულა ჩემთან და... ისე, მაგრა ამიწია ყურის ბაბილო, რომ ყური ნახევრობამდის ამახია, მერე წამომაგდო ზეზე, ამომკრა ფეხი და კლასგარეთ გამომიძახა. ამხანაგებმა ყრუთ დაგმინეს და უფრო გაფაციცებით ჩააცქერდნენ წიგნებს. მე კი მივჯექ დერეფნის ყრუ კუთხეში და ვიტირე გულ-ამოსკვნით. ცხარე, უმანკო ცრემლით დავალბე ჩემი ოცნება და სისხლნარევი ნაღველი ჩავიწვეთე გულ-ღვიძლში... მე მგონია, ამ დღეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემ გაცერანებაში!..

„ეჰ, მწარეა ჩემთვის ეს მოგონებანი, მაგრამ ბარემ ბოლომდის შევსვამ ტანჯვის ფიალას!

გაკვეთილებს შიგა და შიგ, დასვენების დროს, ან ჟივილ-ხივილით ვედებოდით ღობე-ყორეს, ვიკრიბებოდით ყრუ ადგილას პაპიროსს ვეწეოდით და ვილანძღებოდით უწმაწურის სიტყვებით, ან შიგ კლასშივე მალაყებს გადავდიოდით, ვბღლაძუნობდით და ვირ თაგვებს დავსდევდით დასაჭერათ, რადგანაც სასწავლებლის შენობა, მისი ჭერ-იატაკი სიძველისა და სინესტის გამო დაცხავებული და ვირთაგვებით იყო სავსე. ხან კიდევ ვიგონებდით სხვადასხვა ეშმაკობათ მასწავლებელთა შესაშინებელ-მოსატყუებლათ, ვამტვრევდით და ვამსხვრევდით იქაურობას. ვინ იყო ჩვენი ყურის-მგდებელი? პირიქით ყოჩაღი და ამხანაგებში მიღებული ის იყო, ვინც კარგათ კრივობდა, მადიანათ ილანძღებოდა, უსირცხვილოთ ცრუობდა და მასწავლებლებს ატყუებდა. ან კი

სხვა რა დაგვრჩენოდა? ჩვენი მასწავლებელნი მთვრალები, გახეთქილები მოდიოდენ კლასში და მთელი საათობით ან ილანძღებოდენ, ან ეძინათ და ან გვაჭიდავებდენ ხოლმე.

ახლა თქვენა გკითხავთ, როგორ წავიდოდა სწავლის საქმე ამ სასწავლებელში?

ყველაფერი გარეგნულათ იყო მოწყობილი. სასწავლებელის ზედამხედველი სულ იმის ცდაში იყო, რომ მასწავლებლები დაებრიყვებინა, თავის ყრუ მოჭრილ მონათ გაეხადნა. მასწავლებლები კიდევ ჩვენზე ყრილობდენ გულის ჯავრს და ჩვენგან თხოულობდენ უსაზღვრო მორჩილებასა. ჩვენ და მასწავლებელთა შორის უფსკრული იდო, რომელიც ამოვსებული იყო კონდუიტებით, ჟურნალებით, სასწავლო ნივთებით, ჯაშუშობით, ქრთამით, სიფლიდით, ფვალთმაქცობით და გაკვეთილების უაზრო კბილვით. ბევრი მასწავლებელთაგანი გონებრივათ გამოთაყვანების გარდა, ზნეობრივათაც ხრწნილა მოწაფეთ და ეს სოდომ-გომორი, ეს ფარისევლობაზე აშენებულ-აგებული აგურხანა იყო ის სასწავლებელი, რომელზედაც წელიწადში ასი და ათასი მანეთი იხარჯებოდა (რასაკვირველია, მშობელთა ჯიბიდგან ამობღებული), რომელსაც ყოველ შემოდგომაზე მოზარდთა დედ-მამა ბუზებივით ეხვეოდენ და რომლის ზღუდეთა გარეშე დაშთენილი მათი შვილები, უბედურათა და გზა დაბნეულათ ითვლებოდენ".

„მე ვკდები და იმიტომ ვლაპარაკობ ასე თამამათ, თორემ, ვიცი, ბევრი ჩემი ნაამხანაგარი, რომელიც ჯერ ისევ თავ-დავიწყებაში ცხოვრობს, ჩვეულებრივის ფარისევლურის ღიმილით მოისმენს ამ ჩემ სიტყვებს და გადა-

ჭარბებულათ ჩამომართმევს. მაგრამ კარგათ რომ ჩაუ-
კვირდეს თავის გულისთქმას, ჩემგან აწერილი საერთო
შთაბმჭდილება სიმწარის, სიმართლის ჭირის ოფლს დაა-
სხავს და დამეთანხმება, რომ ამ არა-ბუნებრივმა, მშობ-
ლიურ აღრზდას მოკლებულმა სასწავლებელმა, არა ერთი
და ორი გაანადგურა, ხოლო ვინც ამ სასწაელებელში
გამოზრდილი ახლა კარგ კაცათ ითვლება, იგი სხვა პი-
რობებში ასი-ათასჯერ უკეთესი იქნებოდა... ნეტა იმას,
ვინც გაუძლო, გაუმკლავდა უკულმართ სწავლის უკუ-
ლმართ ზეგავლენას! ჭეშმარიტათ იგი დიდ-ბუნებოვანი
ადამიანი უნდა იყოს! მე, კი მოხარული ვარ, რომ უშვი-
ლოთ გადავეგე, ვინაიდან უკმეხ აღზრდის მეოხებით
ჩემი გასაგისი მაინც აღარ-დაწვრილმანდება!...

„ჩემი ოცნება, ჩემი ჯერეთ გამოურკვეველი მისწრა-
ფებანი, ბუნებისაგან მოყვასთა სასიკეთოთ მონიჭებულ-
ნი ძალნი სიცოცხლისა იმ თავითვე, პატრაობაში მოს-
თუთქა, დათრთვილა და დააზრო პირველ დაწყებითმა
არა სასურველმა სწავლამ, მაგრამ უარესი და უძნელესი
იყო ჩემი ყმაწვილური ცხოვრება სასწავლებლის კედელთ
გარეშე,—ჩემს ბინაზე.

ის სამაზრო ქალაქი, სადაც ჩვენი ღირს შესანიშნა-
ვი სასწავლებელი იმყოფებოდა, ყველა ქალაქებზე და-
ცემული და ზნე-წამხდარი ქალაქია! არ ვიცი, როგორ
ატარებდა დროს მაშინდელი უმაღლესი საზოგადოება
ამ ქალაქისა, მხოლოდ ის უბანი კი, სადაც მე ვბინად-
რობდი სიღარიბისა, ყომარბაზობისა და გარყვნილების
უბანი იყო. მთელი ქალაქის ზნე-დაცემულ ჯიბგირებს,
ქურდებს და გლახაკებს, თითქოს განგებ, აქ მოეყარათ
თავი და მთელი დღე ერთი ჩხუბი, აურ-ზაური და გან-

გაში გაჰქონდათ... ღმერთო ჩემო! ახლა რომ ვუკვირდები ჩემ მაშინდელ ყოფნას ჭირის ოფლს მასხამს და სულით და გულით მეჯავრებიან ის დედ-მამანი, რომლებიც ხელმომჭირნეობის გულისათვის თავისს შვილებს განგებ ამ უბანში აყენებდენ. ამისთანა უბადრუკები კი იმ დროს ძალიან ბევრი იყო! როგორც ღარიბთა უბანი, თვეში სამ-ოთხ მანეთად იბარებდენ მოწაფეთ გამოსაკვებათ და ჩვენი დედ-მამანიც, რომლებიც გროშისათვის თვით იესოს გაჰყიდდენ, თაფლის გუდასავით ეხვეოდენ ამ უბანს და თავისს შვილებს ვიღაც საეჭვო ყოფა-ქცევისა და მდგომარეობის ხალხს სიხარულით უტოვებდენ. უხაროდათ, რომ შვილს თვეში სამ მანეთათ ჰკვებავდენ, უხაროდათ, რომ მათ აღზრდაზე ბევრი არ ეხარჯებოდათ, ხოლო შვილი კი „ნასწავლი“ გამოუვიდოდათ! ოხ, ხარბო და უწვრთნელო ადამიანო, რა ადვილათ იცი გულის დამშვიდება?!..

მე კი, — მართალი უნდა ვსთქვა, — დედი-ჩემის უილაჯობისა და უვიცობის მეოხებით მოვხვდი ,ამ უბანში. ვიღაც სომხის ოჯახმა ამიბარა თვეში სამ მანეთ-ნახევრათ. მოთინთლეს, თანხები შეუკრეს საცოდავ დედა-ჩემს და დამშვიდებული სოფელში დაბრუნდა.

მე დავრჩი ერთ ჭუჭყიან, ბნელ, ნესტითა და შმორის სუნით სავსე ოთხში, რომლის ერთ კუთხეშიაც დამიდგეს ხის, ფეხ მონგრეული ტახტი, ერთი გაუჩორკნავი დანჯღრეული ხისავე სკამი და ასეთივე მაგიდა. მეორე კუთხეში იდგა საწოლი დიასახლის-მამასახლისისა. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა თუნუქის პაწია ლამფა, რომელსაც, მთელი შუშა თავის დღეში არა ჰქონია. ოთახის კუთხეებსა და ტახტის ქვეშ აქა-იქა ეყარა: ბობი, ტაშტი,

თუნგი და ათასი ოჯახური ხურდა-მურდა. ოთახს იატაკი მიწისა ჰქონდა, ჭერი დამპალ-დახავსებული და მიწურივე ბანი. ავდრობისას სახლშიაც ისე სწვიმდა ხოლმე, როგორც გარეთ და, აბა მაშინ ღნდა გენახათ ჩემი ბინა, რომ შეგბრალებოდით! ჭუჭყითა და ტალახით სავსე საღორეს, საქათმეს უფრო ჰგავდა იგი ბინა, ვიდრე ბავშვის, ადამიანის სადგომს...

თვით ოჯახი დიდი არ იყო. ბაგრატა, მისი ცოლი კეკე და მე—რვა-ცხრა წლისა,—აი, ესენი ვიყავით ამ ოთახში მობინადრენი. ბაგრატას ერთი კუდა ვირიცა ჰყავდა, რომელიც გარეთ, ჩემ ფანჯრის წინ, ება ხოლმე და ბზის გოდორში თავ-ჩაყოფილი, ყურების ბარტყუნით ბზეს უგემურათ ახრამუნებდა. ხოლო როცა აუშვებდენ ხოლმე, დინჯათ შემოდიოდა ოთახში და თავისს პატრონს სიამოვნებასა ჰგვრიდა.

ბაგრატას იგი ვირი მთელ ქვეყანას ერჩივნა. მას ანაცვალებდა ცოლსაცა და შვილსაც, რადგანაც იგი იყო ერთად-ერთი მისი მრჩენელი. როგორც ფეხზე მოვაჭრე, აჰკიდებდა ხოლმე ბაგრატა ზურგზე საწვრილმანოს, გაიგდებდა წინ და სოფელ-სოფელ დაახეტებდა. საწვრილმანოს ნაცვლათ სოფლებიდან ჩამოჰქონდა კვერცხები, სიმინდი, პური, ქათმები, ჰყიდდა ბაზარში და ასე სცხოვრობდა.

როგორც შემდეგში მიხვდი, გარდა იმისა, რომ ჩემ შენახვაში აღებული ფული ხელუხლებლათ რჩებოდა, ბაგრატას მე ცოლის საყარაულოთ უფრო ვყავდი. ბაგრატა მთელ ორ-სამ კვირაობით გადიოდა სავაჭროზე, მე და კეკე კი ვრჩებოდით მარტოკანი და საშინელ გაჭივრებას ვიტანდით, მთელი წლის განმავლობაში არ მახსოვს, რომ მუცელი გამაძღარი გვქონოდეს.

კეკე არ იყო ბოროტი დედაკაცი, პირ-იქით მეტის-მეტათ შემიყვარა კიდეც, მაგრამ ბაგრატას ძრიელ ეჯავრებოდა ფულის ხარჯვა, გროშს არ ჩაუგდებდა ხოლმე ცოლს ხელში და სულ ილანძღებოდა: „ბევრს ნუ სჭამთ, თქვე ამოსაწყვეტებო, პურის ყიდვას ველარ ავდივარო“. ისე დაურჩა იმას თავი, რაც ის ჩვენზე არას ხარჯავდა!..

პირველათ, შემოდგომაზე, კიდევ არა გვიჭირდა-რა, მაგრამ ზამთარში, როდესაც გზა შეიკრა თოვლისაგან და ბაგრატა მთელის თვით სოფელში მოემწყვდა, მე და კეკემ მოხარშულ სიმინდზე გადავიარეთ, ცეცხლი და საანათი საიდგან-ღა გვექნებოდა? დაღამდებოდა თუ არა, მოვგულავდით ხოლმე კარებს და ჩავეყრებოდით ლოგინში...

ეხ, კეკე, კეკე! დღეს შენ ცნობილი „კუპეწის“ ცოლი ხარ. ბაგრატამ აუარებელი ქონება შეიძინა და შენ საკუთარი ეტლითაც კი გატარებს, მაგრამ გახსოვს კიდევ ის შავი დღეები, გახსოვს კიდევ, რომ შენთვის წყალის ზიდვით მხრები მქონდა გადატყავებული? გახსოვს კიდევ შენი ეშმაკობა, შენი გარყვნილება?.. იქნება შენი თავი წმინდანი გგონია?!

„სიწმინდისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ კეკე მაშინ რომ ძლიერ ლამაზი იყო, ამას ლაპარაკი აღარ უნდა. როგორც მთვარე ღრუბლებიდან, ისე ანათებდა ხოლმე მისი ბადრი სახე და მშვენიერ, ხაევრდოვან თვალებს ჯეირანივით ატრიალებდა. ჩასკვნილ-ჩასუქებული ვარდისავითა ღუოდა და სიცოცხლით სავსე, მარწყვივით მომწიფებულიყო. მაშინ კეკე შესაფერ ცხოვრებაში რომ ყოფილიყო, სწორეთ მშვენიერთა ხელმწიფე იქნებოდა, მაგრამ ტიალ სიღარიბეს,—თუ განგებ თავის მოღარიბებას, ჭუჭყსა და ქონში ამოეთხუპნა ეს მარგალიტი. იმ-

დენ ღარიბულათ სცხოვრობდა მაშინ კეკე, რომ რიგიანი ლოგინიც კი არა ჰქონდა. დღისით სიცივისაგან გაყინული, ღამეც-გათენებამდის—ძაღლივით კავკავებდა. მართალია, მეც კი გალელეებული ვეგდე ხოლმე დედიჩემისეულ დიდ საბანში გახვეული, მაგრამ გარეთ, მოზუზუნე ქარის ბღუილის ზეგავლენის ქვეშ, მალე მიმეძინებოდა ხოლმე და ტკბილ სიზმრებს ვხედავდი...

შუა ზამთარი იყო. გათამამებული ქარაშოტი ეშმა კეულივით დაჰქროდა ჩვენ უბანში და იქაურ ქოხ-მახებს განადგურებას უპირობდა. ჩვენის ოთახის ფარღალალებში ქარი შემოჰქროდა და სიცივით ვიხოცებოდით.

— ამაღამ დიდი ყინვაა, ერთ ლოგინში დავიძინოთო! —მითხრა კეკემ და თავისთან დამიწვინა. ჩემი და მისი ლოგინი შევაერთეთ.. რამდენიმე ღამე მეძინა ანგელოზივით კეკეს მკერდში ჩაკონებულს და მთბილოდა ისე, როგორც ღუმელში. ბედნიერი ვიყავ იმ დროს, უმანკო, როგორც მტრედი და უზრუნველი, როგორც ფრინველი! მაგრამ ღმერთმა დასწყეველოს ეშმაკი! კეკეს ბორგვამა და ოხვრამ ერთ ღამეს აღარ დამაძინა! მალიმალ აიღებდა ჩემ პაწია ხელებს, იკრამდა მკერდზე, იჟღვლემდა მაგრათ, მეხუტებოდა და ძროხასავით მლოშნიდა.. მე ვჯავრობდი, ვჟღმურტულობდი, ვებუზღუნებოდი, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა და დასაშვიდებლათ საალერსო სიტყვებს მეუბნეოდა. მეორე დილით კამფეტებიც კი მომცა და სკოლაში ისე გამისტუმრა...

ასეთ ყოფაში გამატარებინა კეკემ რამდენიმე დღე და ღამე და... ცხრა-ათი წლის ბავშვი უკვე გავირყვენი... ბავშური, უმანკო ოცნება მომეშხამა. წინათ არა ერთხელ მი-

ფიქრია, როგორ დამეღწია თავი ბაგრატას ოჯახისაგან, მაგრამ ახლა, ძალითაც რომ გავეგდეთ, აღარ წავიდოდი.

მთელი დღე ლეკვივით შევცქეროდი კეკეს, ღამე მასთან ნეტარებით მეძინა და მზათ ვიყავი მისი ყურ-მოჭრილი მონა ვყოფილიყავ!..

ეს იყო ჩემი პირველი სიყვარული!..

—

როგორც ვინდა ბრძანეთ, და მე არ მახსოვს... არა! მე ვერ მომიხერხებია დავასურათო ის კვეთებანი და ეშმაკობანი, რომლებიც კერძოთ მე მშველოდა და რომელთა მეოხებითაც მე გავიარე ორი მოსამზადებელი და ორი უმთავრესი კლასი. იმ დროს ხუთმეტ-თექვსმეტის წლის ბიჭი ვიყავ, უკვე კარგათ ვიცნობდი ჩემ თავს და, კეკეს ხელში დახელოვნებული, გოგოებს თვალებს ვუბრიალებდი. დიახ, ვერ დამისურათებია, რა მანქანების წყალობით გადავდიოდი კლასიდან კლასში, მახსოვს მხოლოდ, რომ მესამე, მეოთხე კლასში სულ დარკვეთელი, ტალიკ-ტალიკი ბიჭები ვიყავით და გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს ლაზღანდაროობასა და გოგო-ბიჭობას ვანდომებდით...

საქმე აქამდის მოსვლა იყო, თორემ აწი აღარა გვიჭირდა-რა! ზნე-დაცემულ და გამოთაყვანებულ მასწავლებელთა გარდა, ორი-სამი რიგიანი და თავისს საქმის მოყვარული მასწავლებელიც შეიქმნა ჩვენი ხელმძღვანელი და, ცოტა რომ ჭკუა მომეკრიკნა, იქნება სამუდამოთ გამოვკეთებულიყავ, მაგრამ გარშემო სიკეთეზე უფრო ბევრი სიავე მეხვია და მაცდურებამ თავისი გაიტანა.

არ ვიცი, საიდან, მაგრამ ბევრი ჩვენთაგანი წიგნე-

ბის მაგიერ (მართლა, რიგიანი წიგნების კითხვაც—გარდა ბერების თავგადასავალის აღწერისა,—აღკრძალული გვქონდა)—შოულობდა ჟინის აღმძვრელ სურათებს, მოჰქონდა კლასში, შეჰყრიდა ხოლმე ამხანაგებს და აჩვენებდა. ჯანითა და ღონით სავსე ყმაწვილები წუმწუმასავით ვენთებოდით და მთელ ჩვენ ოცნებას ვშხამავდით...

გარყვნილნი გონებით, გაფუქსავატებულნი ხასიათით, სწორეთ აფთრები ვიყავით, შეგირდობის დროს, და არა ერთი და ორი სისაძაგლე ჩაგვიდენია. ლოთობა, კრივი, არიფანა, ჩხუბი და დავიდარაბა ჩვენი თანაგზავრნი იყვნენ. მართალია, სასწავლებლის მთავრობა ათასში ერთხელ გაგვიგებდა ხოლმე ეშმაკობას, რისთვისაც გვამწყვდევდნენ კარცერში, ყოფაქცევის ნიშნებს გვიკლებდნენ, გვრიცხავდნენ კიდეც სასწავლებლიდან, იმის დასანახვებლათ, რომ „ასე არ უნდა მოიქცეთო“, მაგრამ ეს ზომები ადამიანათ ვერ გვაქცევდნენ.

„ასე არ უნდა მოიქცეთო!!“ მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავით?..

ჩვენ გვინდოდა სიცოცხლე, მოძრაობა, საღი სწავლა-ცოდნა და ჩვენი მასწავლებლები კი რაღაც უტვინო საგნებით „გვწვრთნიდნენ“, ჩვენზე უარესი გარყვნილები იყვნენ, ჩვენ სულსა და გულს ვერ უდგებოდნენ!.. ღვთის ანაბარა მიგდებულნი, უპატრონონი, რასაცა ვხედავდით და ვგრძნობდით, იმასვე ვასრულებდით...

სასწავლებლის უკანასკნელ კლასში ვიყავი. ახლათ ულვაშებ ამწვანებული ვყოყლოჩინობდი, თავი ნასწავლ კაცათ მომქონდა, უვიცსა და უტვინო ნათესავ-ნაცნობებს ვეპრანჭებოდი. ვგრძნობდი კი, რომ ცოდნა არა მქონდა-რა, მაგრამ ჩემ მახლობელთა შორის მაინც პირ-

ველი ვიყავ და ეს კი რაღაც კმაყოფილებით ავსებდა ჩემს არსებას. მასწავლებელნი და ამხანაგებიც გვარიან ყმაწვილათ მთვლიდნენ. განსაკუთრებით მოვწონდი ქალთა სკოლის უფროსს, ახლად შეღერებულ მოწაფე-ქალებს: ალბათ ისინიც ჩემსავით გულ-ტკივინ ამღერებულნი თუ იყვნენ, რომ ჩემ გაცნობას ბედნიერებათა სთვლიდნენ. ფარა-ფარა დამდევდნენ უკან, ათას გვარ წერილებსა მწერდნენ, მეც ვუპასუხებდი ხოლმე. ერთსა და იმავე დროს, მგონი, ცხრას გამოვუცხადე „სიყვარული", თუმცა მე არავის სასიყვარულოთ არა ვარ დაბადებული, რასაც მაშინვე ვგრძნობდი.

ქალების მარტო მოღორება—მოტყუება მიყვარდა და ასეთი ჩემი საქციელი კი დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ხოლმე, ვიდრე ის გრძნობა, რომელსაც სიყვარულს ეძახიან. მიყვარს ქალთა ცრემლები, მათი ნაწვიმარი თვალები! მე გულში მეცინება ხოლმე, როდესაც იგინი, ვითომ სიყვარულით დამწვარ-დადაგულნი, მეხრუკებიან და ციცასავით თვალებსა სჭუტავენ. მე ამ დროს მეფე ვარ მათი, ისინი კი ჩემი მონანი. ამას იქით ქალთან ურთიერთობა მე ვერ წარმომიდგენია... ახია, მათზე! რათ არიან ცბიერები, მატყუარანი და გულ-ზვიადები, ნუ თუ არ მოსწყინდათ ტიკინობიას თამაში? მათი თვალთ-მაქცობით არის ქვეყანა დაღუპული!..

ჰო—იმას ვამბობდი,—ძრიელ მოვწონდი-მეთქი ქალთა სკოლის შეღერებულ, სისხლათა და ხორცათ გარდაქცეულ გოგონებს, მაგრამ მე ისინი არ მომწონდნენ. ჩვენებურ, ჩემი დროის ქალთა, სკოლაში მარტო სიარულს ასწავლიდნენ: უცხო ენაზე გამოუსადეგარ საგნების სწავლებით აჟღურტულებულნი, იგინი უკვე გახრწნილნი

იყვნენ, სხეულით თუ არა, სულით მაინც და ტანცი-მანცობა კავალერების არჩევაში დახელოვნებულნი ბევრ ჩემისთანა ბიჭს ყინულზე გააცურებდნენ...მე იმ დროს მომწონდა ჩვენი ზედამხედველის მოახლე კესა.

ხმიადივით შეკრული და სატაცურივით ტან-აყრილი ბუნების ნამდვილი შვილი იყო. ისეთი მკვირცხლი თვალები ჰქონდა, იმ დასაქცევს, გეგონებოდათ, ცეცხლს აწვიმებსო. ბელურასავით ღაბუა, მწყერივით დაგოგმანებდა ხოლმე ეზოში—(ზედამხედველის ბინა სასწავლებლის ეზოშივე იყო)—და ტალღასავით მიარხევდა ახლად აკოკრებულ გულ-მკერდს. გამიტაცა მისმა გარეგნობამ და დღე-ღამ სულ კესაზე ვფიქრობდი... ვფიქრობდი, როგორ დავახლოვებოდი, როგორ შემეცდინა ისე, რომ არავის გაეგო... დიახ, არავის!

უნდა გამოვტყდე, რომ სასწავლებელში მუდმივმა ფლიდობამ, მუდმივმა თვალთ-მაქცეობამ, იმ გარემოებამ, რომ სიმართლისათვის ხშირათ კისერში წაგვკრავდნენ ხოლმე, რისთვისაც თითოეული ჩვენთაგანი იძულებული იყო ეყალთაბანდნა და თავი მოეკატუნებინა,—ხასიათის ერთი იეზუიტური თვისება შემძლვნა. ეს თვისებაა: საზოგადოების მოტყუებაა. საზოგადოება არ სძრახავს იმას, ვინც თვალთ-მაქცობს, თუმცა კარგად იცის მისი საქციელი. საზოგადოება მხოლოდ მაშინ აყაყანდება ხოლმე, როდესაც მისი ცრუ-მორწმუნოება, მისი ვითომდა სიწმინდე იბღალება რომელისამე „ბრიყვისაგან“.

მე ვიცი, მაგალითად, რომ საზოგადოება არ იღებს ოჯახებში ჯვარ-დაუწერელად ერთგულ შეუღლებულთ,

ხოლო მრუმ ცოლ-ქმარს კი ორივე კარებს სიამოვნებით გაუღებს ხოლმე.

—

„ბერძნულის ენის გაკვეთილი გვქონდა. მოწაფენი გულ-მოდგინებით უგდებდნენ ყურს ბერძნულ ტროპარის კითხვას, რომელსაც ერთ-ერთი მოწაფე კითხულობდა მასწავლებელი „ლადნა“ (ასე ვეძახდით) ყვავის კიკოსავით წამომჯდარიყო მაგიდასთან და სთვლემდა. მე კი, სულ უკანა პარტაზე წამომხართეძოებული, კარანდაშით ქაღალდზე კესას სახესა ვხატავდი და თან ჩემ გუნებაში ვეალერსებოდი.

— ბ-ნო ფიჩხაშვილო!—დამიძახა „ლადნამ“— გთხოვთ განაგრძოთ.

ჩემდა საუბედუროდ, იმ ტიალმა მარტო ჩემი გვარი იცოდა, რადგანაც ერთხელ იგი სიკვდილს გადავარჩინე —მთვრალი არხშიგ გადავარდნილიყო.

მე დავფაცურდი. უბედურობა ის იყო, რომ არც თუ წიგნი მქონდა თვალ-ყურს არ ვადევნებდი და დანარჩენ მოწაფეთაგანაც ძალიან შორს ვიჯექ (ჩემ წინ რამდენიმე ცალიერი პარტა იდგა). ფაცი-ფუცში ფეხი წამოვკარ ჩემ წინ მდგარ პარტას და ერთს ბეჯით მოწაფეს გადავაწყდი. იმან ბუზღუნი შეჰქნა, დანარჩენებმა კი ასტეხეს უშველებელი ხარხარი.

— რა ამბავია?—დაიყვირა ლადნამ. მოწაფენი უფრო ახმაურდნენ. ლადნამ შემატყო, რომ ვცუღლუტობდი და დამიყვირა.

— Вонъ изъ класса-ო(გარეთ გაეთრიეო). მეც ეს მინდოდა. გაკვეთილი ახალი დაწყებული იყო, მოწაფენი—კლასში გამოწყვდეულნი, ხოლო კესა კი ეზოში

საფენსა ჰბერტყდა. მე ჯერ გავინაზე, მაგრამ, ლადნამ მეორეთ რომ გამიმეორა თავისი ბრძანება, ერთი საცოდავად დავიღრიჯე—შეგირდების გასაცინებლად—და მოვცოცხე.

მოწაფენი ხარხარებდნენ, ლადნა კი გაცხარებული დარბოდა და გამწარებით იფურთხებოდა.

—

— კესა... კესა-მეთქი!—ველრიჯებოდი გოგოს, ხარიხაზე გადაფენილ ხალიჩების უკან აფარებული, და თან ყელს ვუწევდი.

— კვნესა და შავი ქვა! რა გნებავსო?—ვითომდა გაჯავრებით დაიჩურჩულა კესამ და საფენს უფრო გულმოდგინეთ დაუწყო ბერტყა.

მე აღარ ვუსვენებდი, ათას გვარ საალერსო სიტყვებს ვეფუჩუნებოდი და იქამდის მივიყვანე, რომ გაიცინა და ბროწეულივით აწითლებულმა თვალი-თვალში გამიყარა.

ჩემმა შეხედვამ, რომელითაც გრძნობათა უძირო მორევი გამოვხატე, ისეთ-ნაირათ შეჰკრა, დაიმონა კესა, რომ იგი აღარაფერში უარს არ მეტყოდა... ზოგიერთა კაცის თვალი გველსაც კი დაიმორჩილებს, დაადუნებს ხოლმე.

უნდა მოგახსენოთ, რომ კესაზე რამდენჯერმე მქონდა იერიში მიტანილი და ისედაც ვექცეოდი, რომ იმას ჩემი ნდობა და სიყვარული გულში უკვე ჩავარდნილი ჰქონდა. შეყვარებული ქალი კი—მერე ისიც თუ პირველად არის შეყვარებული—საყვარელი კაცისათვის ცეცხლსაც კი არ მოერიდება, ამიტომ შევეხვეწე—საღამოზე ქილაქის ბაღში, ყრუ ხეივანი რომ არის, იქ მოდი-მეთქი...

— კესას ხმა არ გაუცია, მაგრამ ისეთის თვალით შემოიმხედა, რომ სიტყვიერ დასტურსა სჯობდა.

— ჰა, მოხვალ თუ არა, ჩემო სალოცავო, ჩემო მტრედო? ვერ ხედავ, როგორ მიყვარხარ-მეთქი!—კიდევ დაველრიჯე და ხელით კოცნა გავუგზავნე. კესა კელაპტარივით აენთო, შუბლ ქვეშიდან ალერსიანათ შემომხედა და წაიდუდუნა.

—თუ ჩემი ქალბატონი წამოვიდა სასეირნოთ, მეც წამოვყვებიო.

ის ის იყო, კიდევ რაღაცა უნდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს ჩამოფარებულ ხალიჩას ქვეშიდან ჩვენი ზედამხედველის მორგვის ოდენა ფეხები დავინახე—ჩვენკენ მოდიოდა. შიშისაგან მუშტის ოდენათ გარდავიქეცი, კედელ-კედელ გავიპარე და ერთ წუთს ისევ კლასში გავჩნდი. ზედამხედველი ბეცი იყო და, მგონი, ვერ დამინახა...

გაკვეთილების შემდეგ გიჟივით ვისადილე, ფეთიანივით გამოვარდი კარში და ბაღისკენ გავწიე. იქ საღამომდის მსურდა, კესას მოლოდინში, ტკბილს ფიქრებს მივცემოდი...

კესას მოუსვლელობაზე ეჭვი არც კი მქონია. მისი ქალბატონი—ცოლი ჩვენის ზედამხედველისა, - იმგვარ ქალთაგანი იყო, რომელიც ტყუილათ, განგებ, ეპრანჭება ქმარს, მუდამ ავადმყოფობს, მუდამ რაღაცას იტკივებს, ხავხავებს და საღამ-საღამოობით ხშირათ გარეთ დასეირნობს ხოლმე—ვითომდა საჰაეროთ. მე კი ვიცოდი, რომ პატივცემული ევგენია პავლოვნა—ასე ერქვა კესას ქალბატონს—ერთ კოხტა-პრუწა აფიცერს ეარშიყებოდა და ქალაქის გავერანებულ და მიყრუებულ ბაღში, ყოველ საღამოს, პაემანს უნიშნავდა. ხოლო ქმარს რომ ეჭვი არ

აელო, გოგოსაც თან იახლებდა ხოლმე. გოგო კი მიჯსყიდული ჰყავდა, როგორც არა ერთსა და ორ ქალბატონსა ჰყავს ხოლმე მოსყიდული, და, როდესაც ევგენია პავლოვნა შეხვდებოდა სატრფოს, გოგოს რომელსამე სკამზე დაჯდომას და მოცდას უბრძანებდა ხოლმე ..

ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო. დანიშნულ ხეივანში, ბუჩქებით დამალულ სკამზე ჩამოვჯექ და ფოთლების თითოეულ გაფუჩუნებაზე ირემივით ყურებს ვწურავდი. რამდენათაც ახლოვდებოდა კესას მოსვლის დრო, იმდენათ გული უფრო საშინლათ მიძგერდა, და სიამოვნების თავს-ბრუ მესხმოდა. იმჟამად მიყვარდა კესა, თუ პირუტყვულ გრძნობას დავემონებინე, დანამდვ ლებით ვერ ვიტყვი, ხოლო კესამ რომ ჩემ გულში სამუდამო ხსოვნის ძეგლი აღმართა, ეს კი ეჭვს გარეშეა—კესაა ერთად ერთი ქალი, რომელიც ყველაზე ღირსეულად მიმაჩნია, შეიძლება, იმიტომ რომ იგი სულითა და ხორცით გაურყვნელი, უმანკო იყო. ან იქნება იმიტომ მიმაჩნია ღირსეულად, რომ ყველაფერი მაპატია, უსინდისოს სინდისიერად განმშორდა...

თუ საიქიოს არის რამე, მეც-კი მონანიებული შევხვდები'...

ყრუ, ბნელი საღამო გამეფდა. 9—10 საათი იქნებოდა, და კესა კი არსად იყო. ბაღის განათებულ ნაწილში ხალხი ჭილყვავივით დაფროტიალებდა, და ეს უფრო მაბრაზებდა. მოთმინების ძაფი გამიწყდა... კესას უდიერათ ვიხსენებდი. ამ დროს ბუჩქები შეირხა და კესა ქურციკივით გადმოხტა.

— კესა! ლოდინით რად მომკალ-მეთქი!—ერთით კიდეც ვუსაყვედურე კესას და გულში ჩავიკარ. კესა

თრთოდა.,. განთავისუფლებას სცდილობდა და თან მელულლუღებოდა.

— მე... მე... მაპატიე... ბატონი... ქალბატონი... აქ არიან... არ იქნება!... გამიშვი, ჩემო კარგო, აღარ გინდა, რომ მეორედ მოვიდე შენთან?..

— შენ სამუდამოდ ჩემი ხარ, სუყოველთვისაც ჩემთან იქნები, ჩემო ზიარებავ, ჩემო სიცოცხლევ!—ვუჩურჩულებდი მეც და თან თვალებს ვუკოცნიდი. კესა მოდუნდა, დაითენდა და წურბელასავით დაეწაფა ჩემ ტუჩებს...

დასწყევლოს ღმერთმა ბოროტი ადამიანის გულისთქმა, თორემ რატომ არ დავინდე ის უმანკო არსება, რატომ არ შევიბრალე, რომ მაინც ასე აღარ დავტანჯულიყავ!...

ამ დღიდან ხუთი-ექვსი თვე თითქმის ყოველ დღე ვუნიშნავდი ხოლმე პაემანს. რაც დრო გადიოდა, კესა უფრო ჰგიჟდებოდა ჩემთვის, მე კი გული ამიცურდა და, ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ გამოვეთხოვე. სწავლა ახალი დამთავრებული მქონდა და საგუბერნიო ქალაქში ვაპირებდი სწავლის განგრძობას. იმ ხანებში დედაც მომიკვდა, და კესა მოვატყუე, როდესაც დედას გამოვიგლოვებ, იქნება, მაშინ დავიწეროთ-მეთქი შენზე ჯვარი...

გავიდა რამდენიმე ხანი. მე კესა აღარც კი მომგონებია. იმან კი ველარ აიტანა ჩემი დაშორება, ველარ გაუძლო კდემა-მოსილების დაკარგვით გამოწვეულ სირცხვილს და... წყალში თავი დაირჩო!...

—

კესას-მიერ თავის განწირვამ, ცოტა არ იყოს, გამოამაფხიზლა, საგონებელს მიმცა. რაღაც სინიდისის ქენჯნისებური ვიგრძენ და ერთ ხანს გულიც მწუხარებით

მიკვნესდა... მაგრამ მალე ისევ გავგულგრილდი. ჩემმა ბურანში მყოფმა სინიდისმა ისევ მიიძინა, რასაც ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ. პირველი და უმთავრესი იყო ის გარემოება, რომ მე და კესას დამოკიდებულება არავინ იცოდა. თვით კესა მალავდა ამას ჩემის თხოვნისამებრ და ისე წმინდათაც შეასრულა ჩემი თხოვნა, რომ სიკვდილის დღესაც არავის გამოუტყდა, არავის შეატყობინა, რომ მე ვიყავ მიზეზი იმის თავის განწირვისა. მაშასადამე, ხალხის, საზოგადოების თვალში მე ისევე უბიწო დავრჩი და ჩემ თავთან ბრძოლა ხომ ჩემ ხელში იყო! მეორე გარემოება ჩემის თავდავიწყებისა კიდევ ის იყო, რომ მე გადმოვსახლდი საგუბერნიო ქალაქში და სწავლის განსაგრძობად ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში შევედი.

ეს სასწავლებელი განგრძობა იყო სამაზრო სასწავლებელისა. აქაც ისეთივე სუნი ტრიალებდა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ უფრო მოსაზრებული და წინდაწინ განზრახულ-შემუშავებული გეგმა იყო მოწაფეთა დევნისა. აქ უფრო დახელოვნებული ზედამხედველები, წინ დახედული ჯაშუშები და სასტიკი მთავრობა გვყავდა. რასაკვირველია, ჩვენი, ბავშვებივით, დარიგება გვიან-ღა იყო, რადგანაც სულ-ყველანი დავაჟკაცებულნი ვიყავით და ამიტომ ჩვენის გულ-შემატკივარის მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეული იყო იმაზე, რომ მოწაფეთ თავისუფალი აზროვნება არ გაღვიძებოდათ და შიშსა და მორჩილებას შესჩვეოდენ...

ძნელია გამრუდებულის ხის გასწორება და ძნელი საქმე იყო ჩვენი გამოსწორებაც. ვინც როგორი ვიყავით, ისეთივე დავრჩით და ამიტომ უფრო სასტიკი მოპყრობა

და დამცირების ქარცეცხლი გავიარეთ, რამაც მეტი ფლიდობა და ორპირობა შეგვძინა.

ის ნიადაგი ფლიდობისა და ურწმუნობისა, რომელიც დაბალ სკოლებში მოგვიმზადეს, აქ უარესათ გამტკიცდა... მაგრამ ბოლოს მაინც დიდებულმა პედაგოგებმა გაიმარჯვეს. ისეთები გამოვედით ცხოვრებაში, როგორიც იმათ უნდოდათ. მე კი რა ადამიანებში ჩასაგდები ვარ, მაგრამ ისინიც კი, რომელნიც ბუნებისაგან უხვად იყვნენ თაჯილდოვებულნი ნიჭით, ჯანსაღობითა და ხასიათის სიფაქიზით, განახევრკაცებულნი, თავანკარ ჭკუა-დაკარგულნი გამოვიდენ ამ სკოლიდან და, აბა ვილასთვის რა საშიშარნი არიან? მაგრამ, მგონი, ცოტა წინ გადავხტი. მე ის უნდა მეთქვა, რომ საგუბერნიო ქალაქში გადმოსახლებამ გამართო, კესას სიკვდილით გამოწვეული დარდი გულიდან გადამფერა მეთქი.

გარდა იმისა, რომ დიდმა საგუბერნიო ქალაქმა თავის ათასგვარის მაცდურებით თავს-ბრუ დამასხა, ხოლო ჩემმა ყოფილმა და ახალმა ამხანაგებმა თავის უზრუნველობით და უპატრონობით კვლავ ლხინ-ქეიფ-არშიყობისაკენ გამიტაცეს, თვით ჩემი სახლის პატრონებიც ისეთები აღმოჩნდენ, რომ, ჩემისთანა სუსტი ხასიათის კაცს კი არა, თვით ეშმაკსაც კისერს მოატეხინებდნენ.

უსახელო ქუჩაზე, სადაც ახლა შესანიშნავი და ძვირფასი ქარვასლა წარმოუდგავს ვილაც ყარაბაღელ სომეხს, მაშინ,— როდესაც მე ახლად ჩამოველ დიდ ქალაქში,—ჩამწკრივებული იყო პატარ-პატარა სახლები. ერთ მათგანის ფანჯარაზე გამოკრული იყო ქაღალდის პაწია ნაჭერი, რომელზედაც ეწერა: „აქ იძლევა ქირით ოთახი, წყალი, სადილი და ყოველივე მოწყობილება.

უპირატესობა დაეთმობა უკოლო, ახალგაზდა კაცსო“. მე ამ დროს სწორეთ ბინის დასაჭერათ დავხეტიალებდი ქალაქის ქუჩებზე და ეს ქალალდი რომ დავინახე, თამამად შევაღე ეზოს კარები.

— რომელი სახლი იძლევა-მეთქი ქირით? — ვკითხე ერთ შუახნის, ძალზე ჩასუქებულ მანდილოსანს, რომელიც დაბალ აივანს გადმოჰყუდებოდა.

— აქეთ მობრძანდით — დაიბუბუნა იმ მანდილოსანმა და სან-ფეხა კიბეზე მიმითითა.

მე აივანზე ავედი, ზრდილობიანათ მოვუხადე ქუდი და ჩემი თავი გავაცან.

სახლი მომეწონა... მაგრამ არა! სახლზე უფრო მომეწონა ერთი ქერა-თმიანი, ასე 20-23 წლის, ქალიშვილი, რომელიც გაზაფხულის იასავით ლურჯ თვალებს ეშმაკურათ ატრიალებდა, და ხნიან დედაკაცს ბეც დავუტოვე. იმ დღესვე გადმოვზიდე ბარგი ჩემს ახალ ბინაზე და შევუდექ შეგირდულ ცხოვრებას. მაგრამ შეგირდული კი იყო ჩემი ცხოვრება? ჰმ?...

საღამოს, ჩაის დროს, ვიჯექ ჩემთვის მოჩენილ ოთახში და ზარმაცათ ვათვალიერებდი ხვალინდელ გასაკვეთს. ეს გასაკვეთი ერთი რალაც უაზრო, უშინაარსო და „ტექსტებით“ აჭრელებული ვიღაც ბერის განმარტება იყო ღვთის სამპიროვნების შესახებ. ბევრჯელ წავიკითხე და, რომ ვერა გავიგე-რა, გადავწყვიტე სიტყვა-სიტყვით დამესწავლა. წავიკითხამდი ხოლმე წერტილიდან წერტილამდე და მერე წაკითხულს თვალებ დახუჭული თუთიყუშივით ვიმეორებდი.

ჯერ გასაკვეთის ნახევრამდისაც არ ვიყავ ჩასული, რომ თავს-ბრუ დამესხა და გულ-ამღვრეულმა ერთილაზა-

თიანათ შევუკურთხე მის დამწერს. წიგნი განზე გავწიე, დავეყრდნე იდაყვებზე და ისევ თავიდან დავიწყე ზეპირათ თქმა. მე რომ ურიების ხახამივით ვბურტყუნებდი, გაიღო კარები და დიასახლისმა შემომძახა:

— მობრძანდი, ჩაი მიირთვიო!

მართალი გითხრათ, ძლიერ გამეხარდა, რომ ერთის წუთით მაინც მოვშორდებოდი უაზრო „ზუბრვას“, და მეორე ოთახში გავედი.

მაგიდაზე მდგომ მტრედივით მოღუღუნე და ოქროსავით გალაპლაპებულს „სამოვარს“ შემოსხდომოდნენ, ფილით რომ ქილი ვნახე იმის გარდა, კიდევ სხვა ქალებიც, ერთი-ერთმანეთზე უკუთესები.

— გთხოვთ იცნობდეთ! — მომმართა დიასახლისმა — ჩემი ქალებია.

— ძლიერ სასიამოვნოა-მეთქი! ვუპასუხე, სათითოოთ ყველას ხელი ჩამოვართვი და თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექ. რამდენსამე ხანს ხმა-ამოუღებლივ ერთმანეთს ვათვალიერებდით.

— ხმ!... ჩაახველა ერთმა და გაიღიმა.

— ხმ! ჩაახველა მეორემაც და ამანაც გაიღიმა.

— სად გაცივდით, ქალებო! მარა... თავს რომ არ უფთხილდებით!... უსაყვედურა დედამ.

მე ისევ მუნჯივით ვიჯექ და ყველას ვათვალიერებდი. ხანდისხან თვალები სიტყვის მაგიერობას სწევენ ხოლმე, და მე ვიგვრძენ, რომ ყველას მოვეწონე (უსახური ახალგაზდა არ გახლდით.), და მეც — ცოდვა გატეხილი სჯობია — ყველანი მომეწონენ... დროა, ვალიარო ერთი თვისებაც ჩემის ხასიათისა, რომელიც იმთავით ამთავამდისე შმაკივით ამეკვიატა. ეს გახლავთ — ქალებით გატაცება.

ქალთან შეხვედრა, როგორც და რანაირიც უნდა ყოფილიყო. იგი, ყოველთვის აღმიძრავდა ხოლმე მღვრიე გულის-თქმათ. გულ-გრილათ ქალის ყურება მე არ შემეძლო, თუ იგი ჩემი ძლიერ მახლობელი ნათესავი არ იყო. გავიცნობდი თუ არა ქალს, მაშინვე მასთან დაახლოვების სურვილი გამიტაცებდა ხოლმე და ეს სურვილი იქამდის ძრიელი, იქამდის მაცდური იყო, ხოლმე, რომ ხშირათ ვეძლეოდი თავ-დავიწყებას, რამაც არა ერთხელ და ორჯელ ჩამაყენა უხერხულს მდგომარეობაში. მაგრამ ამაზე ქვევით, ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სურვილი გამბედაობას, სითამამეს მიმატებდა ხოლმე. მთელი საათობით შემეძლო ქალებთან ლაყბობა, თავისმოწონება. თუმცა ისიც კი მშველოდა, რომ ძლიერ კარგათა მქონდა ჩემი დროის ქალების ხასიათი შესწავლილი. ერთის გამოლაპარაკებით ვატყობდი, რაგვარ ქალთან მქონდა ხოლმე საქმე და მეც იქით მხარეს ვმართავდი ჩემის მჭევრმეტყველების საჭეს. მე თითონ არ ვიცი, საიდან ვიგონებდი იმდენ სასაცილო ამბებს, სადა ვპოულობდი ხოლმე სიტყვებს, მაგრამ ეს კი ვიცოდი, რომ ჩემი მომსმენი ქალები მოხიბლულები რჩებოდენ და ჩემთან ყოფნას ნეტარებათა სთვლიდნენ.

სამაგიეროთ კაცების საზოგადოებაში ვიყავ საშინელი უტყვი! მართალია, აქაც რიხს არ ვიტეხდი ხოლმე, ვღებულობდი სახის ჭკვიანურ გამომეტყველებას, და ისეთ ღრმა ფიქრებს ვეძლეოდი, გეგონებოდათ, ამ კაცმა რომ ლაპარაკი დაიწყოს, ქვეყანას გადააბრუნებს, ყველას აზრს გააბათილებსო, მაგრამ მე მაინც ვსდუმდი და ვსდუმდი. ამ ჩემ დუმილს ერთნი ჩემის სიდარბაისლითა ხსნიდნენ, მეორენი—ჩემის ხასიათით, მხოლოთ მარტო მე

ვიცოდი, რომ არ ვიყავ მომზადებული, არაფერი გამეგებოდა-რა და, ვაგლახათ ენის ჭარტალს, ისევ ბრძნულ სიჩუმეს ვამჯობინებდი...

— მიირთვით ჩაი—გაგიცივდებათ! ღიმილით დაარღვია სიჩუმე უფროსმა ქალმა, რომელსაც ნატაშა ერქვა.

— გნებავთ, გამოვცვლი? —სიტყვა გააწყვეტინა შუათანამ, რომელსაც დაშას უძახდნენ.

— დაატკბეთ-კი? დამეკითხა მესამე—გლაფირა.

— კარგი, ნუ მორცხვობთ, პოჟოლუსტაო! ღიმილით მომმართა კატერინა ივანოვნამ— ქალების დედამ.

ახლა კი,—მართალი გითხრათ—ავირიე. ერთი კაცი და ოთხი ქალი! აღარ ვიცოდი, პასუხი რომლისათვის მიმეცა. ერთხელ კიდევ ავათვალიერ-ჩამოვათვალიერე მუხის ტოტებზე შემომსხდარ ქედნებივით ღაბუა ქალები და უცბად ერთმა აზრმა გამიელვა, აზრმა გარყვნილმა და გათახსირებულმა: „მოდი ჯერ-ჯეროობით ყმაწვილ ქალებს თავს დავანებებ და მათ დედას გავუარშიყდები-მეთქი-“ ერთის შეხედვით, აქ საკვირველი არა გეჩვენებათ-რა, მაგრამ მე კი იმ წუთში შემდეგი გეგმა დავიხატე: «ეს ქალები, როგორც ეტყობათ, ცოტა მსუბუქები უნდა ბრძანდებოდენ და, რაც უფრო გავინაზები, ჩემთვის უფრო სასარგებლო იქნება-მეთქი“ და...

ქალებს აღარ ვუყურებდი, მარტო კატერინა ივანოვნას ველაპარაკებოდი

— ნურც ისეთი მორცხვი გგონივართ მეთქი,—ღიმილით ვუთხარი.

— ღმერთმა ქნასო! მოკლეთ მიპასუხა ივანოვნამ და ისეთი თვალით შემომხედა, რომ ეს დედაკაცი წმინდა სულისა არ უნდა ყოფილიყო.

იმ საღამოთი დიდ ხანს არ დავრჩენილვარ დიასახლისებ'ას. ნაჩაიევს ქალები მოიკაზმენ და სასეირნოთ გასწიეს. მე და კატერინა ივანოვნამ კიდევ რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ. ამ ლაპარაკიდან შევიტყე, რომ კატერინა ივანოვნა ქვრივი ყოფილა, ასე 40÷45 წლის (თუ არ იცრუა) და თავისს ქალებთან ერთად სცხოვრობდა თავისი შრომით. უფროსი ქალი ნატაშა ქმარს გამოჰქცეოდა, როგორც ლოთსა და მხეცს, შუათანა—დაშა—უდროოთ დაქვრიებულიყო, ხოლო უმცროსი—გლაფირა—ჯერ ისევ გასათხოვარიაო.—დააბოლავა ეკატერინა ივანოვნამ და ჩაი კიდევ შემომითავაზა. მე მადლობა გადაუხადე და ჩემ ოთახში გამოვედი.

ჯერ აზრები არც კი მომეკრიბა, ჯერ ვერც კი გამოვრკვეულიყავ იმ შთაბეჭდილებათაგან, რომლებიც ჩემზე ამ ქალებმა მოახდინეს, რომ ჩემს ოთახში შემოვიდა ეკატერინა ივანოვნა, დამიჯდა გვერდით და დარიგება დამიწყო, თანაც საშინლათ ოხრავდა და სწუხდა ქვეყნის გარყვნა-გათახსირებისა გამო, მხოლოდ თვალის კილოებში და ალეწილ სახეზე ეტყობოდა, რომ ეს დიდი მორალისტი (ზნეობის მქადაგებელი) დიდი კუდიანიც უნდა ყოფილიყო.

— შენ ყმაწვილი ხარ, ჩემო კეთილო,—მეუბნეოდა კატერინა ივანოვნა—ქალაქი კი ათასის მაცდურებითაა სავსე, თავს უნდა გაუფთხილდეო.

— მე იმდენი სასწავლელი მაქვს, რომ ვინ მომაცლის ქალაქის მაცდურებისათვისა-მეთქი,—უმანკო კილოთი ვუთხარ კატერინას და წიგნებს დალაგება დავუწყე.

არ ვიცი, მიმიხვდა თუ არა კატერინა ჩემ ეშმაკობას,

ხოლო, როდესაც იგი ჩემის ოთახიდან გავიდა, დავემხე ლოგინზე და დიდხანს ყრუთ ვიცინოდი...

ან კი რა მქონდა საცინელი მე უბედურსა, მაგრამ მოშხამული გულის-თქმა ადამიანის გამამხეცებელია. მეც დღემდე მხეცი ვიყავ! ხოლო კატერინას ოჯახში რომ სიმხეცე ჩავიდინე, იმისთანა ველურებშიაც არ მოხდება. მოკლეთ მოგახსენებთ. „ერთისა თუ ორის თვის შემდეგ ზემოდ ნათქვამისა, კატერინა ივანოვნამ პირდაპირ, ურცხვად შემომძღვნა თავი თვისი და მეც გავპირუტყვდი, თუმცა იმაზე წინაი, მისი ორი უფროსი ქალიშვილი ჩემთან უკვე დაახლოვებულნი იყვნენ... დამრჩა-ღა მეოთხე— გლაფირა,—რომელიც ძალზე მეხრუკებოდა და იმასთანაც დიდი ცერემონია აღარ გამიწევია.

ერთი კაცი ფაშასავით ვცხოვრობდი ოთხ დედაშვილებთან თითქმის მთელი წლის განმავლობაში. და ბოლოს მევე შემრცხვა ჩემის საქციელისა და ერთ დღეს იმათ სახლიდან ავიბარგე.., დედაშვილებმა ერთმანეთს გადაბრალეს ჩემი იმათი სახლიდან გაქცევის მიზეზი და ისეთი ოროომტრიალი მოუხდათ, რომ, თუ მევე არ მივშველებოდი და არ დამემშვიდებინა, ერთმანეთს დაჰქოჩრავდენ... შემდეგ გავიგე, რომ ისე ხელოვნურათ ატყუებდნენ თურმე ერთმანეთს ეს ოთხივენი, რომ თითოეულს მარტო თავისი საკუთარი საყვარელი ვეგონე... მეც კი ყველას ვატყუებდი!..

ვწერ ამ ეპიზოდს ჩემის ცხოვრებიდან და მევე, მომქმედს ამ საზიზღარის საქმისას, მიკვირს და გამკვირვებია ადამიანის ბუნება. აქ გაჭირვებით, ხელმოკლეობით გამოწვეული, მისგან იძულებული გარყვნილობა არ იყო. მე რომ არა მქონდა რა, იმათ რას მივცემდი? მაშ რამ აი-

ძულათ? ნუ თუ ასე გათახსირებულია ხალხის გულის თქმა? ან იქნება მარტო მე ვარ ასეთი დაცემული, რომ ადამიანობა სულ დამიკარგავს და გავმხეცებულვარ? ოხ, ნეტა ასე იყოს, ნეტა მე ვიყო პირველი და უკანასკნელი! დღეს-ხვალ შავი მიწა შთამთქავს და ქვეყანა მოისვენებს ჩემის ონავრობისაგან!..

—

სწავლის დამთავრებას ერთი თუ ორი წელიწადილა მიკლდა, როდესაც ერთი შესმენილი ოჯახი გავიცან. ამ ოჯახში იმ დროის მთელი განათლებული საზოგადოება დაიარებოდა. ჰმართავდნენ კრებებს, ლაპარაკობდენ მაღალ საგნებზე, მამულის შვილობაზე, ერის წინამძღოლობაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე და სხვა ამგვართა შესახებ.

მე, უკეთური, იმდენათ ვიყავ უვიცობის ჭაობში ჩაფლული, რომ პირველათ მესმოდა ასეთი ლაპარაკი; პირველათ ვხედავდი მაღალის აზრების მქადაგებელთ და მით უფრო გული მტკიოდა, რომ არ შემეძლო მონაწილეობა მიმეღო მათ მსჯელობაში, მათ მოქმედებაში.

თოთხმეტ-ხუთმეტი წელიწადი სასწავლებელში ვეგდე და კი არა ვიცოდი-რა! ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ჩემ გამოთაყვანებულ მასწავლებელთა-მიერ თავისებურათ ახსნილ-განმარტებული შემეცნებანი, ის სქოლასტიურათ დაღეჭილი და უაზროთ შესწავლილი ცნობები ლიტერატურისა, თუ ისტორიის შესახებ, რომლებიც სასწავლებელში შემეთვისებინა, სრულიად გამოუსადეგარნი აღმოჩნდენ და ჩემი ცოდნა ისე არ უდგებოდა ცხოვრების მოთხოვნილებათ, ცხოვრების შეგნებას, როგორც ცა—დედამიწას... და რაკი უფრო შესმენილ და ცხოვრებისაგან გა-

მოწაფულ ხალხში ჩავვარდი, ჩემი თვალთა ხედვის გაბრუნდებული ისარი მაშინვე შუაზე გადატყდა.

თავ-ზარი დამცა ჩემმა უვიცობამ. გული მომიკლა დაკარგულმა დრომ, თოთხმეტ ხუთმეტის წლის გათახსირებულმა წრთვნა-მდგომარეობამ და... უცბათ შემძაგდა ყველა ის, ვინც თურმე მარტო ჩემ გამოთაყვანება-გადაგვარებას სცდილობდა. გადავწყვიტე ისევ თავიდან დამეწყო „ანა-ბანა“, მაგრამ იმთავითვე გზა აბნეულმა, კვალი ველარ გავიგნე და ჩემმა ამღვრეულმა გულის თქმამ, ჩემის წამხდარის ცხოვრების ნაკადულმა ისევ თავისი ნაგუბარი მოსძებნა.

ორი-სამი თვის გარეშეთ მეცადინეობის შემდეგ, კვლავ ავეტორღიალე ერთ ქალს. ეს იყო კარგი დედამამის შვილი, მეტის-მეტი სანდო ადამიანი და ლამაზი. იგი ქალი გავიცან ზემოთ—დასახელებულ ოჯახში, მაგრამ ჩემი უმეცრება,— შეგნება იმისი, რომ სრულებით მოწყვეტილი ვიყავ იმ აზრებისა და მიმართულებისაგან, რომელსაც ეს ქალი ემსახურებოდა,— ნებას არ მაძლევდნენ პირველ დღიდანვე იერიში მიმეტანა. გარდა ამისა, ჩემი თავი, ჩემი „მე“ ყოველთვის და ყველაზე უფრო ძალიან მიყვარდა და, ვიდრე ამ „მოწინავე საზოგადოების“ ჰანგსაც არ ავიღებდი, არა მსურდა, თუ ვერ ვახერხებდი ამ წრის ქალებთან არშიყობასა.

ბევრი კარგი აზრი, ბევრი თბილი და უებრო სიტყვა, ბევრი ბროლივით წმინდა და ცეცხლივით ძლიერი მსჯელობა მომისმენია ამ მოწინავეთაგან, მაგრამ მე მათში ვერა ვპოვე საქმე, სიტყვის შესადარი მოქმედება, ნალაპარაკევის განმახორციელებელი სიმტკიცე, აზრის დამასაბუთებელი, თავ-განწირვა, უკეთესის ცხოვრების მომნი-

ჭებელი. იგინიც, როგორც უმრავლესობა უბრალო მო-
მაკვდავთა, ლოკოკინებსა ჰგავდენ. თუ მარტოკანი, გა-
თავისწინებულნი, ან მეგობართა წრეში იყვნენ ხილმე,
მოგეცათ ღვთის წყალობა, რომ ისინი დევ-გმირებსა ჰგავ-
დნენ, თავ-განწირვას ჩალათაც არ აგდებდნენ, ერთმანეთს
ვაჟკაცობას აკვეხიდენ, მოძმის გულისათვის სწუხდნენ და
გლოვობდნენ, მაგრამ საკმარისი იყო ვისმე, გარეშეს,
ალმაცერათ გადაეხედნა ამ კრებისათვის, რომ მაშინვე
ჩიტებივით დამფთხალიყვნენ და თხუნელასავით მიწაში
ჩამძვრალიყვნენ...

ჯერ ჯეროობით მეტს აღარას ვამბობ, რადგანაც მა-
თი გონებრივ-ზნეობრივი ავლა-დიდება შემდეგში განვი-
ცადე, და ამიტომ ისევ ჩემ თავ-გადასავალს განვაგრძობ:

თუ დაჰკვირვებიხართ თქვენ ნაცნობებს და თუ იმ-
დენი ვაჟკაცობა მაინცა გაქვთ, რომ სიმართლე აღიაროთ,
დამეთანხმებით, რომ, სასწავლებლის გარეშეთ დარჩე-
ნილთა გარდა, თვით ნასწავლებში ბევრია ყოვლად უვი-
ცი, უწვრთნელი, ხეპრე და სხვის თვალებათა-და გონე-
ბათ გარდაქცეული მამაკაცი, თუმცა, იქნება, საუნივერსი-
ტეტო ნიშანიც კი ჰქონდეს გულზე მიკრული. მაგრამ
დედა-კაცები კი უფრო უვიცები არიან და ჩვენებურ
დილეტანტს მათში უფრო შეუძლიან თავის გამოჩენა.

მეც, შევისწავლე თუ არა ცოტა რამ, მაშინათვე
ცოდნის მოსურნე ქალებს მივემხრე და ყველაზე უფრო
დავუახლოვდი ქეთოს (ასე ერქვა იმ ქალს). წინათაც
მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ მეტის-მეტი მო-
ქარგული ენა მქონდა. საკმარისი იყო ჩემთვის, ერთხელ
გამეგონა ვისგანმე ათასჯერ გადაღეჭილი აზრი, რომ იგი
ჩემებურათ გადამეკეთებინა, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით

შემემკო და დიდის რიხით წარმომეთქვა და, აი, შევიძელ-
რა ჟღმურტული მაღალ საგნებზე, პატრიოტობაზე, ლი-
ტერატურაზე და სხვა, მაშინვე ჩავერიე ჩემი დროის ახალ-
გაზდა ქალებში და მალე ყოვლად განათლებული ყმა-
წვილი კაცის სახელი დავიმსახურე... ნუ დავიიწყებთ,
რომ ჯერ ისევ მოწაფე ვიყავ, მოწაფე საშუალო სასწავ-
ლებლისა და მით უფრო უკვირდათ ჩემი განვითარება.

ყოველ ჩვენთაგანის უბედურება ის არის, რომ მალე
ვეძლევით ხოლმე თავ-დავიწყებას და, თუ ერთი-ორჯერ
მოვისმინეთ ვისგანმე ქება-დიდება, ან ორიოდე წერილი
დავბეჭდეთ გაზეთში, ან რიგიანი ლექსი და სუბუქი მო-
თხრობა დავწერეთ, ჩვენი თავი დიდებული პუბლიცისტი,
მწერალი და პოეტი გვგონია და ისედაც ვიქცევით, თით-
ქოს მართლა ოლიმპზე დავბადებულიყოთ...

ვინ იცის, რამდენი მართლა ნიჭიერი ყმაწვილი კაცი
გამოუთაყვანებია ამ ჩვენებურ თავ-დავიწყებას და, სასა-
ხელო მწერალ-პოეტის ნაცვლათ, მეშტვირე—მეაქიეთ
გარდაუქმნია! მე კი ჩემს დღეში არა დამიბეჭდია-რა,
თუმცა, შინაურულათ კი, მევლექსეობდი და ახალგაზდა
ქალებს ალბომებში საარშიყო რომანსებსა და ექსპრო-
მტებს ვუწერდი... სხვათა შორის, ლექსი დავუწერე ქე-
თოსაც; ამ ლექსში აღტაცებით მოვიხსენიე ქეთოს მამუ-
ლიშვალობა, მაგრამ უფრო ვამკობდი მის ჟუჟუნა თვა-
ლებს და იმ წყეულ ხალს მის ლამაზ ლოყაზე, რომელ-
მაც მე ტვინი ამირია. ქეთომ რომ პირველათ ეს ლექსი
წაიკითხა, აილეწა, აიმრიზა, მაგრამ მისი ამხანაგები აღ-
ტაცებით მიეგებენ ჩემ ლექსს და ქეთოც დამშვიდდა.
ალბათ, გუნებაში თუ იამა ქათინაური და ამით ქალმა
თავისი ქალობა მაინც გამოიჩინა.

დღეს-ხვალიაობით შინაურებში სახელი და დიდება მემატებოდა. მალე ყველა ჩემი ნაცნობები დარწმუნდენ, რომ მე „ნიჭიერი“ კაცი ვიყავ და უეჭველათ რომელსამე ასპარეზზე თავს გამოვიჩენდი. ზოგნი ჩემგან თურმე გენიოსობასაც კი მოელოდნენ. რა იცოდნენ გული-უბრყვილოებმა, რომ მთელი წლობით არა-ბუნებრივ აღზრდაში მყოფი ტვინი ადამიანისა ჩლუნგდება. ხოლო გულისთქმა კი კნინდება და ფუქსავატდება!.. მე ეს ჩემ თავზე გამოვცადე და წინააღმდეგში ვერავინ დამარწმუნებს...

გამაბრუვა, დამარეტიანა ნაცნობების ჩემდამო ყურადღებამ, ფრთები შემასხა ახალგაზდა ქალების ჩუმმა ტრფობა-ალერსმა და წარმოვიდგინე, რომ მართლა ვყოფილვარ რამე, სხვაზე მაღლა ვმდგარვარ რიღათიც და გავდიდგულდი... დამწიფებულათ მომეჩვენა ჩემი თავი. მაგრამ ყველაზე ძრიელ ის უფრო მახარებდა, რომ ქეთოს დავუმეგობრდი.

დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გაჩენის დღე! იმ თავით ამ უკანასკნელ დღემდე თვალთ-მაქცობაში დავლიე ჩემი სიცოცხლე, ყველას ვატყუებდი, მაგრამ ყველაზე მოტყუებული კი მევე დავრჩი. ახია ჩებზე!

ჰო, იმას ვამბობდი, ქეთოს დავუმეგობრდი-მეთქი. იმ დროს, როდესაც შინაურულ კრებებზე, თუ კერძოთ დანარჩენ ქალებს სხვადასხვა მაღალ საგნებზე ვესაუბრებოდი, გულში ქეთოსთან პირუტყვულ დაახლოვებაზე ვფიქრობდი...

ერთ საღამოთი ისე გამიტაცა ქეთოს სიმშვენიერემ, რომ, როდესაც მარტოკანი დავრჩით, მკლავი მაგრა დავუჭირე და რაღაცა საალერსო სიტყვა ჩავჩურჩულე.

ქეთომ არც აცივა, არც აცხელა და ისეთი ლაზა-

თიანი სილა მკრა, რომ ყურებმა სულ წივილი დამიწყეს... თურმე ის, დიდი-ხანია, მიხვედრილიყო ჩემ ეშმაკობას.

გავშრი, თავ-ზარი დამეცა. გაბრაზებულმა მიმოვიხედე, მაგრამ ოთახში აღარავინ იყო. ქეთო გარეთ გავარდნილიყო...

ჩემისთანა ხალხს საზოგადოების აზრისა ძრიელ ეშინია და მეც, ამ სკანდალის შემდეგ, შიშის ზარმა ამიტანა. ფეხ-აკრებით გამოვედი სახლიდან, ერთხანს ქუჩაზედაც დინჯათ მივდიოდი, მაგრამ, მივეფარე თუ არა ქეთოანთ სახლს, გიჟივით მოვკურცხლე.

სად მივდიოდი? მეც არ ვიცოდი, მაგრამ, ის იყო და ის, ქეთოანთ უბნისკენ ფეხი აღარ დამიდგამს...

ერთით ჭკუა კი მასწავლა ქეთომ! შემდეგში უფრო ფრთხილად ვექცეოდი ქალებს და მარტო თვალთ-მაქცობა-თხოვნით-ღა ვატყუებდი. მაგრამ კმარა ჩემ შეგირდულ ცხოვრებაზე ლაპარაკი. მეტის მეტი ერთ-ფეროვანი, უმნიშვნელო და უნიადაგო იყო იგი ცხოვრება და ჩემი ნამოქმედარის ჩამოთვლა უკვე თქმულის გამეორება იქნება. .

—

როგორც იყო გავათავე საშუალო სასწავლებელი, ჩავიდე ჯიბეში ის ქაღალდის ფარატინი, რომელსაც დიპლომი ჰქვიან და დავიწყე სხვადასხვა დაწესებულებებში ყიალი, ადგილის თხოვნა...

ადგილის თხოვნა!.. იცით, რა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებს? იცით, რა დამცირებასა და დაკნინებასა თხოულობს ადგილის შოვნა, თუ კარგი პროტექცია არა გაქვთ? ოხ, ეს პროტექცია! ესეც ნაყოფია იმ თვალთ-

მაქცობისა და ნათლიმამობისა, რომელიც ცხოვრებაშია გამეფებული!

მთელი ექვსი თვე ვიარე, ადგილის ძებნაში მუხლები ჩამომაწყდა, მაგრამ ვერსად რასა ვშოულობდი. ნაცნობი გყავთ ვინმე? პროტექცია გაქვთ?—მეკითხებოდენ აქეთ-იქით და ჩემ ატესტატს თავში მახლიდნენ. თუმცა იმ ოხერში ოცი, თუ ოცდაათი საგანი მაინც იყო ჩამოთვლილი, მაგრამ ასეთი ჩემი დიდი ცოდნაც არა სჭრიდა.

— შენი ცოდნა ახლად დაბადებულებსა და მიცვალებულებს მოახმარეო—გესლიანათ მითხრა ერთმა უფროსთაგანმა, როდესაც ჩემ ატესტატზე მივუთითე...

გამიჭირდა საქმე მშიერი ვკვდებოდი. დავიწყე პატრიოტობა, ლექსების წერა, გავერიე ჩვენ მოსაქმეთა შორის. ვიფიქრე, იქნება, ამან მაინც გასჭრას-მეთქი. ცოტ-ცოტაობით, ხუმრობის გარეშე, ქე შემიყოლია საზოგადო საქმეებზე ზრუნვამ და, მაშინ რო პატრონი გამჩენოდა, ან ცოტა რიგიანი საქმე მეშოვა რომელსამე ჩვენს დაწესებულებაში, იქნება ცოტათი მაინც გამოვკეთებულვიყავ. მაგრამ ღბედურება ის იყო, რომ ჩვენი რედაქციები იმ დროს მარტო უნიჭოებსა ჰკვეშამდნენ, თუმცა, მართალი მოგახსენოთ, თითონაც ბევრი არა ჰქონდათ რა. ბანკში ხომ ისედაც ბევრი იყო „პენსიონერი“. დანარჩენი საზოგადოებანი ყველა საქველმოქმედო იყო და მკვდარი ხომ მკვდარს არ ავეკიდებოდი. კარგია ქველმოქმედება, ხოლო, როდესაც შენ თითონ საქველმოქმედოთა გაქვს საქმე გამხდარი, მაშინ?...

მართალი მოგახსენოთ, გამორკვეული აზრი ცხოვრებაზე და მიმართულება თავისდღეში არა მქონია, ვინაიდან თვით ჩემი სწავლა და ცოდნა აბდა-უბდური,

უშინაარსო იყო. მაგრამ ერთი რამ კი მწამდა (თუ არ ვიცი, იმდროს ისე ვიყავ მომართული, რომ უნდა მერწმუნა). ეს რწმენა გახლდათ ნდობა პატრიოტებისადმი.

ჩემდა თავათ არაოდეს არა ვყოფილვარ გულ-ქვა: ხელ-მოკლე და, ასე გასინჯეთ, ჭკუა მოკლეც კი, ყოველთვის მებრალებოდა ხოლმე, რა ტომისაც უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ თუ ზოგიერთი ჩვენი „პატრიოტები“ ჩემზე უფრო გულკეთილები არ იქნებოდნენ, ეს კი აღარ მეგონა!.. ამიტომ დიდის რიხითა და გაბედულობით მივმართე ცნობილ პატრიოტებს, ვისაც პტყელ-პტყელის ლაპარაკისა და ქველ-მოქმედების დროს თვალსაჩინო ადგილი და ქონება შეეძინათ. თქვენც არ მომიკვდეთ, მე ვერას გავხდი.

რის პატრიოტობა, რა პატრიოტობა... ჯერ ძილო და მერე სიზმარო,—ჯერ ქონების შეძენა, ჯერ ფუფუნება და განცხრომა და მერე პატრიოტობაო,—მესმოდა აქეთ-იქიდგან.

— რა ვუყოთ, რო ქართველია. ცოტა სულელი, ქართველია ქვეყანაზე? რითი დაიმსახურა ყურადღებაო? და სხვა ამგვარები ათასობით მითხრეს და შემომითვალეს ჩვენმა პატრიოტებმა.

— ბატონებო, ხელი მოგვიმართეთ, დაგვაყენეთ გზაზე ახალგაზდები და მაშინ თავის გამოჩენა, დამსახურებაც მოგვთხოვეთ-მეთქი,—ვეუბნებოდი მეც პასუხათ. მაგრამ ყოველთვის სიტყვები სიტყვებათ რჩებოდენ და მე კი კუჭი შიმშილით მიხმებოდა!..

გაშიძაღლდა ყოფნა... ჩავუკვირდი ყველას მოქმედებას და... იცით, რა დასკვნას დავადექი? მაპატიეთ კი,

მაგრამ პატრიოტობა ჩვენში ცალიერი სიტყვა ყოფილა! ჩვენში პატრიოტობს მარტო ის, ვისაც არა აქვს-რა, ვისაც შინ ძაღლი არას შეუჭამს და გარეთ—კატა. დანარჩენები კი მარტო ამ სახელით სარგებლობენ და მეტსა და მეტ განცხრომა-დიდებას ეძლევიან.

აბა, სადა გვყავს ჩვენ პატრიოტები? პატრიოტები რომ გვყავდეს, ერთ დღეს საქართველოში იმდენი ფული შეიკრიბებოდა, რომ ჩვენი გუდა-მშიერა ლიტერატორები, ჩვენი თეატრი და აქტიორები, ჩვენი უსაქმურათ მოხეტიალე ახალგაზდობა—ყველანი საზდოს და საქმეს იშოვნიდნენ. რაც თვითოეული ჩვენთაგანი ერთ დღეს უბრალოთ ფულს დახარჯავს, იმის მეოთხედი საზოგადო საქმისათვის რო გადასდოს, აქამდის ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეუდა... მაგრამ სიტყვები, სიტყვები, სიტყვები და ისევ სიტყვები. მადლობა ღმერთს, რო ენას ძვალი არა აქვს... მე ვიცნობდი ისეთ პატრიოტებს, რომელთაც ათ თუმნობითა და ოც თუმნობით უხარჯავთ სადილ-ვახშამზე, იმიტომ რომ ჩინი და „დიდება“ ეშოვათ, და ქართული გაზეთის გამოსაწერათ კი კაპეიკიც არ გაუმეტნიათ... მე ვიცნობდი ისეთებსაც, რომლებიც შვილებს სტუქსავდნენ ქართულის ლაპარაკისათვის და თავისი ქართველობისა სცხვენოდათ თავისს უფროსებთან. მართლა რომ, სირცხვილი იმათ! მაგრამ ,აბა, გაგებედნათ და გეთქვათ: თქვენ მატყუარები ხართო! თავს შუაზე გაგიხეთქდნენ და თავის დამქაშების მეოხებით შენვე ჩაგთვლიდნენ სამშობლოს მოღალატეთ...

აი, ასეთი პატრიოტები გახლდათ ჩემ დროს და რას ვეწეოდი? გულიანათ შევუკურთხე ყველას და მეც მივა-

ნებე თავი გუდაფშუტა პატრიოტობას!.. ისევ განზე დავიწყე ყურება, ისევ გადამიტრიალდა გუნება...

ოხ ღმერთო!..

—

თავის დაცვის უფლება ყველასა აქვს, და მეც ამიტაცა ამ სურვილმა. გმირი არ გახლდით, რომ რაიმე საგმირო საქმე ჩამედინა და სხვაფრივ კი ვერას ვხდებოდი...

იმ გონებრივის სალაროთი, იმ უმადურის ცოდნით, რომელიც სასწავლებელმა მომცა და რომელიც რამდენსამე ხნის შემდეგ მარტოოდენ ქაღალდის ფარატინათ გარდაიქცა (ვაი დაკარგულო დროვ!), იმ ხასიათ, რომელიც ჩემს თავსა და გულში ტრიალებდა, იმ მეშჩანურის იდეალით, რომელიც გულის ფიცარზე მეწერა, ვერავის ვერც წინამძღვრობას და ვერც წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი... ცხოვრება კი მწყუროდა, მწყუროდა ისე, როგორც ნაიალაღარ ხარ-ირემს მოსწყურდება ხოლმე ცივი ანკარა წყალი. რა მექნა სად წავსულიყავ, ვისთვის მიმემართნა? როგორ მეგრძნობინებინა ვისთვისმე, რომ მეც ადამიანი ვიყავ, მეც მშიოდა, მწყუროდა. განა მაძღარს ყურები ასხია, გული აქვს?

დაღონებულ-დაძმარებული ოხვრით ვათენებდი ღამეს და ოხვრითვე ვაღამებდი დღეს. ქალები, მათ უკან დევნა, მათზე ოცნება თითქმის დავიწყებას მივეც. არის ისეთი გარემოება კაცის ცხოვრებაში, როდესაც მას ყველაფერი ავიწყდება, ყოველგვარი გრძნობა ეხშობა და მხოლოდ ერთად-ერთი გრძნობა თავის დაცვისა-ღა ახელმძღვანელებს მას. მეც ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი.

კაცი მეგონა ჩემი თავი და ძაღლათაც არავინ მაგდებდა!

საითაც მივიხედავდი—პროტექციასა მთხოვდნენ, სა-

დაც ფეხი შევდგი, არ მიმიღეს—არ გიცნობთო. სადაც დავაკვირდი, ყველგან ნათელ-მირონობა, მეგობრობა, საყვარლები, ქრთამი და შინაურები დამიხვდნენ გაბატონებულნი. შემძაგდა ხალხი, შემძაგდა ჩემი თავი და გულში სიბოროტე დამისადგურდა: რაც ცუდს იზამს კაცი, ყველა სამართლიანი იქნება-მეთქი—გავიფიქრე და... ის იყო, შევდექ კიდეც ძველებურ გზაზე...

ერთ დღეს, გულის გასართობათ, შევედი ერთ საზაფხულო ბაღში. ერთი აბაზის მეტი ჯიბეში გროში არ მეგდო. მოვიკითხე ზელტერის წყალი, მოვუჯექი მაგიდას და დავიწყე ხალხის თვალიერება. ლამაზათ მორთულ-მოკაზმულნი ჭამათ გარდაქცეულიყვნენ. ანადგურებდნენ აუარებელ სანოვაგეს, სვამდნენ ზღვა-ღვინოს, ხარჯავდნენ ბლუჯა-ბლუჯა ასიგნაციებს. მუსიკა თავ-გამოდებით უკრავდა, ელექტრონი გულ-გრილათ ციმციმებდა, ხეები შრიალობდნენ, ლაქიები დარბოდნენ, ბაღის პატრონი სიამოვნებით დნებოდა, ნახევრათ გატიტვლებული ქალები კასკასობდნენ. ჰაერში საჭმლისა და ღორ-მუცლობის სუნი ტრიალებდა. ვუყურე, ვუყურე ამ ხალხს და მე იგინი შევადარე მშრომელ ხალხის სისხლის-მსმელ, გაუმაძღარ წურბელებს.

— საიდან შოულობენ-მეთქი ამდენ ფულს? დავეკითხე ჩემ თავს და ეს ხროვა ხალხისა წარმომიდგა ბნელ ორმოდ, სადაც ყოველგვარ ქვეწარმავალს მოეყარა თავი. აქ პატიოსნებას ადგილი არა ჰქონდა. აქ სუფევდა ფულებათ ქცეული ცრემლი უბედურთა, საჭმლათ ქცეული გულ-ღვიძლი გულ-უბრალოვილო მშრომელთა, ღვინოთ ქცეული სისხლი იმ უკულმართ მონათა სინიდისისა, რომელიც სიწმინდითა და მორჩილებით ფიქრობს ქვე-

ყნის ხსნას, მშიერი კუჭის გაძღომასა, ადამიანურ ცხოვრებასა!!.. არა, პატიოსან კაცს ამ ხალხში ჯერ არ ეცხოვრება!...

ჩემ გვერდით, მაგიდას შემოსხდომოდნენ ორი ახალგაზდა ინჟენერი ბჭყვრიალა პეტლიცებით და ორი აპუხტივით შავი და ამღვრეულ თვალებიანი ცილინდროსანი. მაგიდაზე ათასფერი საჭმელი, ათასგვარი ღვინის ჭურჭელი, ბაკლები, ჭიქები ელაგათ. რომელი რომელს ატყუებდა—ინჟენერები ფოდრაჩიკებს (ნამდვილათ, გამდიდრებული კროები იყვნენ), თუ ფოდრაჩიკები ინჟენერებს—ეს კია, რომ ერთმა ცილინდრთსანმა ამოიღო ვეებერთელა საფულე, გახსნა იგი და ამოაფრიალა ერთი ათ-თუმნიანი...ღმერთო, რამდენი ათ-თუმნიანები ჰქონდა, ამ ცინგმულიანს მდიდრულ ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილ ტრუკს! საიდან, საიდგან იშოვა ამდენი სიმდიდრე, რომ ათასობითაც კი ჯიბით დაათრევს-მეთქი? პატიოსნებით? კიდევ დავეკითხე ჩემ თავს და გამეცინა,—რათაც, თქვენ კარგათ მიხვდებით, ჩემ გულუბრყვილობას მევე დავცინე.

ცილინდროსანმა მოითხოვა ლაქია, გაუსწორდა, საიდუმლოებით სავსე ღიმილით ჩაუკრა თვალი ინჟენერებს, გამოეთხოვა, გაიმძღვარა მეორე ცილინდრიანი და ბარბაცით გასწია. თითო მის ხელის აქნევაზე ბრილიანტის ბეჭდები გზას უნათებდა...

მაგიდასთან დარჩა მარტო ორი ინჟენერი. ერთმა მალე ჩაქინდრა თავი, დააყრდნო იგი მაგიდაზე დადებულ მკლავს—და... ხვრინვა ამოუშვა. ხოლო მეორე აღარ ისვენებდა და რაღაზედაც ჭინჭყლობდა.

ამ დროს გამოიარა ვიღაც გაბღენძილმა კაცმა და,

სკამებს შუა რომ ვერ გამოეტია, ანჩხლ ინჯენერს დაეჯახა.

— Ахъ! свинья! გაეჯავრდა მსუქან კაცს, რომელიც ზარხოშათ ბრძანდებოდა და მჭედლის საბერველივით ქშინამდა.

— Ти сама свиніа! დაჰბღუვლა ვაჭარმა (ძლიერ მდიდარი ვაჭარი გამოდგა) და გამობრუნდა.

ინჟენერმა დაავლო ჭიქას ხელი და ბეჭებში სდრუზა. გაანჩხლებულმა ვაჭარმა ჯოხი უთავაზა კისერში. შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი ვაი-უშველებელი. გამოღვიძებული მეორე ინჟენერი უფრო გულანჩხლი გამოდგა და ვიღაც მშველელს ერთი ლაზათიანი სილა გააწნა. შეიქმნა ხელ ჩართული ჩხუბი. ვაჭარს ვაჭრები მიეშველნენ ინჟენერს ვიღაც ჩინოვნიკები. მიდამოს ზანზარი გაჰქონდა. ხალხი წამოიშალა, ჭურჭელ-საინი დაიმტვრა. და ბოლოს ერთი ხელმარჯვე ახალგაზდა ცილინდრისანი ეცა ერთ-ერთ ინჟენერს, წაუჭირა კისერში ხელი და, აღრჩობდა. ამის მნახველმა მე ველარ მოვითმინე და, რადგანაც გულმოსული ვიყავ ამ მუქთახორა ხალხზე, მეც გავშალე ხელი. მოვიგონე ჩემი ძველებური კრივი... ვეფხვივით გადავხტი მოჩხუბარებისაკენ, დავუშინე თავსა და პირში ცილინდროსან-ლიპიანებს და ბუზებივით დავფანტე. ძირს წაქცეული ინჟენერი წამოვაყენე. მივაყუდე კედელთან და წინ ჩავუდექი, ვინც კი მოდიოდა მის დასაკრავათ, ერთი აღარ მოუშვი. ამასობაში ათი ხუთმეტი გოროდოვოი, სამი თუ ოთხი ოკოლოდოჩნი და პრისტავიც ჩამოგვესია. ხალხი გაჰფანტეს, დამნაშავეთ პროტოკოლი შეგვიდგინეს და ბაღიდან გამოგვიყვანეს...

ბაღის გარეთ ინჟენერებსა და ზოგიერთ ვაჭარს

სთხოვეს სახლში წაბრძანებულიყვნენ, ხოლო მე და რამდენსამე სხვას პოლიციაში წათრევას გვიპირობდენ...

— ეგეც გამოუშვით ჩემთან... ეგ ჩემი ნათესავია... მე ვარ პასუხის მგებელიო,—უთხრა ჩემ შესახებ ერთმა ინჟენერმა პრისტავს, რომელიც მცირე ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა, მერე ჩამისვა ინჟენერმა ფაეტონში და სადღაც წამიყვანა...გზაზე მადლობით გამათავა. თქვენ რომ არა ყოფილიყავით, მომკლავდენო... მელუღლუღებოდა ნაცემნაბეგვი და ნასვამი ენას ველარ იბრუნებდა.

— ყველას მოვალეობაა კაცი გაჭირებიდან დაიხსნას-მეთქი!—მეც ვუპასუხე.

ჩვენი ეტლი ერთ მდიდრულ კარებთან გაჩერდა. მე გადმოვხტი ეტლიდგან, ინჟენერი გადმოვსვი, ზარი დავურეკე და, როდესაც დერეფანში მოსამსახურე გამოჩნდა—გამოთხოვება დავაპირე.

— აჰ, არ იქმნება... ჩემ ცოლს, ჩემ ჟენიას უნდა ვაჩვენო ჩემი მხსნელიო—დაიძახა და მომებღაუჭა.

—პროტექტორი, პროტექტორიო.—ჩამესმა ამ დროს ერთის გამოთაყვანებულ ბებრის ხმა, რომელიც ღენერლის ხარისხით ერთ-ერთ დაწესებულებას უფროსობდა. მე გავიღიმე, შევუჯექ მხარში პატივ-ცემულ ინჟენერს და კიბეს შევუდექი.

მდიდრულის ნოხით დაფენილი მარმალილოს კიბე, ყვავილებ ჩამორიგებული და ძალუმათ განათებული, სწორეთ სამოთხის გზას მოგაგონებდათ. კიბის თავზე, ცოტა მარჯვნივ, ოთახში შესავალ კარებთან იდგა ძვირფასი ტართუმა (სარკე) რომლის პირდაპირ ჩამოკიდებული იყო მდიდრული ლამპარი. ამ სარკეში მე და ინჟენერი თავით ფეხამდის გამოვჩნდით. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ

იმას მუნდირის ღილები სულ მთლათ დაწყვეტილი ჰქონდა და კბილებში სისხლი წამოსდგომოდა. მეც კი ცალი თვალი ცოტა გამლურჯებოდა.

— ჟენია, დუშკა... აი, ჩემი მხსნელი—ყვიროდა ინჟენერი. კლუბიდან მოვდიოდი... ჩემი მტრები დამიხვდნენ... მოკვლა მომინდომეს და, აი, ამან დამიხსნა, ამან... ამან გადაგარჩინა უდროვოდ დაქვრივებასა. ხა, ხა, ხა!—ხიხინებდა ლოთი-ფოთურათ ალექსანდრე ალექსანდროვიჩი (ასე ერქვა ინჟენერს) და თან ბარბაცებდა.

მე ჯერ განცვიფრებიდან არ გამოვკვეულიყავ ინჟინერის სიცრუვისა გამო, რომ ჟენია—სწორეთ რომ კალმით ნახატი, მედიდურის სახისა და ახოვანის ტანის, მკერდ მაღალი ქალი—სავარძელში გადავარდნილიყო და ისტერიკა მოსვლოდა... ხან მწარეთ ქვითინებდა ჟენია, ხან იცინოდა და მხრებსა და მკერდს ბნედიანივით ათამაშებდა... როგორც სჩანდა, სახლში ერთის მოსამსახურისა და ჟენიას მეტი ამჟამათ არავინ იყო, რომ არავინ გამოგვეშველა. სხვა გზა არ იყო, მე უნდა მივშველებოდი ჟენიას და დამემშვიდებინა. ალექსანდრე ალექსანდროვიჩიც ვითომ ამშვიდებდა—ათას რალაცაებსა ბოდავდა... როგორც იყო მოვაბრუნე ჟენია. მსახურისაგან მოტანილი წყალი პირზე შევაპკურე, მკერდი გავუხსენ, ყურები დავუსრისე და ქალი ფეხზე წამოდგა.

დღესაც არ ვიცი სიბრაზით მოუვიდა ქალს ისტერიკა, ქმარის სიკვდილის შიშით, თუ ყაჩაღების გაგონებაზე. ეს კი კარგათ მახსოვს, რომ იმ ღამეს ვახშმათ აღარ გამომიშვეს და, რაც საზაფხულო ბაღში დამაკლდა, აქ შევისრულე.

ჩემი უბედურება მარტო ის იყო, რომ ნაცნობებს ძნელად ვშოულობდი. ხოლო, თუ ვისმე გავიცნობდი ხოლმე, უეჭველათ მოვხიბლავდი ჩემის მოხერხებულის ლაპარაკით, ზრდილობიანობით და თვალთ-მაქცობით. ასევე მოვხიბლე ალექსანდრიჩი, მისი ცოლი და სიდედრი, რომელიც, ძვირფასს თივთიკ-ბუმბულში რომ არა ყოფილიყო ჩაფლული, მინდვრის ბაყაყი გეგონებოდათ.

მეორე დღეს დანიშნულ საათზე რომ მივედი, ინჟენერს ძლიერ გაეხაოდა, ცოლს ესიამოვნა, სიდედრი კი მხოლოდ მაშინ გავიცანი... ყავაზე ალექსანდრიჩმა ლაპარაკი ჩამოაგდო თავისს სამსახურის შესახებ. აღმოჩნდა, რომ იგი გაუვალ მთებში გზის გამკეთებელი კომისსის თავმჯდომარე ყოფილა და თვეში ათას მანათზე მეტი ჯამაგირი ჰქონია. აბა ამაზე უკეთეს პროტექტორს სადღა ვნახავდი, ან რაღა პროტექტორი მინდოდა, ჩემისთანა წვრილფეხობა მსხვილ ფეხა ალექსანდრეს ყოველთვის დასჭირდებოდა. ამიტომ მეც ჩამოვუგდე საუბარი უსაქმურათ მოხეტიალე ყმაწვილ და განათლებულ კაცებზე, გავბერე, გავაზვიადე საქმე და ბოლოს გამოვუტყდი, რომ მეც ერთი იმათგანი გახლავართ და გთხოვთ, რაიმე ადგილი მიშოვოთ-მეთქი. ამ სიტყვებით სერთუკის უბიდან ჩემი ატესტატი ამოვაცოცე და გავუწოდე.

— დიდის სიამოვნებით! რომ არსად იყოს ადგილი, თქვენთვის შევქმნიო.—მითხრა ალექსანდრემ და ატესტატი არც კი ჩამომართვა.

— საშა, გეთაყვა, ღირსეული ადგილი უშოვნე ბატონ ფიჩხაშვილსაო,—შეეხვეწა ცოლიც.

სიდედრმა კი ლორნეტი აიფარა თვალებზე და თვალიერება დამიწყო. ისეთი სასაცილო ბებერი იყო

ეს შლიაპოსანი თუ ჩეფჩიკოსანი, რომ კინაღამ არ წავიფრუტუნე. თავის შესაკავებლად ზალას თვალი შემოვავლე. ღმერთო, რა სიმდიდრე იყო ამ ზალაში! იმისი ბორთულობა სამოციათას პატიოსან და წელში ცხრაკ მოხრილ მშრომელს იყიდდა და გაჰყიდდა!..

—

ერთი კვირის შემდეგ ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ მე დამნიშნა თავის მდივნად „личнымъ секретаремъ“ —რუსები რომ ეძახიან—და თვეში რვა თუმანი აღმითქვა. ახლა კი გაკეთდა ჩემი საქე! ერთი კვირის შემდეგ ფულები ავანსით გამოვართვი ჩემ საშას — მოდი ასე დავუძახებ—მოვირთე, მოვიკაზმე უკანასკნელ მოდაზე, წელში გავსწორდი, ულვაშები გადავიგრიხე, ნელ-საცხებლებით გავითხუპნე და ასე შევცურდი ცხოვრების მორევში.

სამუშაო ბევრი არა მქონდა-რა. ხშირად საშასთან ვიყავი ხოლმე და სამმართველოდან მოტანილ ქაღალდებს ვუკითხავდი მდიდრულ სდვარძელში გადაჭიმულ საშას, ათასში ერთ ქაღალდზე მოკლე პასუხს ვაძლევდი, მერე საშასა და ჟენიასთან ყავასა ვსვამდი, დედაბერს—მატრიონა პეტროვნას—ვაცინებდი ხოლმე და შინ ვბრუნდებოდი.

ორი თვის შემდეგ საშას ცოლს მეც ისე თამამად ვუძახდი ჟენიას, როგორც თვით ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, და ჩავვარდი ქერის ორმოში...როცა საშა სახლში გალეშილი ეგდო ხოლმე (გადაკვრა ძალიან უყვარდა), ან სახლში არ იყო, ჟენიას ხშირად აერეოდა ხოლმე გზა და, ქმრის კაბინეტის მაგივრად, ჩემ სამუშაო ოთახში შემოდიოდა და მთელი საათობით ვსტკბებოდით ხოლმე სიცოცხლით... სიამოვნებით...

ბარაქალა ჩემო მარჯვენავ, ისევ შენ გახდი ჩემი პროტექტორი, მაგრამ ხალხი რომ დღევანდლამდის თვალთმაქცია, ამას ნეტა როდისღა ეშველება!

გაიგეს თუ არა, ბატონო, რომ მე რიგიანი სამსახური ვიშოვე, ნაცნობი და უცნობი ჩემ ქებაში იყო. მე ვხედავდი მათ სიფლიდეს, ვხედავდი მათ ვერაგობას, მათ სისულელეს, მაგრამ, რომ ადგილი შემერჩინა და უფრო საფუძვლიანად მომეწყო ჩემი საქმე, მეც ვფლიდობდი, მეც ქვეყანას ვატყუებდი, იმ გარჩევით, რომ თუ კი ხელი მიმიწვდებოდა ხოლმე, გაჭირვებულთ ყოველთვის ვშველოდი.

რვა თვის შემდეგ საშას გაცნობისა, სხვათა მრავალთა შორის, მისისავე მეოხებით, გავიცან ერთის სახელმწიფოს დაწესებულების უფროსი, მისი ცოლშვილი და რვა თუმნიდან თორმეტ თუმნიან ადგილზე გადავცოცდი... დიდი წარმატებაც მომელოდა, იქმნება, სასარგებლო კაცია ვყოფილიყავ, მაგრამ ყალბმა ცხოვრებამ კვლავ ჩამითრია, ხოლო ქალებმა კვლავ ტვინი ამირიეს...

ასეა, ფუქსავატი ცხოვრება ფუქსავატობამდის მიიყვანს ადამიანს!

—

როცა სამსახურში ფეხი მოვიმაგრე, როცა საკუთარ გავჩინოვნიკდი და გავერთე წარჩინებულ მოხელეთა ცხოვრებაში, ერთიც კიდევ დავაჯახე თავი სიყალბეს. ეს დაჯახება უკანასკნელი იყო ჩემ ცხოვრებაში. ჩემი ცხოვრების ნავი შთაინთქა, ჩემი ბედის ვარსკვლავი მოსწყდა ცის კამარას. ალბად იშანაც თავი მოაბეზრა სხვა ვარსკვლავებს!...

ერთ პოლკოვნიკის ქალს გადავეკიდე. ლამაზი არ

იყო მაგრამ ისეთი ეშხი და მიმზიდველობა ჰქონდა, რომ კინალამ ჭკუიდან შევიშალე. ბევრი ვუარე გარშემო, მაგრამ ვერ შევაცდინე და ვერა. მგონი, ქალს ერთგვარი ალღო უნდა ჰქონდეს, რომლის მეოხებითაც იგი მომავალ საქმროს წმინდანად ეჩვენება. მთელი ჩემი ჭერ-მეტყველება, მთელი ჩემი გამოცდილება, მთელი ჩემი ძალღონე მოვიშარჯვე, მაგრამ, რაც უფრო ვცდილობდი, მით უფრო იგი ხელიდან მისხლტებოდა კალმახივით და შორი-ახლოდან მაღიზინებდა... შეიძლება, იმედი სულ მთლად გადამეწყვიტა და მოვშორებოდი კიდეც სამუდამოდ, მაგრამ ჩემი გაზვიადებული გულის-თქმა ვერ დავიმორჩილე და, რაც დღე გადიოდა, მით უფრო მებღალებოდა თვითმოყვარეობა და ეს კი ჯოჯოხეთის ცეცხლს მიკიდებდა გულ-ღვიძლზე. მით უფრო სამაცდურო იყო ჩემი წადილის აღსრულების სურვილი, რომ იგი ქალი ალერსს, არშიყობას არ მიშლიდა, თვითვე სცდილობდა ხოლმე, რომ ჩემთან მარტოკა დარჩენილიყო, იმის ნებაც კი მომცა, მარცხენა ლოყაზე რომ მშვენიერი ხალი ჰქონდა, იგი გადამეკოცნა, მაგრამ სხვა-ფრივ კი თავი წმინდანივით ეჭირა და მით უფრო მაგიჟებდა.

„გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყალთა დენამ.
გოგო და ბიჭი დალია
ერთმანეთისა ცქერამ“-მეთქი.

მალი-მალ ვუმღერდი ხოლმე, მაგრამ ჩემი სიმღერა სიმღერათვე რჩებოდა და მე მუდამ პირში ჩალა მევლებოდა.

— თუ გნებავთ, ცოლად შემირთეო—მითხვა ერთხელ დარომ—ასე ერქვა იმ ეშმაკის ფეხს—და გამშორდა. იმ დღიდან ალარ დამნახვებია. მე სულ მთლად გა-

დავირიე. თუ სიყვარული ისეთი ხან-მოკლეა, როგორიც ჩემთვის იყო—მე იგი შემიყვარდა, შემიყვარდა თავ-დავიწყებამდის. ლამაზ ქალთა გამოფენაზე რომ წავეყვანეთ, დაროსთან შედარებით ყველა ჯოჯოდ მეჩვენებოდა. მთელი ქვეყნის ფილოსოფოსი ქალები რომ შეგეკრიფათ, მე ყველა იმათ იდიოტკებს დავუძახებდი—ისე მოგმწონდა, ისე მიღირდა დაროს ენა-ჩლუნგი ლაპარაკი!.— სამსახურზედაც გული ავიყარე.

ორი კვირით გავინთავისუფლე თავი და შევუდექ დაროს კვალს. ყოველ ღამე სათითაოდ მოვივლიდი ხოლმე კლუბს, საერთო ნაცნობთა სახლებს, მაგრამ მას ვერსად ვხედავდი. სახლში კიდევ აღარ მიღებდა. ერხელ ბარათიც კი მოეწერა. „ჩვენსა ნულარ მოხვალ, თორემ საქვეყნოდ დაგითხოვ სახლიდანაო!“ გამაბა წყეულმა მახეში!.. თავი ველარ შევიკავე და მამა მისს ვთხოვე დაროს ხელი. ცოლშვილიანობას ყოველთვის შიშითა და ძრწოლით ვუყურებდი, მაგრამ ახლა იგი უზენაესს ნეტარებად მომეჩვენა.

დაროს მამა დიდის სიამოვნებით დამთანხმდა,—თუ, რასაკვირველია, დაროც მოისურვებს შენს მეუღლეობასაო.—მითხრა პოლკოვნიკმა მორცხვი ყმაწვილივით მის წინ თავ-დახრილს, მერე მხარზე ხელი დამკრა და დაუმატა.

— Желаю успѣха!-ო. მე სულ კანკალი დავიწყე. მეშინოდა, უარი არ მომსვლოდა.

გამითენდა ბედნიერი დღე. დაროს ბარათი მოგვივიდა—ჩვენსა მობრძანდითო.

სუფთად გამოვეწყე, როგორც მორწმუნე მაზიარებელი, და მოვუსვი დაროსაკენ. დარო ზალაში დამხვდა-

აქვე იყვნენ მამა მისი, დედა, დეიდა და ორი-სამი კიდევ სხვა.

დაროომ მოოცხვად ჩამომართვა ხელი და ისეთის ალერსიანის თვალით შემომხედა, რომ მე ნიბლია ჩიტივით გულმა ფართხალი დამიწყო.

— აბა, კირილე იაკინთეს ძევ—სთქვა პოლკოვნიკმა—შეეკითხე დაროს—სურს თუ არა შენი შეუღლება. მე და ივლიტამ,—მიმითითა თავის ცოლზე—ბევრი რჩევის შემდეგ გადავწყვიტეთ, უარი არ გითხრათ.

— მე ვთხოულობ თქვენ ხელს, ნუ თუ ახლაც უარს იტყვი-მეთქი—შევძახე დაროს და, სანთელივით ანთებული,—წინ გამოვეჭიმე.

— მეც თანხმა ვარო—ძლივს დაილუღლუღა დაროომ და ხელი ხელში ჩამიდო. აღტაცებით დავეკონე მისს ხელს. დედმამამ დაგვლოცეს და იმავ დღესვე ქორწილის თავდარიგს შევუდექით.

ერთი კვირის შემდეგ ჩემს ახალ ბინაზე გაჩაღებული ქორწილი მქონდა. მთელი ჩვენი მოხელეები თავისის ცოლშვილით, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჟენიათი, ნაცნობები და მეგობრები თავს დაგვტრიალებდნენ მე და დაროს და გაბედნიერებას გვილოცავდნენ. სუფრაც მალე გაიშალა. სამხედრო მუსიკამ დაიგრიალა. სტუმრებმა ჭიქები აიღეს ხელში და ერთხელ კიდევ დაგვლოცეს. სამადლობელის დალევის დროს გადავხედე სუფრას და გავიცინე. სტუმრებმა ეს ჩემის ბედნიერებისაგან გამოწვეულ სიცილად მიიღეს და თითონაც სიცილი ასტეხეს. რა იცოდნენ საბრალოებმა, რაზე ვიცინოდი. მე იმაზე გამეცინა, რომ ჩემ ქორწილში მყოფ ქალთა შორის ერთი ათი იმისთანა მაინც ერია, რომელ-

თანაც მე ძლიერ დაახლოვებული ვიყავი... მათი რქოსანი ქმრები კი გულუბრყვილოდ ხარხარებდნენ.

არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ჩემი მეგობარი ქალები, გვირგვინ-ქვეშ რომ მხედავდნენ, მაგრამ მე კი ახლა კარგად ვიგრძენ, რა ზომამდისაც არის დამცირებული რქოსანი ქმარი.

—

პირველი ორი-სამი თვე მე და დაროომ ბედნიერად გავატარეთ. მე თითქმის სულ მთლად გამოვიცვალე და დარწმუნებულიც ვიყავ, რომ ამიერიდან ერთგული მეოჯახე შევიქნებოდი. მაგრამ, როცა პირველი გატაცება გამინელდა, თითქო თვალები ამეხილაო—უცბად გული შემეცვალა დაროზე. მე იმან მომატყუა, მომხიბლა, ჟინი აღმიძრა, გონება დამიბნელა და ძალად შემომაჩეჩა თავი! მე რა საცოლე კაცი ვიყავ-მეთქი!—გავიფიქრე ერთ დღეს და დაროს ბედნიერება პირქვე დავამხე...

დავიწყე ძველებური, ჩემებური ცხოვრება, მაგრამ, რადგან თავისუფალი აღარ ვიყავ, უფრო ღვინოში და სასტუმროებში ვიხ-ჩობდი თავს. მთელი დღე-ღამეობით სახლში აღარ შემოვდიოდი. დარო ერთხან სწუხდა, სტიროდა, მიჯავრდებოდა, მაგრამ მალე იმასაც მოსწყინდა ჩემი ჯავრობა და მოლბა... ამან უარესად გამახელა მე, როგორც გაცვეთილი კაცი, ქალებს არ ვენდობოდი და ამ უნდობლობის ეჭვმა დაროს შესახებაც შემიპყრო. რათ მოლბა? იქნება, გაიჩინა ვინმე და მეც ისევე დამადგა რქები, როგორც მე არა ერთისა და ორისათვის დამიდგია-მეთქი?—გავიფიქრე და წუმწუმასავით ავენთე. მე სხვა კაცებს არა ვცემ პატივს, მაგრამ ჩემი თავი კი ძლიერ მიყვარს და ვაი ჩემ შეურაცხმყოფელსა, ვაი მა-

შინ ჩემ ცოლსა-მეთქი! ჩავინერგე გულში და ყოველ მხრიდან თვალი მეჭირა. ესე გასინჯეთ, ჩემი სახლის ფანჯრების დარაბებიც კი სხვისთვის შეუმჩნეველ ადგილას გავხვრიტე, რომ—სხვაგნიდან დაბრუნებულს—ღამ-ღამეობით ჩუმად დამეთვალიერებინა სახლის შინაგანი და მერე ისე გამელვიძებინა დარო ოთახის კარების გასაღებათა (ეზოს გასაღები კი ყოველთვის ჯიბით დამქონდა). არც თუ ვინმე დაიარებოდა ჩვენსას, მაგრამ ჩემი მოსამსახურე ბიჭი (ასე 20—21 წლისა) მაინც მოვისყიდე და ვსთხოვე თვალ-ყური ედევნებინა დაროსათვის. ქვეყანაზე იშვიათად ვისმე ვენდობოდი ხოლმე, მაგრამ ბიჭი ხომ ჩემი ტოლი არ იყო, რომ ამაზედაც კი ეჭვი ამელო. ასეთ დამცირებას არც დაროსაგან მოველოდი. თუმცა ჩემთვის-კი თავის დროზე გოგო და ქალბატონი ორივ ერი იყო ხოლმე.

ერთხელ პროვინციაში გამგზავნეს, სამსახურისა გამო. არ ვიცოდი, რამდენს ხანს დავრჩებოდი და ამიტომ დაროს დავუბარე წამოსვლის დროს დეპეშას მოგწერ და ვაგზალზე დამხვდი-მეთქი. დაროომ დიდის მწუხარებით გამაცილა ვაგზალზე. და სულ იმას მეხვეწებოდა:—შენი ჭირიმე არ დაიგვიანო, თორემ ჯავრით მოვკვდებიო. ამაღამ კი პაშას (ჩვენი სახლის ბატრონის ქალი იყო) დავიწვენ ჩემთან და, ხვალ საღამომდი რომ არ მოხვიდე, ამას ნუ იზამო...

გადაჭარბებული ალერსი ცოლ-ქმრის შუა ერთგვარი სიფლიდეა, მაგრამ იმჟამად, როცა დარო ასე ზედმეტის ალერსით მელაპარაკებოდა, მე ეს არ მიფიქრნია.

საქმე ისე მოხდა, რომ იმავ ღამესვე მომიხდა დაბრუნება. აქედგან მიმავალი მატარებელი იქიდგან მო-

მავალ მატარებელს რომ შეხვდა ჩვენის ქალაქიდგან რა-
შდენიმე სადგურს იქით, ბუფეტში ჩვენი მოხელე ვნახე,
რომელსაც ის ქალალდები უკვე მოჰქონდა, რომლის გუ-
ლისათვისაც მე გამგზავნეს. დავბრუნდი უკანვე და ქა-
ლაქში შუა ღამისას ჩამოვედი. გული დახურული მქონ-
და, ამხანაგთან ვახშმობაზე უარი ვსთქვი და პირდაპირ
სახლისკენ გამოვწიე.

ფრთხილათ გამოვაღე სახლის ეზო, თითის ფრჩხი-
ლებზე შემდგარი შევიპარე აივანზე და ჩვეულებრისამებრ
ჩემ მიერ გამოჭრილ ჭუჭრუტანებიდგან დავიწყე ზვე-
რა... ზალაში და სასტუმრო ოთახში ლამპრები აღარ
ენთო, მაგრამ საწოლ ოთახში კი... მაგიდასთან ხელი-
ხელ გადახვეულნი ისხდნენ ჩემი ცოლი და... ჩემი
ბიჭი. დაროს გულ-მკერდი მოღეღილი ჰქონდა, საღა-
მური ფართო კაბა ეცვა და თმები აწეწილი ჰქონდა,
ჩემი ბიჭიც ახალუხ წამოსხმული წითელ მოვის პერან-
გის ამარა იჯდა და დაროს შიგ პირში შეჰღიჯღიჯებდა.
მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი, ღვინითა და ხორა-
გეულობით სავსე...

მგონი ნაღველა გამისკდა გულ-ღვიძლში. რაღაც
საშინელმა ბრაზმა დამკრა თავში, გული გამიღადრა, ერთი
საშინლათ დავიგმინე და, რაც ძალი და ღონე მქონდა
ფანჯრის დარაბა დავარახუნე...

აღარ მახსოვს, მერე რა დამემართა, როგორ შევედი
შინ... გონზე რომ მოვედი, დავინახე, რომ ტანისამოს
შემოხეული დარო იატაკზე გაშხლართულიყო, ცხვირ-პი-
რიდან სისხლი სდიოდა და მომაკვდავივით ხრიალებდა.
მეც სულ სისხლში ვიყავ მოთხუპნული...

—

იმ დღიდგან ამ დღემდე, ვიდრე ანდრომ—ამ სახლეგის პატრონმა და ჩემმა ძველმა ნაამხანაგარმა—ქუჩიდგან ავათმყოფი არ ამიყვანა და თავის ჭერ ქვეშ არ მომცა ბინა, თავი აღარ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ დარო ხელში არ შემომკვდომია. იგი მეორე დღეს მობრუნდა, მაგრამ ისე იყო დაჩეჩქვილი, რომ ჩავარდა ლოგინათ და რამდენისამე თვის შემდეგ მოკვდა. ჩემი ბიჭიც გაიქცა ამ ქალაქიდან და დღესაც არ ვიცი, სად არის. მეც გავყიდე, რაც რამე მებადა და...გავექეცი ჩემ თავს, ჩემ ყოფილ სიცოცხლეს, ჩემ მოგონებათ, ჩემ გულის ტკივილს—მივყე ლოთობას ხელი და მთელი ორი წლის განმავლობაში მთვრალი ვეგდე ხოლმე ტრახტირებში, თავშესაფარებში, ქუჩებში. ჭუჭყიანს, დაგლეჯილ, დაფლეთილს, სახე-ჩალურჯებულს ველარავინ ველარ მიცნობდა და მეც აღარავისა ვცნობდი...

აჰა გავათავე ჩემი თავ-გადასავალის აღწერა. მე ვიცი, რომ ბევრი ჩემის ამბავის გამგონეთაგანი საფლავშიაც არ მომასვენებს და საძაღლ-ღორეთ გახდის ჩემ სახსენებელს, მაგრამ მე რა? ჩემს იქით თუნდა ქვა-ქვაზედაც ნულარ ყოფილა, იმ ერთი ქართველი ქათალიკოზისა არ იყოს. მე მწყუროდა სიცოცხლე და იგი თავისს დროზე ვერ შევიგნე, მე მინდოდა სიამოვნება და სამზღვარი ვერ მოვუძებნე, მე მწამდა მოქმედება და ალღო ვერ ავუღე, მე ადამიანი მინდოდა ვყოფილიყავ და ცხოვრებამ კი მხეცად გარდამაქცია. და ახლა, როდესაც სიკვდილი თავში მიკაკუნებს, როდესაც ამ ცოტა ხანში მტვრათ, არარაობათ ვიქცევი, გული ჩემი შესწყვეტავს მგრძნობიარობას და ტვინი ჩემი—აზროვნებას, თქვენ, ცოცხალნო ადამიანნო, რაც გინდა ბრძანეთ, მხოლოდ ნუ

დაგავიწყდებათ, რომ თქვენც წმინდანნი მაშინა ბრძანდებით, როდესაც სხვასა სჯით, სხვას ასამართლებთ!! მე კი ამჟამათ არავის განსჯა არ მინდა, მე თვითონ მინდა ვიყო მსაჯული ჩემის თავისა, რადგანაც ვერც ერთი ძე-ხორციელი ვერ მიმიხვდება იმ სულის ტკივილს, რომელსაც მე ვგრძნობ ახლა, ვერ წარმოიდგენს იმ სინანულს, რომელიც გამოიწვია ჩემში სიკვდილის მოახლოვებამ. ოხ, სიცოცხლე, სიცოცხლე ჯანმრთელის, შესმენილის და თავისუფალის ადამიანისა, რა კარგი რამ უნდა იყო!

მე კი? ნახევრათ დადამბლავებული, გარყვნილობით დაუძლურებული ვგდივარ ამ სარდაფში და მოგიწვევ, შენ, შავო სიკვდილო! ჰა, წაიღე ჩემი ხორცი და აქციე მტვრათ, ნაცრათ!.. მე სასიცოცხლო აღარა ვარ, თუმცა ახლა უფრო ძალუმათ მიყვარს მზე და მთვარე, შემკული ბუნება ჩემის სამშობლოისა, მიყვარს ჩემი თავიც, რადგანაც გამოვფხიზლდი და... მაგრამ ეჰ, იქნება ეს დროებითი სულის კვეთება იყოს იმ საშინელის ორ-ფეხისა, რომელიც საადამიანოთ შეუქმნია ბუნებას, მაგრამ სიკვდილის უკანასკნელ ჟამამდის ისევ მხეცათ დარჩენილა!..

ოხ, ნეტა შემეძლოს ჩემის წარსულის ცხოვრების წარხოცვა, ნეტავ შემეძლოს დაბრუნება ჩემის ჯანსაღობისა, ნეტავ შემეძლოს წარსულ წელთ გამოვეკიდო, წავავლო დროთა სრბოლის ჩარხს ხელი, უკან გადმოვატრიალო და დავსჭყივლო,—დამიბრუნდით უკან, განვლილნო წელნო, მე გავიცან ჩემი ხავი, მე ვიგრძენ ფუქსავატობა ჩემის ცხოვრებისა, მე მსურს ისევ თავიდგან დავიწყო ცხოვრება და ვიცხოვრო ადამიანურათ, შესმენილათ!..მაგრამ... ვაი რომ არაფერი შემიძლიან?!. ვაი

რომ სიკვდილის შიშით შეძრუწუნებული ჩემი გულის თქმა გვიან-ღა მორჯულდა! დღეს თუ ხვალ დამფქვავს, ჭკუიდგან შემშლის ეს უკულმართი სენი, შეძენილი ჩემის გარყვნილობით, და მოვკვდები უცხო ქალაქში უცხოთა შორის. ერთი ადამიანიც არ იტყვის: საწყალი იტანჯა და მოკვდაო. არა, იტყვიან: ადრე ყოფილა ჩასაძღლებელი და გვიან ჩაძღლებულაო! რათა, რისთვის?

იმიტომ რომ მე არა ვმალავ ჩემს ვინაობას, მე მინდა გულახდილი, გულწრფელი ვიყო, მე მინდა ქვეყანამ იცოდეს, რომ მარტო მე არა ვარ დამნაშავე, რომ ჩემ გახრწნაში თვით ხალხს, საზოგადოებას უდუვს წილი, ამ საზოგადოებას, რომლის თითოეული წევრი შეიძლება ჩემზე ბევრით არ იყოს კარგი, თუმცა ყველა ტუჩს აიბზეკავს ამ ამბის წაკითხვის დროს და თვის ცოდვებს სხვას გადააბრალებს"...

კირილე იაკინთეს ძე ფიჩხაშვილი.

## VI

კარგა გათენებული იყო, ფიჩხაშვილის რვეულის კითხვა რომ გავათავე. მაგრამ ზამთრის სუსტი მზე ვერ მოერია იმ შავ-ფიქრებს, რომელიც მე აღმიძრა ამ რვეულის წაკითხვამ და დიდხანს, დიდხანს თავზარ-დაცემული კიდევ ვიჯექ მაგიდასთან.

ბევრია იმისთანა კაცი, რომელიც არამც თუ სხვას, გარეშე ვისმე, არ გაანდობს თავისს გულის-პასუხს, არამედ თითონვე ერიდება თავის წარსულ ცხოვრების გათვალისწინებას, აწმყოისა და მომავლის დაკვირვებას. ერთი იმათგანი მაშოსთან შეხვედრისა და ფიჩხაშვილის თავგადასავლის წაკითხვამდის მეც ვიყავ. მაგრამ მაშოსთან ცხოვრებამ თვალი ამიხილა, ხოლო ფიჩხაშვილმა კი განმი-

მტკიცა ის რწმენა, რომ მეც ბევრში მატყუარა, ფლიდი და მშიშარა ვყოფილვარ.

კმარა, კმარა ამდენი დამცირება-მეთქი—წამოვიძახე თვალ-ცრემლიანმა და საწერ-კალამი მოვიმარჯვე და ათრთოლებულის ხელით მივწერე მაშოს:

„მაშო, მე და შენ ერთად უბედურები, ქვეყნის ამომგდები ვიქმნებით. დროა—გავადამიანდეთ. აქამდისაც გვეყო მხეცობა. გიგზავნი ფიჩხაშვილის რვეულს, წაიკითხე, დაუკვირდი და შეადარე შენი გულის-თქმა... ჩემგან კი შორს სამუდამოდ!“ ეს წერილი ჩავდე რვეულში, რვეული გავაკეთე პაკეტში, დავაკარი მარკები და ბიჭს გავატანე მაშოსთან.

ჯერ ბიჭი არ დაბრუნებულიყო, რომ ფოშტალიონმა მაშოს წერილი შემომიტანა. ათრთოლებულის ხელით გავხსენი წერილი და წავიკითხე:

„ალექსი! ჩემთან თავის დღეში აღარ მოხვიდე. მე ხვალ-ზეგ ერთ ბებერ პოლკოვნიკზე ვთხოვდები, რომელიც გადარეულია ჩემის სიყვარულით. ოხ, რა ბედნიერი ვარ! მაშა“.

გული მომიკვდა, სისხლი თავში ამივარდა. ერთხანს მზად ვიყავ გავქცეულიყავ მაშოსთან, რომ...მაგრამ გული გავიმაგრე და რამდენისამე დღის უკან გამოვეშურე, რომ აქ, ჩემ მყუდრო ბინაზე, დიადი ბუნების ცქერით ნერვები დავიმშვიდო, სულით ავმაღლდეო“.

—

ასე დაასრულა თავისი უცნაური მოთხრობა ალექსი კაკალაშვილმა და მწარედ ამოიოხრა.

ია ეკალაძე-

# ხალხის წარმომადგენლობა და საარჩევნო უფლება

## I

## ხალხის წარმომადგენლობა.

„ჩვენი ქვეყანა დიდი და მდიდარია, მაგრამ წეს-რიგი აკლია; მოდით და გვეუფლეთო“. ასე მიმართეს ამ ათასიოდ წლის წინად ძველ რუსების წარმომადგენლებმა უცხო ტომის ბატონებს.

„ჩვენი ქვეყანა გაჭირვებაშია, მიგვიღეთ და გვიპატრონეთო“. არა ერთ-გზის მიუმართავთ ამ სიტყვებით ქართველებს უცხოეთის მეფეებისათვის.

მაგრამ ვერც რუსებსა და ვერც ქართველებს უცხოელმა ბატონებმა სასურველი წეს-რიგი და კეთილ-დღეობა ვერ მოუპოვეს.

დიდ გასაჭირშია დღესაც ჩვენი ქვეყანა; წეს-რიგი აკლია რუსის ხალხსაც. მაგრამ არც ერთი და არც მეორე პატრონსა ტ მოწესრიგეს უცხოეთში აღარ ეძებს, რადგან დღეს ორივე ცხადად გრძნობს და აშკარად აღიარებს, რომ თვისი პატრონი და ბატონი ხალხი თვითონვეა, რომ ყოველ საზოგადო საქმეს ხალხი თვითონ უნდა განაგებდეს და აწეს-რიგებდეს.

ეს ყოველ ხალხის, ყოველ ადამიანის ძირითადი უფლებაა.

ამ ჭეშმარიტების უარ-ყოფა არც ერთს შეგნებულსა და პატიოსან ადამიანს არ შეუძლია.

სწორედ ამ უფლების ძალით, უწინდელს სახელმწიფოებში საზოგადო საქმეებს ყველა სრულ-წლოვან მოქალაქეთაგან შემდგარი სახალხო ყრილობა განაგებდა. ასე იყო, მაგალითად, ათინის რესპუბლიკაში; ასე იყო ძველ ნოვგოროდში; ასევე იყო ამ ასის წლის წინად ჩვენის მთის ხალხის თემებშიაც.

მაგრამ მაშინ ხალხის ცხოვრება შედარებით მარტივი იყო,—და მოქალაქეს საკმაო მოცალეობა ჰქონდა—სახელმწიფოს მართვაში პირდაპირი მონაწილეობა მიეღო. ამასთანავე, უწინდელი დემოკრატიული სახელმწიფო ვრცელი და ხალხმრავალი არ ყოფილა. მისი მცხოვრებნი მუდამ ერთად იყვნენ და საერთო საქმისთვის შეკრება არ ეძნელებოდათ. დასასრულ, თვით ეს საერთო საქმეც არ იყო მეტად რთული და ძნელად გადასაწყვეტი.

სულ სხვაგვარს მდგომარეობაშია ეხლანდელი ხალხი და სახელმწიფო.

დღეს, არა-თუ მთელი ერისა და სახელმწიფოსი, კერძო კაცის ცხოვრებაც-კი იმდენად გართულდა, გაძნელდა და დაიხლართა, რომ ყოვლად შეუძლებელია, მოქალაქეებმა ერთსა და იმავე დროს თვისს კერძო საქმეებსაც მოუარონ და სახელმწიფოს მართვაშიაც ყველამ ერთად პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ.

ხალხის ყრილობა დღეს მარტო შვეიცარიის ოთხს კანტონში ადგენს კანონებს და ირჩევს მოხელეებს. მაგრამ ესეც მხოლოდ იმის გამო ხერხდება, რომ თითო ამ კანტონთაგანი სივრცითა და ხალხის სიმრავლით ჩვენებურ სასოფლო საზოგადოებას არ აღემატება.

დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსა და შვეიცარიისავე დანარჩენ კანტონებში კი პირდაპირობის ადგილი წარმომადგენლობამ დაიჭირა.

ჩვენი დროის ვრცელ სახელმწიფოთა მოქალაქეებს პრაქტიკულად შეძლება არა აქვთ—საზოგადო საქმეების გასარჩევად ყველანი ერთად შეიკრიბონ და ითათბირონ. ამიტომ თვის შორის იგინი ირჩევენ საგანგებო კაცებს, —ანუ დელეგატებს—რომელნიც ხალხს თვისი სურვილისა და ინტერესების წარმომადგენლებად მიაჩნია და საზოგადო საქმეების განსჯა-გადაწყვეტას ანდობს.

დღეს რუსეთისთვისაც სწორედ ასეთი წარმომადგენლობა შეიქმნა საჭირო, და ყველაზე უწინ—ამ წარმომადგენლობის საძირკველი—საყოველთაო დამფუძნებელი კრება.

ამ კრებამ უნდა შეიმუშაოს ის ძირითადი კანონები, რომელნიც სახელმწიფოს მომავალს მართვა-გამგეობას საფუძვლად დაედება და მოქალაქეთა უფლებას განსაზღვრავს.

რა თქმა უნდა, ეს კანონები იმდენად უფრო მტკიცე, სასარგებლო და ყველასათვის სანდო იქმნება, რამდენადაც მათს დამფუძნებელს კრებაში მთელი ხალხის უფრო მეტი სამდვილი გულშემატკივარი და საქმის მცოდნე წარმომადგენელი მოხვდება. მაშასადამე, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის საჭირო, რომ დამფუძნებელ კრებაში ხალხის ინტერესთა ნამდვილი წარმომადგენლები გაიგზავნონ.

ამის პასუხს მეორე თავში მივიღებთ.

## II.

## არჩევნების შემზადება.

ეხლანდელის წყობილების მეოხებით, რუსეთის ქვეშევრდომთა უმრავლესობა სახელმწიფოს გამგეობას დაშორებულია და მოქალაქობრივად ძლიერ სუსტად განვითარებული. სოფლის ხალხს არა-თუ სახელმწიფო საქმეებისა არა ესმის-რა, ზოგან თვისი კლასობრივი ინტერესიც კი ცხადად წარმოდგენილი არა აქვს.

უეჭველია, ამგვარს ხალხს პირველხანად ძლიერ გაუჭირდება თვისს ნამდვილ ანტერესთა დამცველი აირჩიოს და დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენლად გაგზავნოს. ცხადია, აქ მას მცოდნე პირების დახმადება დასჭირდება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა—ხალხის ყოველ „მეგობარს“ და მისი ინტერესების მოსარჩლეს ნება მიეცეს ხალხში თავისუფლად გავიდეს, სადაც მოახერხებს, ყრილობა და საუბარი გამართოს და შეუგნებელს მისი მდგომარეობა შეაგნებინოს. მაშინ ხალხი თვითონვე მიხვდება, თუ ვის შესტკივა მისთვის გული და ვინ გამოდგება მის წარმომადგენლად.

ერთი სიტყვით, საჭიროა წასვლა-წამოსვლისა, შეკრებისა და სიტყვის სრული თავისუფლება. მაშასადამე, საჭიროა, ეგრედ წოდებული, „პასპორტები“ მოისპოს და პოლიციას ნება აღარ ექმნეს—ხალხის თათბირში ჩაერიოს, მოსაუბრეს სიტყვა გააწყვეტინოს, ან კრება დაშალოს და სხვა. ხალხს უფლება უნდა მიეცეს, სადაც და როდესაც სურს, კრება მოახდინოს და, რაზედაც სურს, ისაუბროს.

საჭიროა, დაუყოვნებლივ მოისპოს, ეგრედ-წოდებული, გაძლიერებულ დაცვის წესი, რომლის ძალითაც პო-

ლიციას დღეს სრული უფლება აქვს, ვინც არ მოეწონება, დაატუსაღოს, საპყრობილეში ჩააგდოს ან სხვარამ სასჯელი დააღოს. დამნაშავის დატუსაღება მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეიძლებოდეს, როდესაც ამას ხალხისაგან არჩეული ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტენ. საჭიროა პიროვნების ხელშეუხებლობა.

საჭიროა, ხალხს ყოველგვარი კავშირებისა და წრეების სრული თავისუფლება მიეცეს, რადგან მოქალაქეებს მხოლოდ ამგვარ კავშირებსა და წრეებში შეუძლიანთ თვისი მდგომარეობა და საჭიროებანი ფართოდ, ყოველმხრივ და სისტემატიურად განსაჯონ და გაითვალისწინონ.

ზემოდ ჩვენ სიტყვა ხალხის „მეგობრებზე“ ჩამოვაგდეთ. როგორც ვიცით, ხალხის მეგობართა მეტი ნაწილი დღეს „პოლიტიკურ დამნაშავედ“ გამოცხადებულია და ბნელ ციხეებში ჩამწყდეული, ან-და სადღაც შორეულ გუბერნიებშია გადასახლებული. საჭიროა ამათ ყველას დაუყოვნებლივ „დანაშაული“ ეპატიოთ და ნება მიეცეთ, სადაც მოისურვებენ, იქ იცხოვრონ და იმოქმედონ.

მაგრამ არჩევნების შესამზადებლად ყველაზე უფრო საჭიროა ჟურნალ-გაზეთებისა და, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის სრული თავისუფლება. კრებაში მოსაუბრის მოსმენა, სულ ბევრი, ხუთას ან ათას კაცზე მეტს არ შეუძლია, წიგნი და გაზეთი კი ხუთი და ათი-ათასობით ვრცელდება და მთელ მხარეს ეფინება. ამას გარდა, ხშირად მოხდება, რომ კრებაზე მოსაუბრე თავის აზრს საკუთარი ვერ განმარტავს ან ჯეროვანად ვერ დაასაბუთებს. ბეჭდურ სიტყვას კი შეუძლია, ეს ნაკლი თვალ-

საჩინოდ შეავსოს და მკითხველს საგნის სრული განხილვა წარუდგინოს.

ერთი სიტყვით, საჭიროა, ეგრედ წოდებული, ცენზურა მოისპოს და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსა და წიგნების გამომცემლებს სრული თავისუფლება მიეცეთ — თვისი გამოცემანი ხალხში დაუბრკოლებლად გაავრცელონ. რაღა თქმა უნდა, ის წესიც უნდა გაუქმდეს, რომლის ძალითაც პოლიციას უფლება აქვს კერძო ბინა გაჩხრეკოს და ნება-დაურთველი წიგნები „დაატუსაღოს“.

საჭიროა კერძო ბინის ხელშეუსებლობა.

როდესაც ნაჩვენების გზით ხალხის მომზადება დასრულდება, მაშინ უკვე შესაძლო შეიქმნება თვით არჩევნების თადარიგს შევუდგეთ.

აქ თავდაპირველად საჭიროა მთელი მხრის საარჩევნო ოლქებად დაყოფა. მაგრამ ამას მესამე თავში განვიხილავთ.

## III.

## არჩევნების წინ.

საარჩევნო ოლქების რიცხვი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი წარმომადგენელი უნდა გაიგზავნოს ამა თუ იმ მხარემ დამფუძნებელ კრებაში. ვსთქვათ, საქართველოდან რვა წარმომადგენელი მოითხოვეს. მაშინ, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, მთელი საქართველო რვა საარჩევნო ოლქად უნდა გაიყოს.

ეს ოლქები ზოგიერთ ალაგას შეიძლება უკვე არსებულს ოლქებსა და მაზრებს უტრიდეს, ზოგან კი არა. მაგრამ საზოგადოდ კი აუცილებლად საჭიროა, რომ მცხოვრებთა რიცხვი უველა საარჩევნო ოლქებში თანასწორი იქმნეს.

ვსთქვათ, 150-ათას-სულიანს რომელსამე ქალაქსაც ერთი საარჩევნო ოლქის უფლება მისცეს და, იქვე, 100-ათასიანი მაზრაც ცალკე საარჩევნო ოლქად გამოაცხადეს. უეჭველია, აქ საარჩევნო უფლების თანასწორობა დაირღვევა, რადგან ხალხ-მრავალსა და პროგრესიულ ქალაქსაც ერთი წარმომადგენელი ეყოლება დამფუძნებელ კრებაში და ხალხ-მცირე და კონსერვატულ მაზრასაც.

ასეევეა დაირღვე უფლების თანასწორობა, თუ რომ იმავე ქალაქს ორ საარჩევნო ოლქად გავყოფთ, ე. ი. ორი დეპუტატის უფლებას მივცემთ, 100-ათასიან მაზრას კი იმავე მდგომარეობაში დავტოვებთ.

აი, ამისთვის არის საჭირო, რომ ამა თუ იმ მხრის ოლქებად დანაწილებას მცხოვრებთა რიცხვის თანასწორობა დაედოს საფუძვლად.

ამას გარდა, საზოგადოებრივ კლასთა ინტერესებსაც ყურადღება უნდა მიექცეს. მაგალითად, დანაშაული იქმნება, მუშათა კლასის წინაშე, რომ ტფილისის სამი უბანი: დიდუბე, ნაძალადევი და ხარფუხი, სადაც მუშა-ხალხი ბლომად სცხოვრობს, ერთმანეთს დააშორონ და საარჩევნო მხრით ტფილისისა, თიანეთისა და დუშეთის მაზრებს მიაწერონ, სადაც სოფლის უკან ჩამორჩენილი წვრილი მესაკუთრე გაცილებით უფრო ბევრია ამ მუშებზე. რა თქმა უნდა, არჩევნების დროს მუშები ვერც ერთს თავის კანდიდატს ვერ გაიყვანენ, რადგან მათს ხმას აქ სოფლის წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა დაჰფარავს და მნიშვნელობას დაუკარგავს.

სწორედ ასეთი წესი შემოიღო გერმანიაში ცნობილმა კანცლერმა ბისმარკმა და სახელად „საარჩევნო გეოგრაფია“ უწოდა. როგორც ვხედავთ, ეს „გეოგრა-

ფია“ სოფელს ბევრს ვერაფერსა სძენს, მუშათა კლასისთვის კი დიდად მავნებელია.

ამიტომაც საარჩევნო ოლქთა შემოფარგვლის დროს მხოლოდ ხალხის რიცხვითა და თვით ოლქის ადგილმდებარეობით უნდა იხელმძღვანელონ და არა ისეთის მოსაზრებით, რომელიც ერთს კლასს დაჩაგრავს, მეორეს კი საარგებლობას ვერ მოუტანს.

როდესაც მთელი მხარე ოლქებად დანაწილდება, თვითეულ ოლქისათვის ამომრჩეველთა სია უნდა შესდგეს, ე. ი. ნუსხა იმ პირებისა, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

დასავლეთ ევროპაში ამ სიებს ზოგან მთავრობა ადგენს, ზოგან კი განსაკუთრებული კომისიები. აქ ვერ გამოვუდგებით იმის გარჩევას, თუ ამ წესში რომელი უმჯობესია. ვიტყვით მხოლოდ, რომ აღნიშნულ სიების შედგენა უსათუოდ ისეთს პირს ან დაწესებულებას უნდა მიენდოს, რომელიც ამ საქმეს პირნათლად შეასრულებს.

სიები უნდა დაიბეჭდოს და მთელს ოლქში ისეთს ადგილას გამოიკიდოს, სადაც ხალხი ბლომად მიდი-მოდის და იკრიბება, რათა ყოველ ამომრჩეველს შეეძლოს დარწმუნდეს, რომ იგი სიაში გამოტოვებული არაა, ხოლო, თუ გამოტოვებულია, სიის შემდგენელს დროიანად მიმართოს და შეცდომა გაასწორებინოს.

წინდაწინვე უნდა დაინიშნოს დრო და ადგილი, სადაც არჩევნები მოხდება. ამ საქმის შესრულებას და აგრეთვე თვით არჩევნების გაძღოლასაც დასავლეთ ევროპაში, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ დაწესებულებას ანდობენ, რომელსაც საარჩევნო ბიურო ეწოდება.

თუ ოლქი პატარაა, ერთი ბიუროც ეყოფა. მაგრამ

როცა ოლქი შორს მანძილზეა გაშლილი, მაშინ ბიუროებიც მეტია საჭირო, რომ არჩევნების დროს მიკერძებას და სხვა ბოროტ-სარგებლობას ადგილი არ ექნეს, საჭიროა ბიუროს წევრებად ყველა საზოგადოებრივ პარტიისა და კლასის წარმომადგენლები დაინიშნონ.

დროიანად უნდა გამოცხადდეს საარჩევ კანდიდატების, ე. ი. იმ პირების ვინაობა, რომელთაც არჩევნების დროს მთელი ოლქი კენჭს უყრის.

კანდიდატის წამოყენება ყოველ ჯგუფს, ყოველ კლასსა და პარტიას შეუძლია. დაბასა და სოფელსაც ნება აქვს კანდიდატი დააყენოს.

როცა კანდიდატი დასახელებულია, მან მთელი საარჩევნო ოლქი უნდა შემოიაროს, ყოველგან საუბარი გამართოს და ხალხს თვისი შეხედულება, მიმართულება და მომავალ მოქმედების გეგმა გააცნოს.

დასასრულ, ყოველ ამომრჩეველს მის სახელზე გაკეთებული პატარ-პატარა ბარათი (საარჩევნო ბარათი) ჩამოურიგდება, რომელიც არჩევნების დროს ბიუროში უნდა წარმოადგინოს. არავის ნება არა აქვს, ეს ბარათი სხვას გადასცეს, გაყიდოს ან გაასაჩუქროს.

აქ თავდება არჩევნების წინასწარი მუშაობა და იწყება თვითონ არჩევნები. მაგრამ, სანამ ამ უკანასკნელთა აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ ვისა აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, ე. ი. სხვა აირჩიოს ან თვითონ არჩეულ-იქნას.

ამის პასუხს საარჩევნო უფლების განხილვა მოგვცემს.

## IV.

## საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლება ორ-გვარია: აქტიური და პასიური.

აქტიურს იმ უფლებას ეძახიან, რომლის ძალითაც ყოველ სრულ-წლოვან მოქალაქეს ნება აქვს—სხვა პირჩიოს.

ხოლო, როდესაც იმავე მოქალაქეს შეუძლია—სხვისგან არჩეულ იქნას, ეს კი პასიური უფლებაა.

ჯერ-ჯეროობით აქტიურ საარჩევნო უფლებაზე გვექნება საუბარი.

დღეს ყველგან გვესმის და თითქმის ყოველ გაზეთში ვკითხულობთ, რომ საარჩევნო უფლება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული უნდა იყოსო.

ავხსნათ, რას ნიშნავს ეს სიტყვები.

## V.

## საყოველთაო საარჩევნო უფლება.

თავისთავად იგულისხმება, რომ სიტყვა საყოველთაო იმას კი არ ნიშნავს, თითქო ყოველს ძუძუ-მწოვარ ბავშვს, შეშლილს, აშკარა დამნაშავეს ან ნაფიც მსაჯულთა-მიერ ღირსება-ახდილს პირს უფლება ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

როდესაც საყოველთაო საარჩევნო უფლებას თხოულობენ, ამით მხოლოდ იმისი თქმა სურთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდა შეეძლოს ყოველ შამაკაცსა და დედაკაცს, რომელსაც სრულ-წლოვანობამდე მიუღწევია და ზემოდ დასახელებული ნაკლი არა აქვს.

საყოველთაო საარჩევნო უფლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. იგინი გაიძახიან:

„როგორ შეიძლება, მდაბიო ხალხსაც ისეთისე უფლება მიეცეს, როგორიც მოქალაქობრივად მომწიფებულ კლასებს ეძლევაო. თავდაპირველად საჭიროა, მდაბიო ხალხი იმ ზომამდე განავითაროთ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის აზრი შეიგნოს, და მერე მისცეთ საარჩევნო უფლებაო“.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, „სანამ პავლე მოვიდოდეს, პეტრეს ტყავი გააძრესო“; და, ამასთანავე, აღნიშნული საბუთი იმ ბატონების მსჯელობას მოგვაგონებს, რომელნიც ერთს დროს ამერიკაში მონათა განთავისუფლების წინააღმდეგ გაიძახოდნენ: „სანამ მონებს გავანთავისუფლებდეთ, ჯერ განათლება უნდა მივსცეთ, თორემ ეხლანდელი მონები თავისუფლების სიკეთით ვერ ისარგებლებენო“.

მაგრამ, კაი ხანია, მონები განთავისუფლდნენ და, არა მარტო მოქალაქობრივ თავისუფლებით, პოლიტიკური უფლებითაც კი ჩინებულად ისარგებლეს.

ყველგან და ყოველთვის, როდესაც მდაბიო ხალხს საარჩევნო უფლება ეძლეოდა, იგი სწრაფად ცნობიერდებოდა და აღნიშნულის უფლებით არისტოკრატიულ კლასებზე ნაკლებ არა სარგებლობდა.

კიდევ უფრო კარგად სარგებლობდა ხალხი საარჩევნო უფლებით, როდესაც იგი ბრძოლით ჰქონდა მოპოებული.

ხალხს ბევრი ჩიჩინი არ სჭირია, რომ თვისი ინტერესი შეიგნოს. ხოლო დეპუტატის ასარჩევად ეს სრულიად საკმაოა.

ესევე უნდა ითქვას იმ პირების წინააღმდეგაც, რომელნიც ქალთა საარჩევნო უფლებას უარჰყოფენ ან ნაადრევად სთვლიან.

ყველამ იცის, რომ ეხლანდელ საზოგადოებაში ქალები უფრო დაჩაგრულნი არიან, ვინემ კაცები. როგორც სახელმწიფოში, ისე საზოგადოებაში და ოჯახშიაც ქალი მოკლებულია იმგვარს უფლებას, რომელსაც მამაკაცს ყრავინ ეცილება.

მთელ საუკუნეთა განმავლობაში ქალი უუფლებოდ რჩებოდა და, ამის გამო, რაღაც მივიწყებულ და მშიშარა არსებად იქცა, რომელსაც ძალა არ შესწევს, თვისი ღირსება და ინტერესი მტკიცედ დაიცვას.

რა თქმა უნდა, თუ დედა მონურის გრძნობებით გამსჭვალულია, შვილსაც ამგვარს გრძნობებს ჩაუნერგავს. თუ ცოლს არ გაეგება ის ბრძოლა, რომელსაც მისი ქმარი ეწევა, უეჭველია, ქმრის ხელის-შემშლელი იქნება და ცრემლ-საყვედურით სიცოცხლეს მოუწამლავს.

აუცილებლად საჭიროა, ქალებიც მოქალაქეები გახდნენ და უკეთეს ცხოვრებისათვის მამაკაცებთან ერთათ იბრძოლონ. საამისოდ კი საჭიროა უუფლებო მდგომარეობიდან გამოვიდნენ და საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მიიღონ.

რუსეთის კანონით, მოქალაქობრივი სრულ-წლოვანობის დასაწყისად 21 წელი ითვლება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ის პირი, რომელმაც ქვეყნის მართვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, აზრ-შეხედულებითაც მომწიფებული უნდა იყოს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, თითქო მოქალაქობრივი სიმწიფე უსათუოდ წელთა სი-

მრავლეზე იყოს დამოკიდებული, და, ამ დასკვნის თანახმად, იმ ქვეყნებს წავბაძოთ, სადაც საარჩევნო სრულწლოვანობის დასაწყისად 24, 25 და 30 წელია მიღებული.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ცხოვრება შეიცვალა და მასთან ერთათ ახალთაობაც შედარებით უფრო ადრე ვითარდება, ვინემ ეს ამ-ასისა ან ორმოცდა-ათის წლის წინად იყო. ამიტომ საბუთი არა გვაქვს, 20 წლის მუშა-მოქალაქე უფრო ნაკლებ მომწიფებულად ჩავთვალოთ, ვინემ სოფლად დაბადებული და აღზრდილი 25 წლის გლეხი.

კერძოდ, კავკასიელების შესახებ ისიც შეგვიძლიან დავუმატოთ, რომ, ადგილობრივი ჰავის წყალობით, აქაური ქალი და კაცი ადრე მწიფდება სქესებრივად, რასაც ფრიად დიდი გავლენა აქვს ადამიანის საზოგადო მომწიფებაზედაც. თუ რუსეთის შიდა-გუბერნიებში სქესებრივი მომწიფების ხანად 17—18 წელია მიღებული, ჩვენში ამავე მდგომარეობის დასაწყისად 13—15 წელი ითვლება.

რუსთათვის სქესებრივ და მოქალაქობრივ სრულწლოვანობის განსხვავება სამი წელია (18+3=21). ამის კვალობაზე, კავკასიელთათვისაც მოქალაქობრივი სრულწლოვანობის დასაწყისად 18 წელი (15+3=18) შეგვიძლია ჩავთვალოთ, ე. ი. სწორეთ ის წელი, რომელიც შვეიცაარიის ზოგიერთ კანტონში საარჩევნო სრულწლოვანობის ხანადაა მიღებული.

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, სრულ-წლოვანობის დასაწყისი ოც წლამდე ავსწიოთ, მაგრამ ამას იქით მომატება კი სასურველად არ მიგვაჩნია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ახალგაზდო-

ბისას უფრო გულწრფელად ეძლევა საზოგადო საქმეს, თანაც საკუთარ სარგებლობას ივიწყებს, ვინემ 25—30 წლისა და მეტის ხნის ვაჟკაცი, რომელიც, ხშირად, რაკი ცოლშვილში ჩავარდა, იძულებული ხდება—ერთსა და იმავე ადგილს (სამსახურს ან სამუშაოს) მაგრად ჩაებღაუჭოს და, მისი დაკარგვის შიშით, ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე მეტად მომთმენი და დამთმობი შეიქნეს.

ამრიგად, საყოველთაო საარჩევნო უფლება მოითხოვს, რომ ყოველ ქალსა და კაცს, რომელსაც დაბადებიდან 20 წელი მაინც შესრულებია, ნება ექნეს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

ეს უფლება არ უნდა იქნეს შეზღუდული არც ქონებით, არც წერა-კითხვის ცოდნით არც ბინადრობით და არც სხვა მრავალ-გვარ ხელშემშლელ პირობებით, რომელთაც ეხლავე შევეხებით

რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როდესაც ამბობენ: „საარჩევნო უფლება ყველა სრულ-წლოვანს მოქალაქეს აქვსო“, და სულ სხვაა, როდესაც ამ სიტყვებს შემდეგს კუდს მიაბმენ: „საარჩევნო უფლება აქვს ყოველ სრულ-წლოვანს მოქალაქეს, რომელიც ხაზინას ამდენსა და ამდენს ბირდაბირ გარდასახადს აძლევს, ოჯახისთავად ითვლება, წერა-კითხვა იცის და საარჩევნო ოლქში ერთი ან ორი წელი მაინც უცხოვრია.

აქ საყოველთაო უფლებიდან სანახევრო აღარა რჩება. განვმარტოთ ეს აზრი.

დასავლეთ ევროპაში ხშირი მაგალითია, რომ საარჩევნო უფლება „ყველა“ სრულ-წლოვან მამაკაცს ეძლევა, მაგრამ მარტო მაშინ, როცა იგი ხაზინის სასარგებლოდ ბირდაბირ გადასახადს იძლევა. ცხადია, იქ ღარიბ-

ღატაკსა და უმიწა-წყლო მუშას ხმის ამოღება არა აქვს, რადგან იგი „პირდაპირს გადასახადს“ არ იხდის, თუმცა არა-პირდაპირი გადასახადები, სხვადასხვა-გვარი ბაჟის სახით, მასაც იმნაირათვე აწევს კისერზე, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს.

სოფლის გლეხკაცობა პირდაპირ გადასახადს იძლევა. მაგრამ ზოგჯერ მასაც ეუბნებიან: თქვენ შორის მარტო იმ მამაკაცებს შეუძლიანთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომელნიც ოჯახის თავებად ითვლებიანო. როგორც ვიცით, მთელს ოჯახში თავი კაცი მარტო ერთია. მაგრამ ხშირად იმავე ოჯახში სხვაც ბევრი სრულ-წლოვანი კაცი და ქალია. უეჭველია, თუ აღნიშნული პირობა მივიღეთ, ეს უკანასკნელნი საარჩევნო ხმის გარეშე დარჩებიან.

ზოგჯერ საარჩევნო უფლების აუცილებელ პირობად წერა-კითხვის ცოდნას სთვლიან და საყოველთაო საარჩევნო უფლებას ასე გამოხატავენ: „არჩევნების უფლება აქვს ყველა სრულ-წლოვანს, წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქესაო“.

მაგრამ ჩვენში 100 სრულ-წლოვან ქალსა და კაცზე წერა-კითხვის 10 მცოდნეც ძლივს უწევს. მაშასადამე, დანარჩენი 90 კაცი და ქალი უხმოდ დარჩება. ცხადია, ვერც ერთი ჭკვათა-მყოფელი გლეხი და მუშა ამგვარს „საყოველთაო“ უფლებას ვერ დასთანხმდება, რადგანაც მათ შორის წერა-კითხვა ყველაზე უფრო ნაკლებ გავრცელებულია და, მაშასადამე, აღნიშნულ წესით სხვებზე უფრო მეტად იგინი დაიჩაგრებიან.

ძლიერ ცუდია, როდესაც სრულ-წლოვან მოქალაქეს მარტო მაშინ აძლევენ საარჩევნო უფლებას, როცა

მას ამა თუ იმ ალაგას ერთი ან ორი წელი მაინც უცხოვრია. ამგვარი წესი ყველაზე უფრო მუშა-ხალხს ავიწროებს, რადგან იგი ხშირად თავის საცხოვრებელს მამა-პაპეულ მიწა-წყალს მოწყვეტილია და დღიურ ლუკმა-პურისთვის ასსა და ათას ვერსზეა წასული, თანაც იძულებულია მეტის ხელფასის ძებნაში ადგილი ხშირ-ხშირად გამოიცვალოს.

ცხადია, ამისთანა მუშა აღნიშნულ „საყოველთაო“ უფლებით ადვილად ვერ ისარგებლებს, რადგან მისთვის ძნელია ორი-სამი დღით სამშობლოსკენ გაისეირნოს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, შემდეგ უკან დაბრუნდეს და თავის დამქირავებლისაგან კვლავ სამუშაო იშოვოს.

დასასრულ, საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის თვით ასეთს უბრალო გარემოებასაც-კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორიც, მაგალითად, დრო და ადგილია, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს.

საკმაოა, მაგალითად, არჩევნები უსათუოდ კვირა-უქმეობით ინიშნებოდეს, როდესაც თათქმის ყველა მოცლილია.

უკანასკნელ, თუ საარჩევნო ბიურო ხალხისათვის დასახმარ ალაგას არ იქმნა გამართული, წვრილ-შვილისა და ოჯახობის პატრონი ხელ-მოკლე კაცი და ქალი ადვილად ვერ მოახერხებს—ოჯახი ღვთის ანაბარად ტატოვოს და მთელის დღით ან მეტის ხნითაც შორს ბიუროში გაემგზავროს. უეჭველია, იგი იძულებული გახდება კენჭის-ყრაზე ხელი აიღოს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა, როცა საარჩევნო

ოლქი ვრცელია, ბიურო ისეთს ადგილას გაიმართოს, სადაც ხალხს შისვლა-მოსვლა ყოველ მხრიდან ადვილად შეუძლია.

## VI.

## თანასწორი საარჩევნო უფლება.

ყოველ ამომრჩეველს იმდენი ხმა უნდა ექმნეს, რამდენიც თვითეულს დანარჩენს აქვს. ან, როგორც ინგლისელები ამბობენ: „ერთი კაცი—ერთი ხმა“, არც მეტი, არც ნაკლები.

ზოგიერთ ქვეყნებში ყოველ სრულ-წლოვანს მამაკაცს თითო კენჭი აქვს მიცემული. მაგრამ, ამას გარდა, მდიდარსა და განათლებულ პირებს კიდევ ზედმეტი ხმაც ეძლევათ—თანხისა, ადგილ-მამულისა და ნასწავლობის მიხედვით.

როგორც ვიცით, მდიდარი და განათლებული კაცი, სიმდიდრისა და განათლების წყალობით, ერთი ხმითაც უკედ ისარგებლებს, ვინემ სხვა გაუნათლებელი და ღარიბი მოქალაქე. მაშ, რალა სამართალი იქმნება, რომ მდიდარსა და განათლებულს კიდევ ზედმეტი ხმაც მიეცეს.

დიდს უთანასწორობას გამოიწვევს, აგრეთვე: რომ მთავრობამ გამოაცხადოს:

„ყველას თანასწორი საარჩევნო უფლება აქვს, მაგრამ თვითეულმა წოდებამ თავისი დეპუტატი ცალ-ცალკე აირჩიოსო“, ე. ი. ყოველმა საარჩევნო ოლქმა იმდენი დეპუტატი გამოგზავნოს, რამდენიც წოდება არისო.

ვიცით, გლეხკაცობა ყველაზე უფრო მეტი წოდებაა. ვსთქვათ, ოლქში ხუთი ათასი ამომრჩეველი გლეხია

და ათასი—აზნაური. პირველნიც ერთს დეპუტატს გაგზავნიან და მეორენიც. რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ 1000 აზნაურის ხმასაც იმდენი ძალა ექნება, რამდენიც 5000 გლეხისას, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გლეხის ხმა ხუთჯერ სუსტი და ნაკლები იქნება აზნაურისაზე.

ამიტომაც დღეს ყოველი შეგნებული ხალხი თხოულობს, რომ საარჩევნო უფლება თანასწორი იყოს, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

ზემოდ, მესამე თავში, უკვე დავინახეთ, თუ რავდენად ვნებს საარჩევნო უფლების თანასწორობას, ეგრედ წოდებული, „საარჩევნო გეოგრაფია“.

ამაზე ნაკლებ მავნებელი არ არის ორ-პალატიანი მართვა-გამგეობის წესიც.

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში კანონმდებლობის საქმე ორს პალატას ანუ ორს კრებულს აქვს მინდობილი. ჩვეულებრივ, ერთს ზემო-პალატა ეწოდება, მეორეს — ქვემო-პალატა.

თუ ზემო-პალატამ არ მოიწონა, ისე ვერც ერთი ქვემო-პალატაში შემუშავებული კანონი ვერ გავა.

ქვემოპალატის წევრებს მთელი ხალხი ირჩევს, მათ შორის შეძლებული კლასებიც. ზემო-პალატის წევრებს კი მარტო შეძლებული კლასები ირჩევენ, ზოგან თვითონ მეფე ნიშნავს.

ცხადია, კენჭის «თანასწორობა» აქაც ფუჭი სიტყვაა, რადგან შეძლებულ კლასებს ორი ჯენჯის უფლება აქვს (დეპუტატებს ორსავე პალატაში ირჩევენ), დანარჩენებს კი—მარტო ერთისა.

ამასთანავე, ორ პალატიან მართვა-გამგეობის დროს,

შეძლებულ კლასების ხმასაც მეტი ძალა აქვს, ვინემ დანარჩენ ხალხისას, რადგან, როგორც ვთქვით, ვერც ერთი კანონი ისე სისრულეში ვერ მოვა, თუ იგი ზემოპალატამაც არ მოიწონა. მაშასადამე, საკმაოა, ამ ერთმა მუჭა-კრებულმა ქვემო-პალატის-მიერ შემუშავებული კანონი დაიწუნოს, რომ ხალხის უმრავლესობის წარმომადგენელთა ნამოქმედარს ყოველი პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგოს.

ასეთია ორ-პალატიანი წესის უკულმართი მხარეები.

ამიტომაც დღეს ყოველი მოწინავე პარტია თხოულობს, რომ ხალხის წარმომადგენლობა იყოს ერთი და განუყოფელი.

თანასწორობის პრინციპს არღვევენ ის ქვეყნები, რომელნიც შეძლებულ პირებს უფლებას აძლევენ, არჩევნებში ეგზეკან მონაწილეობა მიიღონ, სადაც-კი უძრავი ქონება მოეპოვებათ.

ვთქვათ, რომელსამე მემამულეს ოთხს საარჩევნო ოლქში აქვს მიწა-წყალი. ცხადია, ამ წესის ძალით, იგი ოთხსავე ოლქში აირჩევს წარმომადგენელს, ე. ი. სხვებთან შედარებით ოთხჯერ მეტი კენჭი ექნება.

ამიტომ, აუცილებლად საჭიროა, ერთ კაცს მარტო ერთ საარჩევნო ოლქში ექნეს კენჭის ყრის უფლება, სულ ერთია, რა შეძლების პატრონიც გინდა იყოს.

ესევე უნდა ვთქვათ სხვადასხვაგვარს —ამხანაგობასა, კომპანიასა და საზოგადოებაზე, ანუ, ეგრედ წოდებულ, „იურიდიულ პირებზე“. კენჭი მხოლოდ „ფიზიკურს პირს“ უნდა ეკუთვნოდეს და არა რომელსამე დაწესებულებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, ერთმა და იმავე პირმა ერთსა და იმავე ოლქში პირველად თავის მაგივრად ჩააგდოს კენჭი, მეორედ—როგორც რომლისამე ქარხნის რწმუნებულმა, მესამედ—როგორც მადნების წარმომადგენელმა, მეოთხედ—როგორც წარმომადგენელმა ხე-ტყის წარმოებისამ და სხვა.

ცხადია, ამგვარი წესი თანასწოროობად ვერ ჩაითვლება. ამიტომ საჭიროა, არავითარს „იურიდიულ პირს“ საარჩევნო უფლება არ მიეცეს.

## VII.

## პირდაპირი საარჩევნო უფლება.

პირდაპირი საარჩევნო პრინციპი მოითხოვს, რომ ამომრჩევლებმა პირდაპირ იმ დაწესებულებისათვის აირჩიონ წარმომადგენლები, რომელმაც კანონები უნდა შეიმუშაოს.

მაგრამ არის, ეგრეედ წოდებული, ორ-ეტაპი საარჩევნო წესი, რომელიც აღნიშნულ პრინციპს ვერ ეთანხმება.

ამ წესის ძალით, ხალხი პირდაპირ დეპუტატს კი არ ირჩევს, არამედ დეპუტატების ამომრჩევლებს, რომლებმაც შემდეგ თვითონ უნდა აარჩიონ ხალხის წარმომადგენლები.

მაგრამ ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს წესი ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი და უალაგოა, ზოგიერთში კი—პირდაპირ მავნებელი.

ზედმეტია, რადგან, სადაც ეს წესი არსებობს (მაგ. ამერიკაში), ხალხი თვის-მიერ არჩეულ ამომრჩეველებს ვალად უდებს—უსათუოდ ის დეპუტატი აირჩიონ, რომელიც თვითონ ხალხსა სურს. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, თუ არჩევნები სინდისიერად წარმოებს, დეპუ-

ტატების ამომრჩეველი იგივე ხალხი გამოდის და არა მისი რწმუნებულები.

მაგრამ უფრო ხშირად ამ წესით მდიდრები და გავლენიანი პირები ბორიტ-სარგებლობენ ხოლმე.

მართლაც, სანამ დეპუტატების არჩევანი მთელი ოლქის ხელშია მანამ ვერც ერთი გავლენიანი პირი ვერ შესძლებს, ამომრჩეველთა უმრავლესობა თავის მხარეზე გადაიყვანოს. მაგრამ, როცა დეპუტატის ამომრჩეველად 50 ან 100 რწმუნებული გამოდის, მაშინ კი, ძნელი დასაჯერებელია, მოსყიდვას, შეშინებას, ბრძანებასა და ძალდატანებას ადგილი არ ექნეს.

სწორედ ამიტომ, საარჩევნო წესი პირდაპირი ანუ ერთ-კეცი უნდა იყოს და არა ორ-კეცი ან მრავალკეცი.

## VIII.

## ფარული საარჩევნო უფლება.

უკანასკნელ, საარჩევნო უფლება უნდა იყოს საიდუმლო ანუ ფარული, ე. ი. ვერავინ ვერ უნდა გაიგოს, თუ სახელდობრ რომელმა ამომრჩეველმა ჩაუგდო კენჭი ამა თუ იმ დეპუტატს.

ამგვარად ჩაგდებულ-კენჭს დახურული კენჭი ჰქვია.

დახურული კენჭი იმისთვისაა საჭირო, რომ ამომრჩეველს თავისუფლად შეეძლოს სწორედ ის კაცი აირჩიოს, რომელიც სურს და სასარგებლოდ მიაჩნია.

მაგრამ, როცა კენჭი ახდილია, ყველა ამომრჩეველი თავისუფლად ვერ მოქმედობს. ზოგს მთავრობისა ეშინია, ზოგს ნათესავის ხათრი აქვს; მუშას დამქირავებლისა ეფიქრება, მოხელეს—უფროსისა და სხვა.

ამის წყალობით, ხშირად მოხდება, რომ ამომრჩეველ-

ლი იმას კი არ ირჩევს, ვინცა სურს და სასარგებლოდ მიაჩნია, არამედ იმას, ვინც მისს უფროსსა ან დამქირავებელს მოსწონ, ან კიდევ ვისაც მთავრობა უბრძანებს.

დახურულ კენჭის დროს კი ძნელი წარმოსადგენია ვისსამე შიშსა და მოხათრებას ამომრჩეველის გულში ადგილი ექნეს.

მართალი, თვით ისეთი პატივცემული მოაზრეც კი, როგორიც ჯონ-სტიუარტ მილლი იყო, დახურულ კენჭის ყრას ეწინააღმდეგებოდა და ამბობდა: „ვინც სახელმწიფოს მართვაში ერევა, გამბედაობაც უნდა ჰქონდეს და თავისი შეხედულობის გამოქვეყნებისა არ უნდა ეშინოდესო“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გმირ მოაზრის საბუთით მის დროსვე ბევრმა სრულიად არა-გმირმა არსებამ დაიწყო სარგებლობა თავის მოწინააღმდეგე ამომრჩეველთა ასალაგმავად. ამის გამო, 1872 წელს, ინგლისის ლიბერალურმა სამინისტრომ სამუდამოდ უარ-ჰყო ახდილი არჩევნები და დახურული კენჭის ყრა შემოიღო.

დახურული კენჭის ყრა არის მიღებული დასავლეთის ყველა მოწინავე სახელმწიფოში (საფრანგეთსა, შვეიცარიასა, გერმანიაში, პრუსიის გარდა, და ჩრდილოეთ ამერიკაში).

ცხადია, ამ გონივრულ წესს უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყანაც.

## IX.

## პასივური საარჩევნო უფლება.

როგორც ზემოდ გავარკვიეთ, აქტივური საარჩევნო უფლება უნდა იყოს: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული.

საყოველთაო და თანასწორი უნდა იყოს პასიური უფლებაც, ე. ი. ყოველს 20 წლის კაცსა და ქალს უნდა შეეძლოს დეპუტატად არჩეულ-იქნას.

ნურავინ იფიქრებს, თითქო 20 წლის ჭაბუკს არ შეეძლოს დეპუტატობა მოახერხოს.

მართალია, ოცი წლის ყველა კაცი და ქალი დამფუძნებელი კრების წევრად ვერ გამოდგება ისე, როგორც ვერც ყველა ოცდა-ხუთ ან ოცდა-ათ წლოვანი მოქალაქე გამოდგება ამ საქმისათვის, მაგრამ დეპუტატს ხომ ხალხი ირჩევს და, მაშასადამე, დიდი უნდობლობა უნდა ჰქონდეს კაცს ხალხისადმი, რომ იფიქროს, თითქო ხალხი თავისს წარმომადგენელს აჩქარებითა და დაუკვირვებლად აირჩევსო. თუ იმ პირობას შევასრულებთ, რომელიც მეორე თავში მოვიხსენეთ, ხალხს აგრე რიგადაც არ გაუჭირდება დამფუძნებელ კრებისთვის შესაფერი კანდიდატი აირჩიოს.

რაც საყოველთაო და თანასწორ აქტივურ უფლების შესახებ ვთქვით, პასიურ საარჩევნო უფლების შესახებაც იგივე უნდა ითქვას,—მისი შეზღუდვა არ უნდა შეიძლებოდეს, არც ეროვნებით, არც სქესით, არც ქონებით, არც განათლებით, არც დიდი ხნოვანებით და არც სხვა მსგავსი პირობით.

პასიური უფლებაც იგეთივე უნდა იყოს, როგორიც აქტივურია. ყოველგვარი შეზღუდვა აქ საგანს მხოლოდ გაართულებს და არჩევნებს გააძნელებს; საქმეს კი ბრჩხილის ოდნადაც წინ ვერ წასწევს.

მაგრამ, ვთქვათ, რომელმამე ოლქმა ქონებრივად ხელ-მოკლე დეპუტატი აირჩია, რომელიც ოჯახს საკუთარ შრომით ინახავს. შესძლებს კი ასეთი დეპუტატი,

თვისს საქმეზე ხელი აიღოს, ოჯახი ულუკმა-პურად მიატოვოს და შორს დამფუძნებელ კრებაზე წავიდეს, სადაც, ვინ იცის, რამდენ ხანს მოუხდება ცხოვრება?

ცხადია, იგი იძულებული იქნება დეპუტატობაზე უარი განაცხადოს და ხალხს არჩევანი გაუცრუოს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა, ყოველ დეპუტატს ხაზინიდან საკმაო ჯამაგირი დაენიშნოს.

მართალია, ზოგიერთი სქელ-ჯიბა „ფილოსოფოსი“ იტყვის და მასთან სხვაც ბევრი გაიმეორებს, რომ დეპუტატობა საზოგადო საქმეა და ნუ თუ ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებული არაა საზოგადო საქმეს უსასყიდლოდ ემსახუროსო.

მაგრამ ამ თავისთავად სიმპატიურ აზრს სარჩული ყოველთვის სიმპატიური როდი უძევს, ხოლო შედეგი ხშირად ძლიერ სამწუხარო ჰქვს. ამიტომ დეპუტატს უსათუოდ გადაჭრილი ჯამაგირი უნდა მიეცეს. ვისაც არ სურს და ქონება ნებას აძლევს, შეუძლია სადეპუტატო ჯამაგირზე უარი სთქვას, მაგრამ კანონით კი ყოველ დეპუტატს უნდა შეეძლოს თავის გასამრჯელოდ დაწესებული ჯამაგირი მიიღოს.

ამით ვათავებთ საარჩევნო უფლების შესახებ საუბარს და თვით არჩევნებზე გადავდივართ.

## X.

## არჩევნების წარმოება.

საარჩევნო ბიუროსაგან დანიშნულ დღეს ყველა სრულწლოვანი მოქალაქე ვალდებულია ბიუროში გამოცხადდეს და საარჩევნო ბარათი წარადგინოს. როცა ბარათის პატრონი კენჭის ყრას გაათავებს, ამ ბარათზე ბიურო დააწერს, რომ აღნიშნულმა ამომრჩეველმა ერთ-

გან უკვე კენჭი ჰყარა, და მასაც ნება აღარ ექნება სხვა ბიუროში სხვას ვისმე კენჭი უყაროს.

თვით კენჭის ყრის წესი (არჩევნები) ორგვარია: ა) თვითეული კანდიდატისა ცალ-ცალკე და ბ) რამდენისამე კანდიდატისა ერთად. პირველს ინდივიდუალურს ანუ სათვითო არჩევანს ეძახიან, მეორეს კი „სიით არჩევანს“ (Scrutin de liste), რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში რამდენისამე კანდიდატის სახელი ერთ სიაზეა დაბეჭდილი და, თუ ამომრჩეველმა ერთი მათგანი აირჩია, უსათუოდ დანარჩენებიც უნდა აირჩიოს. ხოლო როცა ინდივიდუალური კენჭის ყრაა, მაშინ, სიაში თუნდ ათი კანდიდატის გვარიც იყოს ჩაწერილი, ამომრჩეველი მარტო ერთს მათგანს ჩაუგდებს კენჭს, დანარჩენებს კი წაშლის.

ცხადია, როდესაც საარჩევნო ოლქიდან მარტო ერთს დეპუტატს თხოულობენ, მაშინ მხოლოდ პირველ-გვარი, ანუ ინდივიდუალური არჩევანია მოსახერხებელი.

მაგრამ მოხდება, რომ მთავრობა მთელ მხარეს ახალ საარჩევნო ოლქებად არ დაჰყოფს, არამედ უკვე არსებულს თვითეულ გუბერნიას სამს ან ოთხს დეპუტატს მოსთხოვს. ამ შემთხვევაში ყოველი ჯგუფი და ყოველი პარტია მოვალეა სამი ან ოთხი კანდიდატი წამოაყენოს და ყველანი ერთ სიაში მოათავსოს. როცა კენჭის ყრა დაიწყება, ამომრჩეველს ყველა ჯგუფისა და პარტიების სიებს მისცემენ ხელში, და შემდეგ თვით მაზეა დამოკიდებული, თუ რომელ სიას მიიღებს (კენჭს ჩაუგდებს) და რომელს უარჰყოფს.

ამგვარს კენჭის ყრას უმეტესად მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც აზრად აქვთ საერო კრებაში, რამდე-

ნადაც კი შესაძლებელია, ერთ-გვარს დეპუტატებს მოუყარონ თავი. მართალია, ამგვარ კენჭის ყრას ზოგჯერ რეაქციონური დასები ბოროტად გამოიყენებენ ხოლმე, მაგრამ ვერც იმას უარ-ვჰყოფთ, რომ ამავე წესით პროგრესიულ დასებსაც ადვილად შეუძლიათ ისარგებლონ და საკანონმდებლო კრებაში უმეტესად პროგრესიული დეპუტატები გაგზავნონ.

ამ შემთხვევაში როგორც პროგრესიული, ისე რეაქციონური დასები შემდეგს ხერხს მიმართავენ ხოლმე. სიის თავში ყველა დასებისა და პარტიებისათვის სასურველს კანდიდატს მოათავსებენ, ხოლო ქვემოდ თავის საკუთარს, მაგრამ ნაკლებად ცნობილს კანდიდატებს მიაყოლებენ. უეჭველია, როცა გამოუცდელი და გულუბრყვილო ამომრჩეველი ასეთს სიას აიღებს, ჯერ პირველი კანდიდატის გვარს ამოიკითხავს; იფიქრებს, შესაძლოა, დანარჩენი კანდიდატებიც ამისთანანი იყონო, და მთელ სიას კენჭს ჩაუგდებს.

მართალია, ეს ერთგვარი ოინია, მაგრამ ოინი — ზოგჯერ მარგებელი, ზოგჯერ მავნებელი. სუსტი მხარე ამ წესსაც ბევრი აქვს და ინდივიდუალურ არჩევანსაც. ამიტომ ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაჭრილი არ არის, თუ ამ ორ წესში რომელია უმჯობესი. სწორედ ამავე მიზეზით ჩვენც აქ მათს შედარებას აღარ გამოვუდგებით. ცხოვრება და გამოცდილება თვითონ გვიჩვენებს, თუ ამ ორ წესში როდის რომელი გამოდგება და ხალხმა რომელს უნდა მიმართოს.

დასასრულ, ვიკითხოთ: როგორ უნდა მოიქცნენ ის პირები, რომელთაც წერა კითხვა არ იციან? კენჭი ხომ უსათუოდ დახურული უნდა იყოს?

ამ კითხვაზე ორ-გვარ პასუხს იძლევიან.

ზოგნი ჰფიქრობენ: კენჭის ყრის საიდუმლოება ისე მტკიცედ უნდა იქნეს დაცული, რომ იმ დროს, როცა ამომრჩეველი კანდიდატების სიას ათვალიერებს და ასარჩევ კანდიდატის გვარს ეძებს, იმისი მოწმე თვით უახლოესი მეგობარ-ნათესავიც კი არ უნდა იყოსო.

ამისდა მიხედვით, ესენი ურჩევენ: ყოველმა პარტიამ თავისი კანდიდატის სახელი და გვარი განსაკუთრებულ ფერის ქაღალდზე უნდა დაბეჭდოს და ამომრჩევლებს წინდაწინვე გამოუცხადოს, რომ ამა-და-ამ პარტიის კანდიდატის სახელი ამა-და-ამ ფერ ქაღალდზეა დაბეჭდილიო.

ვთქვათ, რომელსამე ამომრჩეველს სურს, კენჭი ნაციონალისტების კანდიდატს ჩაუგდოს. იგი მიდის საარჩევნო ბიუროს წევრების წინ, მაგიდასთან, მიიღებს ყველა პარტიის ფურცლებს, შედის იქვე ცალკე ოთახში და, მოწმის დიუსწრებლად, იღებს იმ ფერის ქაღალდს, ვსთქვათ მწვანეს, რომლის შესახებაც წინდაწინ გამოცხადებული იყო: ნაციონალისტთა კანდიდატების გვარი ამფერ ქაღდებზეა დაბეჭდილიო. შემდეგ ამ ქაღალდს იქვე სქელ კონვერტში ჩასდებს, გამოდის საარჩევნო მაგიდასთან, სადაც ბიუროს წევრები სხედან, და კონვერტს **საარჩევნო ყუთში** ჩააგდებს. ამას ჰქვია კენჭის „ყრა“.

ცხადია, ამ შემთხვევაში კენჭი დაფარული იქნება, რადგან, სქელ კონვერტის გამო, ვერც ერთი იქ დამსწრე ვერ გაიგებს, თუ ამომრჩეველმა რომელ პარტიის კანდიდატს ჩაუგდო კენჭი.

მაგრამ ამგვარი ხერხი მხოლოდ მანამდეა გამოსადეგი, სანამ ასარჩევ კანდიდატების რიცხვი ხუთს ან ექვსს არ აღემატება, თორემ როცა კანდიდატი ბევრია,

მაშინ, უეჭველია, საარჩევნო ფურცლებიც მრავალ-ფერი იქნება და ძლიერ საეჭვოა—ამომრჩეველმა ყველა ეს ფერები ზეპირად დაიხსომოს და სხვადახვა პარტიის კანდიდატები ერთმანეთში არ გარიოს.

ამიტომ, სანამ მთელი ხალხი წერა-კითხვას ისწავლიდეს, საჭიროა მეორე აზრსაც გავეცნოთ.

ამ აზრის მიმდევარნიც პრინციპიალურად თანახმა არიან, რომ კენჭის ყრა დახურული უნდა იყოს. მაგრამ, დასძენენ, დიდი უსამართლობა იქნება ამ საბუთის ძალით ამომრჩეველთა სიიდან ყველა ის პირები გამოვრიცხოთ, რომელთაც წერა-კითხვა არ იციანო. უმჯობესია, ამ შემთხვევაში კენჭის საიდუმლოება მცირეოდნად დაირღვეს, ვინემ ხალხის დიდი ნაწილი უხმოდ დარჩესო.

სახელდობრ, დიდი ცოდვა არ ჩქნება, რომ, ვინც წერა-კითხვა არ იცის, საარჩევნო ფურცლები თავის ერთგულ მეგობარს და სანდო პირს წააკითხოს, ან წერა-კითხვის მცოდნე თავისი შვილი მოიხმაროსო. მართალი რომ ვთქვათ, ეს კენჭის საიდუმლოების დარღვევაც არ იქნება, რადგან კენჭის საიდუმლოება მხოლოდ მაშინ ირღვევა, როცა ყველა შეიტყობს, თუ ვის ჩაუგდო კენჭი ამომრჩეველმაო. ერთსა და ორს თავის ერთგულს მეგობარს კი, ჩვეულებრივ, არც ის ამომრჩევლები უმალავენ ხოლმე თვისს მოქმედებას, რომელთაც წერა-კითხვა იციან და კენჭის ყრას სრულ საიდუმლოებით ასრულებენო.

უკანასკნელ, როცა კენჭის ყრა გათავდება, ბიუროს წევრები კენჭის თვლას შეუდგებიან. რომელ კანდიდატსაც მეტი კენჭი აღმოაჩნდება, ის იქნება არჩეული.

ვთქვათ, საარჩევნო ყუთში 1000 კენჭია. ამ ათას კენჭში ერთს კანდიდატს, შოთას, 200 კენჭი რგებია, მეორეს, ვახტანგს — 350, მესამეს ლუარსაბს — 450. აქ ყველაზე მეტი ლუარსაბის კენჭია (450). მაშასადამე, არჩეულიც ის იქმნება.

მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში არჩეულად მხოლოდ იმ კანდიდატს სთვლიან, რომელსაც ყველა კენჭების ნახევარზე მეტი რგებია, ე. ი. 1000-იდან ხუთას-ერთი, ხუთას ორი და სხვა; ხოლო 2000-იდან ათას-ერთი, ათას-ორი და სხვანი.

კენჭის ანუ ხმის პირველ-გვარს უმეტესობას უბრალო უმეტესობას ეძახიან, მეორე გვარს-კი — აბსოლიუტურს.

თვით იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც აბსოლიუტური უმეტესობაა მიღებული, ხშირად მოხება, რომ პირველ კენჭის ყრის დროს არც ერთს კანდიდატს არ ერგება აბსოლიუტური უმეტესობა, ე. ი. ყველა კენჭების ნახევარზე მეტი. მაშინ განმეორებითი კენჭის ყრა ინიშნება. მაგრამ განმეორებით კენჭს ყველა კანდიდატს კი არ უყრიან, არამედ ორს უკანასკნელ კანდიდატს, რომელთაც დანარჩენ კანდიდატებზე უმეტესი კენჭი რგებიათ. მაშასადამე, თუ ზემოდ დასახელებულ მაგალითს ავიღებთ, განმეორებით კენჭი ვახტანგსა და ლუარსაბს უნდა ეყაროს.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რომელი კანდიდატის მხარეს დაიჭერენ პირველ კანდიდატის (შოთას) ამომრჩეველნი, სულ 200 კაცი.

ვთქვათ, ვახტანგის მხარე დაიჭირეს. მაშინ ვახტანგს

550 (350+200) კენჭი ერგება და, მაშასადამე, არჩეულიც ის დარჩება, თუმცა პირველ შემთხვევაში უმეტესობა (უბრალო) ლუარსაბისა იყო.

ასეთია არჩევნების წეს-რიგი.

გორგასლიძე.



ი 3833
1905

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“.

## 1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის-მომწერლებს

## პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთსა და საპრემიო წიგნებში მოთავსებული იქნება **სურათები და ილუსტრაციები.**

**გაზეთის ფასი:** 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ტპამბა ამხანაგობისა „ბრომა“.